# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 2 აპრილი 1999 №59 (832) | ფასი 1 ლარი



2 იმერული ესკიზები დიდების ზღაპარში
„დინამო“ — თსუ-ს შეხვედრას ბორის ელცინმაც ზურგი აქცია

6 რევაზ ძოძუაშვილი: ლიმონივით გამომწურეს და გადამაგდეს
ევროპაში ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩვენთან კი, საქართველოში, ხელის შეშლის მეტი არაფერი ხდება





9 აურზაური „კამპ ნოუზე“






12 ბარსელონა!
სახელოვანი კლუბი ასწლოვანი იუბილეს აღნიშვნას კორაჩის თასის მოპოვებით იწყებს

12 ისტორიული მტრები
გერმანია და რუსეთი დევისის თასზეც შუღლობენ


# გლახაზე ნაამბობი



ღმერთო და ჯვრის მადლო, ჩვენს ნაკრებს ერთი პირი მიეცი

თქვენ, ქართველებს, რამდენიმე კარგი ფეხბურთელი გყავთ, რამდენიმემ კი, უბრალოდ, ფეხბურთის თამაში არ იცის — სლოვენიის ნაკრების თავკაცის სრეჩკო კატანეცის ნათქვამში ბევრს შეიძლება ენიშნოს მწარე სიმართლე.

ცუდი დრო უდგას ქართულ ფეხბურთს — მწვრთნელს ტაქტიკას უწუნებენ, ფეხბურთელს ფეხბურთის თამაშს, ფედერაცია უსახსრობაზე ჩივის და სახელმწიფოს ეაჯება, როგორმე მიშველეო...

სახელმწიფოს, თავის მხრივ, ყველაზე ნაკლებად სცხელა ფეხბურთისთვის...

ამასობაში კი ქართული ფეხბურთი თითქმის აღარ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, იმას, რასაც ქართველები სჩადიან მინდორზე, ფეხბურთს ძნელად უწოდებს კაცი. ყველა ჭირთან ერთად ეროვნულ ნაკრებში უთანხმოებამ და მტყუან-მართლის ძიებამაც იჩინა თავი.

ეს კი ცეცხლზე ნავთის დასხმაა, მეტი არაფერი.

იხილეთ მესამე გვერდი

# ჯერ თავს ვაჯობოთ!



ირაკლი ნიკოლაძის ფოტო

მორჩა თამაში და ბორჯღალოსანთა იმედიც მოკვდა

დღეს, როცა ბორჯღალოსნებისთვის მსოფლიოს თასის გათამაშება დამთავრდა, გვინდა, იმ მიზეზებზე ვისაუბროთ, რომელთაც უფრო დიდი წარმატების მიღწევაში შეგვიშალეს ხელი. გვესმის, რომ მორაგბეებმა სათამაშო სახეობებიდან ყველაზე მეტს მიაღწიეს, სხვებზე ბევრი გააკეთეს მათ დღეში მყოფთა კვალობაზე. არც იმას ვიტყვით, გინდა თუ არა, მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე რატომ ვერ გახვედითო, მაგრამ დაშვებულ შეცდომებს გამოსწორება, ხოლო სენს მკურნალობა უნდა. თუ მომავალშიც იმ ხარვეზებით თუ შეცდომებით ვივლით, ვერასოდეს გავალთ მსოფლიოს თასზე და მუდამ მის კარიბჭესთან დავრჩებით, მერე და მერე კი ისევ იმ წყვდიადში ჩავბრუნდებით, რომლიდანაც თავად მორაგბეთა არაადამიანური მონდომებისა და თავდადების წყალობით ამოვედით.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 10 20 ტური

# იმერული ესკიზები დიდების ზღაპარში

ზღაპრული ტური გამოდგა, იმერული ხასიათივით უცნაური და ქართულ საფეხბურთო ცხოვრებასავით ტრაგიკომიკური. ყველაფერი ვიხილეთ, რაც კი შეიძლება ინატროს გულშემატკივარმა თუ ჟურნალისტმა, რაც კი შეიძლება იკადროს მეხანძრემ თუ პრეზიდენტმა...

ისტორიული ტური ისტორიულ დღეს დასრულდა. ზვიად გამსახურდიას 60 წლისთავთან და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმთან დაკავშირებით ეროვნულ სტადიონს ლამის მთელი პარლამენტი მოაწყდა. ის კი არა, თავად რუსეთის პრეზიდენტი, ბორის ელცინი ჩამობრძანდა „დინამო" — თსუ-ს მატჩის სანახავად. ეგაა ოღონდ, არც რუსეთის მბრძანებელი იყო ნამდვილი და არც ის ფეხბურთი, მარადმა ჩემპიონებმა რომ ხაძის შეგირდებმა ჩემპიონატის მეორე წრეში ასე გააგრძელეს, ქუთაისელი ქომაგებისგან ზღაპრული პერსონაჟებივით მოგონება არ ასცდებათ...

„სამგურალში" კი ციხე შიგნიდან ტყდება. კლუბის მესვეურებმა დაინახეს თუ არა, გუნდს ჯგუფიდან გავარდნის საფრთხე აღარ ემუქრებაო, საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ზედმეტ ფინანსურ გასავალს ჟადალა დაადეს. ამგვარმა დამოკიდებულებამ „სამგურალის" თავკაცი გაიოზ დარსაძე ააღელვა. ნერვიულობამ და გაწეული ამაგის დაუფასებლობამ მწვრთნელის ჯანმრთელობა საგრძნობლად შეარყია. უიმისოდ კი იმერლებმა ფოთელთა კარგად შეთამაშებულ გუნდს ვერაფერი მოუხერხეს, სათამაშო უპირატესობა ანგარიშზე ვერ



ბადრი კილაძის ფოტო

„დინამო" — თსუ-ს შეხვედრას ბორის ელცინმა (მარცხნივ) ზურგი აქცია

ითამაშეს სტუდენტთა წინააღმდეგ. გაუჭირდათ დინამოელებს სტუმართა დაცვითი ბარიერის გადალახვა, ძალიან გაუჭირდათ... მართალია, ჩემპიონატის ბომბარდირმა მიხეილ აშვეთიამ მაინც მოახერხა ორი გოლის გატანა, მაგრამ... თითოეული გოლის შემდეგ თანამსაჯს გახედავდა ხოლმე მრავლისმთქმელი გამომეტყველებით — კარის დალაშქვრის სურვილი მძლევს და ამიტომაც ვხვდები თამაშგარე მდგომარეობაშიო. „დინამომ" თსუ-ს არ მოუგო. ვცდები? კი, ბატონო, მაშინ ჩავატაროთ ქართული საფეხბურთო სამყაროს რეფერენდუმი და ბიულეტენში ამ შეხვედრის თაობაზე ერთი კითხვა ჩავწეროთ — დადგმული სცენარი იყო თუ არა? ისე, მე თუ მკითხავთ, სპექტაკლების მოწყობასაც თავიანი ხალხი სჭირდება, ოღონდ არა მარტო ისეთი თავიანები, „დიდების ზღაპრის" პერსონაჟებს რომ აქვთ. თუმცა, ესენი ხალხს ამხიარულებენ მაინც ტელეეკრანებთან.

მხიარულება არც გულშემატკივრებს აკლიათ, მაგრამ ამის გამომწვევი მხოლოდ ჩემპიონატის მატჩების ორგანიზებულობის უთავობაა. შეხვედრებზე ექიმთა დროულად მოსვლის პრობლემას მეხანძრეები გამოეხმაურნენ. ეროვნულ სტადიონზე კი გამოცხადდნენ ცეცხლთან ვაჟკაცურად მებრძოლნი, მატჩის ოქმშიც აღნიშნეს, სადარაჯოზე ვართო, მაგრამ სახანძრო მანქანა არ იახლეს თან. ეტყობა, ხანძრის უწყლოდ ჩაქრობის ახალი მეთოდი შეიმუშავეს.

აი, 30 მარტს კი წყალში იდგნენ და ცეცხლი ეკიდათ იმერული ფეხბურთის გულშემატკივრებს. ახლო მეზობლებმა სამტრედიელები „ლოკომოტივთან" მოსალოდნელ დამარცხებაში მარტონი არ დატოვეს. იციან ახლობლების ჭირ-ვარამის გაზიარება იმერეთში და რას ერჩით. ქუთაისსა და წყალტუბოში „ტორპედოსა" და „სამგურალის" ქომაგებს არ სჯეროდათ მათი გუნდების შესაძლო წაგების — არც თამაშამდე და არც თამაშის მერე. ზუსტად ისე მოუვიდათ, მხატვრულ ფილმ „იმერულ ესკიზებში" რომაა — „მორჩა კინო, წაით სახლშიო!" კინოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ „ტორპედოს" საჩემპიონო ამბიციები მე-20 ტურში რომ მორჩა, დღესავით ნათელია. შინ „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხმა ტორპედოელებს განაღდებული ვერცხლი ბრინჯაოს ფერებში დაანახა. თუ ხერასახეს და მატჩის მიწურულს დაისაჯნენ კიდეც. „კოლხეთმა" ამ მოგებით კვლავ შეინარჩუნა ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის შანსი.

მესამე ადგილისთვის შოთა ჭეიშვილის შეგირდებიც იბრძოლებენ. „ბათუმი" ცდილობს, ყველას დაუმტკიცოს, რომ ჩემპიონატში მისი ფუნქციადაკარგულ გუნდად შერაცხვა ნაადრევია. აი, გურულებს კი ნამდვილად დააკარგვინეს ფუნქცია აჭარლებმა. „გურიას" სასწაული თუ იხსნის პირველი ჯგუფის დატოვებისგან.

მეორე ჯგუფისკენ მიექანება „გორდაც". „არსენალთან" მატჩში გამოუყენებელი მომენტები და დასანანი მარცხი რუსთაველებს მწარედ მოაგონდებათ.

გორსა და „სინათლეზე" ძლიერებმა მოუგეს სუსტებს. ორივე შეხვედრაში მასპინძლები აშკარად ჯობდნენ სტუმრებს და უმტკივნეულოდ მოიპოვეს სამ-სამი ქულა.

ეროვნული ნაკრების დარად, ცოტა გოლი გააქვთ ჩვენს კლუბებს. მე-20 ტურში სულ 9 ბურთი გავიდა — ესე იგი, საშუალოდ 1,1 მატჩში. თუ ამას 4 შეხვედრაში გატანილ, მაგრამ არჩათვლილ ექვს გოლს დავუმატებთ, მაინც დაბალ შედეგიანობას მივიღებთ.

ასე იქნება მანამ, სანამ ისეთი ფეხბურთის მომსწრენი ვიქნებით, „დიდების ზღაპრის" პერსონაჟებიც რომ აქცევენ ზურგს...

**ხვიჩა სანიკიძე**

**XXI ტური**

3 აპრილი, შაბათი

ბათუმი — დილა (1:0)
ოდიში — სამგურალი (0:1)
სიონი — გორდა (1:3)
იბერია — ტორპედო (0:4)
ვიტ ჯორჯია — გურია (0:2)
ლოკომოტივი — არსენალი (0:0)

4 აპრილი, კვირა

კოლხეთი — დინამო (1:6)
თსუ — მერანი (0:1)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

---

თბილისი
29 მარტი
15. 25 საათი
ისანი
500 (ტევადობა 5 000)

## არსენალი 1:0 გორდა

1:0 ტარიელაშვილი (71)
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია (კვირკველია 76), შ. ლაცაბიძე, ზირაქიშვილი (თვალაბეიშვილი 57), აბაზაძე, ხოსროშვილი, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
სათადარიგონი: აბაშიძე; დ. კაპანაძე, ირემაშვილი, ზ. მეტრეველი
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, კედელაშვილი, სიდამონიძე, გაბელაია, ლაბაძე (ინასარიძე 68), მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეიშვილი (სიმონიშვილი 83), ლ. ალადაშვილი, მიშველიძე
სათადარიგონი: ოქროპირიძე, კალმახელიძე, ბექაური, მენთეშაშვილი, რ. მახარაძე
გაფრთხილება: ლაცაბიძე (35), მელაძე (51)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ხუციშვილი, ზ. ჯვარიძე; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ქუთაისი
30 მარტი
15 საათი
გივი კილაძე
6 000 (ტევადობა 23 800)

## ტორპედო 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 ნოზაძე (26)
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ჩხაბერიძე (კ. კვეტენაძე 65), ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, დ. ჯანაშია, იონანიძე, მაზანიშვილი, ჩხეტიანი, კ. მეტრეველი (იმედაძე 46)
სათადარიგონი: სტურუა; ვაჩიბერაძე, თურმანიძე, კ. ჯანაშია
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, ი. კაპანაძე, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ერაძე 82)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ჭოხონელიძე, დ. დოლიძე, გ. გვაზავა
გაფრთხილება: კაპანაძე (12), ხვადაგიანი (15), ახვლედიანი (63)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. სამხარაძე (სოხუმი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გორი
30 მარტი
15 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:0 ოდიში

1:0 მარჯხაშვილი (38)
დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ვლ. სამხარაძე, აკოფიანი, გაგნიძე, მარჯხაშვილი (ციცქიშვილი 71), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (მ. მინდიაშვილი 59), ახალკაცი, შატაკიშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი, არუთინიანი, ხიხალაშვილი
ოდიში: გოგია, რ. გაბისონია, კაკულია, აკობია, ლ. თოდუა, ცაცუა (შედანია 82), ტაბალუა, იოსავა, გოგოხია, ალანია, გვიჩია
სათადარიგონი: კალანდია; ვაზგანავა
გაფრთხილება: ცაცუა (35), თოდუა (39), აკოფიანი (57), გაბისონია (63), შატაკიშვილი (67), მინდიაშვილი (81), გვიჩია (83)
მსაჯები: ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. მენთეშაშვილი; დ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ლანჩხუთი
30 მარტი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
800 (ტევადობა 22 000)

## გურია 0:1 ბათუმი

0:1 ხომერიკი (63)
გურია: ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, კ. სვანიძე, გულორდავა (შავშიშვილი 74), ძოძუაშვილი, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე, დ. მახარაძე, ბოლქვაძე
სათადარიგონი: გოგუა; ბერძენიშვილი, ჭიაბრიშვილი, ფირცხალაიშვილი
ბათუმი: ტოგონიძე, პაპიძე, მ. მახარაძე, მინდაძე, ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ღლონტი, გადელია, გუჯაბიძე, ი. მახარაძე, ხომერიკი
სათადარიგონი: მალაყმაძე; კანტიძე, ვერემჩუკი, მაჭუტაძე, მაქაცარია, ყულევჯიშვილი, რომანაძე
გაფრთხილება: ღლონტი (82)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

თბილისი
30 მარტი
15 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:0 სიონი

1:0 თოლორდავა (35), 2:0 ბ. ამბიძე (78)
მერანი: ლომაია, ბ. ამბიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე (ცქიფურიშვილი 85), ჯიშკარიანი, თოლორდავა, კარიაული, ხუციშვილი, დავითაშვილი
სათადარიგონი: კოროშინაძე; დ. ჭელიძე, ხარებავა, ბაჯელიძე, ჩანადირი, დევიძე
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (ხარებაშვილი 46), ლ. ამბიძე, მ. სამხარაძე, სულთანოვი (ნ. ჩალაძე 73), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, გაგუა, ხიდაშელი (გ. ჩალაძე 24)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე
გაფრთხილება: ხიდაშელი (7)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი), ლ. სილაგავა; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

თბილისი
30 მარტი
15 საათი
26 მაისი
300 (ტევადობა 16 000)

## ლოკომოტივი 2:0 იბერია

1:0 კილასონია (20), 2:0 წივწივაძე (53)
ლოკომოტივი: დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, კაციაშვილი, შ. ხუჯაძე, დ. მუჯირი (ქოიავა 86), ვ. კილასონია, დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი (კ. მელქაძე 46), წივწივაძე (კოტორაშვილი 82)
სათადარიგონი: დოლაბერიძე; კ. გოგოლაძე, მარლიშვილი, ნ. მელაძე
იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ხუჭუა (ნ. გიორგაძე 85), ვარდიაშვილი (ფილიპაშვილი 63)
სათადარიგონი: ვარდანიძე; ფხაკაძე, მესიაჩენკო, რ. ცომაია, მუმლაძე
გაფრთხილება: დოლიძე (20), ლურსმანაშვილი (77)
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ა. მეშკოვი, ა. ქარქაშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

წყალტუბო
30 მარტი
15 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 0:1 კოლხეთი

0:1 ღაღანიძე (82)
სამგურალი: ასლანაძე, ჯავახაძე (გ. კილასონია 28), ლ. ქობულაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, მ. ჯინჭარაძე (ზ. ქუთათელაძე 63), გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია
სათადარიგონი: ბობოხიძე; დარსაძე, ბურნაძე, ღონღაძე, ლ. გიორგაძე
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, შალამბერიძე, ღაღანიძე, ჩადუნელი (ბულუხია 83), ანჯაფარიძე (ბურკვაძე 86), ე. გვასალია (შავგულიძე 79), კალანდაძე, მ. ქობულაძე
სათადარიგონი: ჩემია; კრასოვსკი, ბაჩილავა, ჩაგანავა
გაფრთხილება: აფციაური (3), ფრანგიშვილი (25), გოროზია (42), შალამბერიძე (52), ტორჩინავა (54), სუხიაშვილი (76)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. ორდენიძე (ონი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

თბილისი
31 მარტი
15 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

## დინამო 0:0 თსუ

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, ა. მუჯირი, მ. მაჭავარიანი, გუჩუა (კიკნაძე 46), ტულუში (ა. სახვაძე 60), ალექსიძე, წიტაიშვილი, აშვეთია, ქებაძე (ჩომახიძე 46)
სათადარიგონი: ბათიაშვილი; ხიზანეიშვილი, რუხაძე
თსუ: გაბელია, გ. ილურიძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ვ. ლუდუშაური, მაღრაძე, გონჩაროვი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
სათადარიგონი: მერლანი; ინწკირველი, ბუკია, თოლორაია, სვანაძე
გაფრთხილება: გუჩუა (33), მიქაძე (38), ჭუმბურიძე (80)
გაძევება: მიქაძე (72)
მსაჯები: ა. ორდენიძე (ონი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. დოლიძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. კაჭახიძე

**ბომბარდირები**

18 - აშვეთია — *დინამო*
15 - იონანიძე — *ტორპედო*
12 - დ. მახარაძე — *გურია*
წივწივაძე — *ლოკომოტივი*
11 - ე. გვასალია — *კოლხეთი*
10 - ხომერიკი — *ბათუმი*
9 - კაიდარაშვილი — *დილა*
მეგრელაძე — *ტორპედო*
8 - ალექსიძე — *დინამო*
დ. ჯანაშია — *ტორპედო*

**სიმბოლური ნაკრები**

ლევან ხომერიკი — *ბათუმი*
ლაშა ნოზაძე — *ვიტ ჯორჯია*
კახა ჩხეტიანი — *ტორპედო*
მამუკა აფციაური — *სამგურალი*
ვარლამ კილასონია — *ლოკომოტივი*
დავით ჭიჭვეიშვილი — *ბათუმი*
პაატა ბარნოვი — *ლოკომოტივი*
გიორგი დავითნიძე — *მერანი*
გიორგი ჭანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
გია გიორგაძე — *კოლხეთი*
სერგო ჭურაძე — *ვიტ ჯორჯია*
გუნდი ვიტ ჯორჯია
მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე *ვიტ ჯორჯია*

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | # | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დინამო (1) | 1 | 20 | 16 | 4 | 0 | 64:10 | +54 | 52 | 10 | 8 | 2 | 0 | 39:7 | +32 | 26 | 10 | 8 | 2 | 0 | 25:3 | +22 | 26 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 20 | 14 | 2 | 4 | 48:18 | +30 | 44 | 10 | 8 | 1 | 1 | 27:6 | +21 | 25 | 10 | 6 | 1 | 3 | 21:12 | +9 | 19 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 20 | 10 | 10 | 0 | 25:8 | +17 | 40 | 10 | 5 | 5 | 0 | 12:3 | +9 | 20 | 10 | 5 | 5 | 0 | 13:5 | +8 | 20 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 20 | 10 | 4 | 6 | 43:32 | +11 | 34 | 10 | 7 | 1 | 2 | 27:11 | +16 | 22 | 10 | 3 | 3 | 4 | 16:21 | -5 | 12 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 20 | 9 | 7 | 4 | 27:16 | +11 | 34 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:6 | +12 | 21 | 10 | 3 | 4 | 3 | 9:10 | -1 | 13 |
| 6 დილა (9) | 6 | 20 | 9 | 5 | 6 | 28:24 | +4 | 32 | 10 | 6 | 2 | 2 | 16:7 | +9 | 20 | 10 | 3 | 3 | 4 | 12:17 | -5 | 12 |
| 7 მერანი (7) | 7 | 20 | 6 | 9 | 5 | 21:20 | +1 | 27 | 10 | 3 | 5 | 2 | 7:4 | +3 | 14 | 10 | 3 | 4 | 3 | 14:16 | -2 | 13 |
| 8 არსენალი (დ) | 11 | 20 | 5 | 8 | 7 | 23:36 | -13 | 23 | 10 | 2 | 5 | 3 | 13:19 | -6 | 11 | 10 | 3 | 3 | 4 | 10:17 | -7 | 12 |
| 9 ვიტ ჯორჯია (10) | 12 | 20 | 7 | 4 | 9 | 18:19 | -1 | 22 | 10 | 3 | 2 | 5 | 10:11 | -1 | 11 | 10 | 4 | 2 | 4 | 8:8 | 0 | 14 |
| 10 იბერია (დ) | 8 | 20 | 6 | 4 | 10 | 29:36 | -7 | 22 | 10 | 4 | 3 | 3 | 18:12 | +6 | 15 | 10 | 2 | 1 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 11 სამგურალი (12) | 9 | 20 | 6 | 2 | 12 | 18:37 | -19 | 20 | 10 | 4 | 0 | 6 | 8:13 | -5 | 12 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:24 | -14 | 8 |
| 12 ოდიში (5) | 10 | 20 | 6 | 2 | 12 | 16:31 | -15 | 20 | 10 | 4 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 13 | 10 | 2 | 1 | 7 | 4:15 | -11 | 7 |
| 13 სიონი (13) | 13 | 20 | 5 | 4 | 11 | 18:39 | -21 | 19 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | +1 | 15 | 10 | 1 | 1 | 8 | 5:27 | -22 | 4 |
| 14 გორდა (11) | 14 | 20 | 4 | 7 | 9 | 14:27 | -13 | 19 | 10 | 3 | 4 | 3 | 8:13 | -5 | 13 | 10 | 1 | 3 | 6 | 6:14 | -8 | 6 |
| 15 თსუ (8) | 15 | 20 | 3 | 7 | 10 | 15:26 | -11 | 16 | 10 | 1 | 3 | 6 | 10:17 | -7 | 6 | 10 | 2 | 4 | 4 | 5:9 | -4 | 10 |
| 16 გურია (14) | 16 | 20 | 3 | 3 | 14 | 21:49 | -28 | 12 | 10 | 3 | 1 | 6 | 14:19 | -5 | 10 | 10 | 0 | 2 | 8 | 7:30 | -23 | 2 |

(?) — ადგილი წინა ჩემპიონატში. # — ადგილი წინა ტურში ! — ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

პირადად მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ევრო 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ეროვნული ნაკრების გასვლაზე ყველა გუნდი „ჩალიჩობს"... თავად საქართველოს ეროვნული ნაკრების გარდა. ხისა და ცულის ტარის არ იყოს, ერთადერთი ძოძუაშვილის „ექსცესები" არაა მოსაწონი, მაგრამ ამასაც მოევლებოდა, რომ არა „შინდისფერი ლეგიონის" ბედოვლათობით გაფლანგული ხუთი ქულა.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — „შინდისფერებმა" საწყის ოთხ ტურში რვა ჰალალი ქულა დაკარგეს და მაინც დარჩათ ბელგია — ჰოლანდიაში მოხვედრის შანსი. და რახან ეს „შანსი" თამუნიას სიყვარულივით ცას გამოეკერა და არ კვდება, ეგებ...

თუმცა რა ეგებ, ნამუსიც კარგი საქონელია, სინდისიერი ხალხი ასეთ შემთხვევაშიც ქუდს იხურავს და მიდის (არა მარტო მწვრთნელი), მაგრამ ჩვენში ასე არასოდეს მომხდარა და რაღა ახლა მოხდება უცნაური. ესეც არ იყოს, სინდისი ხომ ქიმერაა...

### წავა ვოვა და სხვა მოვა...

როგორღაც ისე მივეჩვიეთ, რომ ნებისმიერი წარუმატებლობა მწვრთნელს უნდა დაბრალდეს და მერე, ყველაფერი რომ აირევ-დაირევა, განტევების ვაცად ხან ჩივაძე, ხან ყიფიანი, ხან გუცაევი იქცევიან ხოლმე და მიდიან...

ახლაც გუცაევის წასვლაზე ლაპარაკი ითვლება კარგ ტონად. ის კი, ფეხბურთელები რომ მინდორზე არ იბრძვიან, მარადპერსპექტიულ თაობად რომ შეაბერდნენ ქართულ ფეხბურთს, დაუსრულებელ კონფლიქტებში რომ არიან მწვრთნელებთან (და არა მარტო გუცაევთან), „მოვე-ტონია".

დავუშვათ, წავიდა გუცაევი. წავა, რა თქმა უნდა, დამარცხებული და ხელმოცარული ნაკრების მწვრთნელის იარლიყით. ხალხსაც ძველებურად აღარ ეიმედება მისი („პაიჭაძის" ტრიბუნებიდან ნასროლი ბოთლიც ხომ ამის პირველი ნიშანია). საკითხავი და საინტერესო ისაა, ვინ უნდა მოვიდეს. თუკი ვინმე მაინც დააპირებს მოსვლას, აქედანვე ვურჩევდით, კარგად დაფიქრებულიყო, თავისი შესაძლებლობები ერთხელაც შეეფასებინა და ისიც გაეთვალისწინებინა, რომ „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია" ევრო 2000-ის შესარჩევი ციკლის დამთავრებამდე მაინც არ აპირებს ბოთლების გამოშვების შეწყვეტას.

ის, ვინც გუცაევის მაგივრად მოვა „შინდისფერი ლეგიონის" სათავეში, ინტელექტით უნდა სჯობდეს გუცაევს. საუბარია სამწვრთნელო და არა საერთოდ ინტელექტზე. ჰოდლისგან განსხვავებით, ჩვენებურებს არავინ მოსთხოვს შეხედულების გადასინჯვას სულთა რეინკარნაციის შესახებ. სამწვრთნელო ინტელექტით კი ქართველ მწვრთნელთა კოჰორტა ერთობ მწირია. თუკი ვინმეს საწინააღმდეგო აზრი აქვს, კეთილი ინებოს და ბოლო წლებში ქართული გუნდების მონაგარს ჩახედოს. იქ, რა თქმა უნდა, სახეიროს ვერაფერს ნახავს და აქედან გამომდინარეობს დასკვნაც — შედეგი თუ ნულია, ნულია მწვრთნელიც.

წარსულში დიდი ფეხბურთელობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დიდი მწვრთნელი გახდე. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ პელეზე, მარადონაზე, დი სტეფანოზე ანაც პუშკაშზე დიდი მწვრთნელი ვერც ვერავინ იქნებოდა. წარსული ავტორიტეტი ავტორიტეტად, მაგრამ ხალხი დღევანდელობით ცხოვრობს და თუ ამ წარსულ ავტორიტეტს დღევანდელობაშიც არ ეცი პატივი, აუცილებლად ბოთლს (ვაშლს, ქვას) გესვრიან.

თანამედროვე მწვრთნელად რომ ჩამოყალიბდე, საფეხბურთო ალღოსთან ერთად სპეციალური სამწვრთნელო განათლებაც უნდა გქონდეს კაცს. ტყუილად როდი იმართება ცივილიზირებულ საფეხბურთო სამყაროში ათასგვარი სამწვრთნელო სემინარები, სადაც ლექციებს მართლაც რომ გამორჩეული და ნიჭიერი ხალხი კითხულობს და სადაც უამრავი რამის სწავლა შეიძლება.

# გლახაზე ნაამბობი

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ყისმათი დასცინის. კარგა ხანია, ამაზე ხალხი ლაპარაკობს, მაგრამ ხმამაღლა ჯერაც არაფერი თქმულა. ლატვია — საბერძნეთის თამაშის შემდეგ კი სახალხოდაც შეიძლება ითქვას — ბედი ჩვენს სასარგებლოდ ბჭობს, ჩვენი ფეხბურთელები კი იცინიან (ოღონდ წარუმატებელი მატჩიდან დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წუთის შემდეგ — მინდვრიდან, როგორც წესი, მწუხარე სახით და თავზე ხელწავლებული გადიან).



ეროვნული ნაკრების ყველა შეკრება სიცილ-ხარხარით იწყება...

დარწმუნებული ვართ, ცოტა მდიდარი ტაქტიკური არსენალი რომ ჰქონოდათ ჩვენი ნაკრების თავკაცებს, გია ჩხაიძეს მაყურებლის სტვენისთვის არ გაიმეტებდნენ. ან პრესკონფერენციაზე ერთ-ერთი მათგანის კომენტარი რას ჰგავდა — სლოვენიელებმა ცენტრში გვაჯობეს და ჩვენი საჯარიმოდან მეტოქის საჯარიმომდე „ჩაკიდულებიც" ამიტომ გამოვიგონეთო.

„ჩაკიდულების" გამოგონება კი არა, იმის მოფიქრება იყო მთავარი, რომ საქართველოს ნაკრებმა სამი ნომინალური ნახევარმცველით ითამაშა. ამასთან ერთი დაცვას უფრო ეხმარებოდა და არც გასაკვირია, რომ სლოვენთა მობილურმა ნახევარდაცვამ ცენტრი მოიგო.

ვინც უნდა მოვიდეს ეროვნული ნაკრების სათავეში, ჩასაფრებული და მოკიყინე არ დაელევა. ამიტომ ფიქრი გვმართებს ყველას — სფფ-დან დაწყებული უბრალო ქომაგით დამთავრებული. მწვრთნელთა წამდაუწუმ და პანტაპუნტით ცვლა არავითარ სიკეთეს არ მოუტანს „შინდისფერებს", მთავარია, გუნდის სათავეში იდგეს ნდობით და ღირსებით აღჭურვილი პიროვნება, რომლის სიტყვასაც ფასი ექნება და რომელსაც ფეხბურთელები ადვილად ვერაფერს შეჰბედავენ (თქვენ წარმოიდგინეთ, კონფლიქტებსაც).

თორემ ყველა მწვრთნელს ტაშით, იმედებით და მხარზე ხელის ტყაპუნით ხვდებიან ქართველი ფეხბურთელები, ბოლოს კი ლანძღვა-გინებით და კონფლიქტებით შორდებიან. — ეს ვინ ყოფილა, ფეხბურთის ბაიბურში არ არის, ამან ვის რა უნდა ასწავლოსო — ამბობენ ხოლმე ქართველი მობურთალები მორიგ ქართველ მწვრთნელზე, მას შემდეგ, რაც ნაკრები ჯგუფიდან გასვლის მორიგ შანსს კარგავს.

### საფეხბურთო ლოგიკა

უკიდურესობაში ვარდება-ხოლმე ქართველი კაცი. ისე ხდება, სტადიონზე მისულთაგან ნახევარი გუცაევს უსტვენს, ნახევარიც, ვთქვათ, ქინქლაძეს.

ეს ორი მხარეა, ორი პოლუსი. და დარწმუნებულიც ბრძანდებოდეთ, რომ ორივე მათგანს თავი მართალი ჰგონია.

ვინც გუცაევს უსტვენს, იმის აზრით, ქინქლაძის, ანაც სხვა მისი თაობის ფეხბურთელების არ თუ ვერგამოყენება დანაშაულია — ამ ბიჭებს შეუძლიათ თამაში, ფეხბურთისთვის არიან დაბადებული — ამბობენ ისინი.

— მაგათი ფეხბურთი მორჩა. თუ ასეა, კლუბებში რატომ ვერ წყვეტენ ვარსკვლავებს. იქაც გუცაევი უშლით ხელს? თავში აუვარდათ და ეგაა! — ურწმუნოდ აქნევენ თავს მეორენი.

კიდევ ვიმეორებთ, ერთსაც შეიძლება დაეთანხმო, მეორესაც. მოკლედ, კამათი უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ შველის კი ეს საქმეს?!

ჩვენი მხრივ, არც ერთს დავეთანხმებით, არც მეორეს — ორივე უკიდურესობაა და იმიტომ. უკიდურესობა გულშემატკივარს ახასიათებს, ჟურნალისტს არ შეჰფერის.

მართალი ისაა, ვინც იტყვის, რომ ქინქლაძის და გუცაევის ერთდროულად გამოყენება შეიძლება. თუკი ქინქლაძეს თამაშში ერთი პასის „გაჩითვა" შეუძლია, გუცაევსაც ძალუძს იტალიის ახლაგაზრდულ ნაკრებთან ჭიდილში ჯგუფური ტურნირის მეორე ადგილზე ჩამთავრება.

ქინქლაძე მართლა ნიჭიერი ფეხბურთელია. სხვანაირად იგი „მანჩესტერ სიტის" უპოპულარულეს ფეხბურთელობას კოლინ ბელს ვერ შეეცილებოდა, მაგრამ მისი კარიერა ახლა საუკეთესო წლებს ვერ ითვლის და მარტო „ქინქლაძეობისთვის" ნაკრებში მისი ოთხმოცდაათივე წუთს თამაში, უბრალოდ, არ შეიძლება.

ვლადიმერ გუცაევი კი მაშინ იქნება კარგი მწვრთნელი, თუ გამოიცნობს, მაშინ ჩართოს ქინქლაძე თამაშში, როცა გიორგის „იმ ერთი პასის გაჩითვა" ყველაზე მეტად შეეძლება და არა იმ დროს, როცა ტრიბუნებიდან მაყურებელი მოითხოვს ქინქლაძის გამოყვანას.

ერთი სიტყვით, ზომიერებაა მთავარი.

### ფეხბურთელებსაც გააჩნიათ

ზემოთ მწვრთნელებზე ვისაუბრეთ და ახლა ფეხბურთელებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. გონებას არ შორდება სლოვენთა ნაკრების თავკაცის, სრეჩკო კატანეცის, ნათქვამი — თქვენ, ქართველებს, რამდენიმე კარგი ფეხბურთელი გყავთ, რამდენიმემ კი, უბრალოდ, ფეხბურთის თამაში არ იცისო.

მატჩის მერე პრეკონფერენციაზე კატანეცს ჰკითხეს, თუ ვის გამოყოფდა ქართველთაგან. მან მარტო დემეტრაძე გამოარჩია.

ესე იგი, ის „რამდენიმეც" პოზა და დიპლომატია ყოფილა, თავაზიანი სტუმრის მიერ მასპინძელთა გულის მოსაგებად ნათქვამი.

გამოდის, რომ, კატანეცის აზრით, საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მარტო ერთი ფეხბურთელია ფეხბურთელი. სხვა ქართველი ბიჭების ცოდვაც კატანეცის კისერზე იყოს, ასე ხელაღებით გამეტებას ნამდვილად არ იმსახურებენ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ქართველთა უმეტესობა სათანადო ფორმაში ვერ არის.

ფეხბურთელის სათამაშო ფორმა სათამაშო ფორმაა. იგი ხან საუკეთესო იქნება, ხანაც სასურველისგან შორი, მაგრამ მარტო ამაზე რომ არ არის დამოკიდებული „შინდისფერი ლეგიონის" შედეგი და თამაშის ხარისხი?

ჩვენი აზრით, ყველაფერს მაინც ქართველთა ტაქტიკური გაუმართაობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, თანამედროვე ფეხბურთის უცოდინარობა განსაზღვრავს.

აქ უპრიანია, ერთი ეპიზოდი მოვიყვანოთ სტივ მაკმანამანის კარიერიდან. „ლივერპული" ერთ-ერთ თამაშს ვერ იგებდა და გაცოფებული მაკმანამანიც მწვრთნელს ეცა — რამე მოიფიქრე, თორემ ხომ ხედავთ, წავაგეთო.

არც ერთი ქართველი ფეხბურთელი არ მოქცეულა ასე სლოვენიელებთან მატჩისას და არც არასოდეს მოიქცევა. ქართველ ფეხბურთელს ვერ წარმოუდგენია, რომ თამაშის მსვლელობის დროსაც შეიძლება რაიმეს შეცვლა მინდორზე, მას მატჩის წინ ან შესვენებაზე დაავალებენ, რომ ბურთი მეტოქის საჯარიმოში უნდა ჩაჰკიდოს და შეხვედრის ბოლომდე ასე გააკეთებს. და თუ რაიმეს შეცვლა მოუნდება, ეს არ იქნება ტაქტიკური გადაადგილება, იგი „ჩაკიდულს" ჯანაშიას ნაცვლად დემეტრაძეს მაწვდის ხოლმე — ეს არის და ეს.

ტაქტიკურიდან ფიზიკურ და ფუნქციონალურ მომზადებაზეც გადავიდეთ.

ფიზიკურად ჩვენებს მუდამ უჭირდათ. განა მარტო ახლა, ადრეც ასე იყო, როცა „დინამოს" გრანდებთან უწევდა ჭიდილი. ახლანდელ თაობაზე კი იმას ვიტყვით, რომ ისინი ვერა და ვერ გაიზარდნენ ასმეტრიანი მოედნის ფეხბურთელებამდე, მხოლოდ საკუთარი ზონის კონტროლით იფარგლებიან-ხოლმე და თუკი მაინც გაუწევთ გული სხვაგან, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მორიგი „სლალომის" გუნებაზე მოვლენ.

„სლალომები" აღარ უხდება თანამედროვე ფეხბურთს. სლალომი სამთო-სათხილამურო სპორტის შვილობილია. ფეხბურთში კი ერთი-ორი შეხება და სწრაფი აზროვნება უკეთესია.

ამას წინათ ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, რომ ერთი თამაშისას საშუალოდ 120-ჯერ ეხებოდა ბურთს. ყველაზე „პასიური" დინამოელი კი ზაურ სვანაძე ყოფილა, რომელიც საშუალოდ 30-ჯერ აკეთებდა ამას (გავიხსენოთ, სწორედ სვანაძე გამოირჩეოდა-ხოლმე რეიდებით და მასვე უკიჟინებდნენ ფიზიკურ სისუსტეს).

თურმე მარადონა 160-ჯერ ეხებოდა თამაშის განმავლობაში ბურთს. ახლა გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენი მატჩია საჭირო, რათა რომელიმე ქართველმა ფეხბურთელმა ამდენჯერვე მოიმოქმედოს იგივე? ყოველ შემთხვევაში, არა ერთი ან ორი — ეს ნამდვილია.

ჰოდა, აქედან ისიც ვივარაუდოთ, რამდენით ჩამორჩნენ „ახალი ქართველები" თუნდაც ჩივაძეს, რომელიც კარგა თხუთმეტი-ოცი წლის წინ თამაშობდა ფეხბურთს.

ისე, საცოდაობა კია, ჩივაძის ფეხბურთსაც ფეხბურთი ერქვას და იმასაც, რასაც საქართველოს ეროვნული ნაკრები თამაშობს.

### დაე, მუდამ იყოს ფიფა!

ქომაგს კი რა დარჩენია — უნდა ელოდოს. ერთი ციკლი ჩამთავრდება, მეორის დაწყებას დაელოდება, მეორეს ჩააფლავებს „შინდისფერი ლეგიონი", მესამე მოადგება კარს და ასე შემდეგ... მთავარია, ფიფა-უეფა იყოს დღეგრძელი, თორემ ფეხბურთი ნაღდად არ მოგვაკლდება. ამ გულისხეთქვაგაწამაწიაში ალაგ-ალაგ გერმანიის, ინგლისის, იტალიის ნაკრებების ნახვასაც გამოვკრავთ ხელს და თუკი, ვენეიბლზისა არ იყოს, ორ წელიწადში ერთხელ ჩვენმა ნაკრებმა სასწაულიც მოახდინა და იტალიის დონის გუნდთან ფრე გაახერხა (ალავერდს ბელარუსებთან გადავდივარ), რაღა გვინდა მეტი.

კიდევ იმიტომ უნდა იყოს ფიფა დღეგრძელი, რომ ყოველ წელიწადს ცოტა „მწვანეთიც" დაგვიჯილდოებს სფფ-ს, მერე სფფ-სვე ეროვნულ სტადიონზე 20000-ზე მეტი სკამის დადგმასაც დაამალებს და მრავლისმნახველ ქართულ პოლიციასაც აღარ დასჭირდება სტადიონის ტერიტორიიდან მატჩზე მოუხვედრელი ქომაგის ანტიძალინებით გარეკვა.

ქომაგისა, რომელიც უკვე სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ ქართული ფეხბურთი მოკვდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ჩელებაძის კომენტარი

გუშინ პრესაში გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, თითქოსდა, წარსულში თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი რევაზ ჩელებაძე აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად დაინიშნა. ბუნებრივია, ჩვენ თავად ჩელებაძის კომენტარით დავინტერესდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ინფორმაცია ჯერჯერობით სიმართლეს არ შეეფერება:

—ასეთი არაფერი მომხდარა და ცნობას ჩემი გაპრეზიდენტების შესახებ ჭორის მეტს ვერაფერს დავარქმევ. ეს საკითხი მთლიანად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის გადასაწყვეტია.

**ვახტანგ ბზიკაძე**

## კოტრიკაძეს თანაშემწე გამოუჩნდა

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელ სერგო კოტრიკაძეს, გუნდის განვრთნაში დღეიდან სეზონის ბოლომდე კოტე დოლიძე დაეხმარება. დოლიძე ბოლო დროს ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდ „ვაკე 91"-ის მთავარ მწვთრნელად მუშაობდა და უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებითაც. მისი ხელმძღვანელობით „ვაკე 91"-ს ქართულ თუ ევროპულ სარბიელზე არაერთი ჯილდო მოუგია.

როგორც „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა ბატონმა გურამ რუხაძემ გვითხრა, სერგო კოტრიკაძე და კოტე დოლიძე გუნდს მიმდინარე ჩემპიონატის გასრულებამდე გაუძღვებიან, ხოლო შემდეგ კოტრიკაძე ვიცე-პრეზიდენტობას დაუბრუნდება, დოლიძე კი ფარმ-კლუბ „ვიტ ჯორჯია 2"-ის მთავარ მწვრთნელად იმუშავებს. ეს კლუბი ოფიციალურად ზაფხულში შეიქმნება და მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატშიც მიიღებს მონაწილეობას, ცხადია, მეორე ჯგუფში.

მანამდე კი ვიტელებს პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად მოუწევთ ბრძოლა, თუმცა ეს მათ წესით არც უნდა გაუჭირდეთ. ამის თქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, „ვიტ ჯორჯიას" ბოლოდროინდელი თამაში გვაძლევს. გამოცდილი კოტრიკაძის ხელში გუნდმა საგრძნობლად მოუმატა. ამის დასტურად ბოლო ტურიც გამოდგება, როცა თბილისელებმა სტუმრად ჩემპიონობისთვის მებრძოლ ქუთაისის „ტორპედოს" სძლიეს.

იმედია, დოლიძის მისვლა „ვიტ ჯორჯიას" კიდევ უფრო წაადგება და სასურველი მიზნის მიღწევაშიც დაეხმარება.

**ვანო ოქროპირიძე**

## მალე ორშაბათიც მოვა

თუკი 5 აპრილს, 12 საათზე, თასის ნახევარფინლებზე მსაჯთა კენჭისყრაა დანიშნული, ამ დღეს, ზუსტად იმავე დროს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორის კაბინეტში ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის მორიგი სხდომა გაიმართება. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა საკითხებზე იქნება საუბარი. ისევ და ისევ უდისციპლინო მოთამაშეებზე იმსჯელებენ, ამას კი წინა სხდომაზე მიუღებელი გადაწყვეტილებების განხილვაც დაემატება. ასე რომ, ორშაბათი მძიმე დღეა.

**გიორგი ვაშაკიძე**

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

### I ჯგუფი

#### შვეიცარია 2:0 უელსი

1:0, 2:0 შაპუიზა (4, 70)
შვეიცარია: ბრუნერი, ჟანერე, ფურიე, ენჩოსი, ვოლფი, ფოგელი, მიულერი, ვიკი, შაპუიზა, სფორცა, კომიზეტი (ბელმანი 68)
უელსი: ჯონსი (კროსლი 26), რობინსონი, კემბრიჯი, სავეიჯი, საიმონსი, კოულმენი, ჯონსონი, სონდერსი, ბლეიკი (პართსონი 64), ჰიუზი (ბილემი 74), სპიდი

პირველ ორ შესარჩევ მატჩში შვეიცარიამ მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლო, თუმცა ბოლო ათ დღეში ჯერ ბელარუსი დაამარცხა 1:0, ახლა კი უელსს მოუგო და იტალიას კვალში ჩაუდგა.

— ეს ათი დღე ჩემი გუნდისთვის შესანიშნავი იყო. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რაც გვინდოდა. ახლა ვხვდებით, რომ ერთად ყოფნა, შეთანხმებულად მუშაობა და ურთიერთგაგება ბევრს შეგვაძლებინებს — განაცხადა შვეიცარიელთა მწვრთნელმა ჟილბერტ გრესმა.

მასპინძლებმა უელსს ამჯერად აჯობეს. შვეიცარიელთა უპირატესობა ადვილად შესამჩნევი გახლდათ და პირველიდან ბოლო წუთამდე არავინ ეჭვობდა, რომ სტუმრები შინ უქულოდ დაბრუნდებოდნენ.

შტეფან შაპუიზამ ორჯერ გაიტანა, ტაიმში თითო-თითოჯერ, ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა შვეიცარიას მოეგო. 2:0 და სამი ქულა — მასპინძლებმა მიიღეს ის, რაც უნდოდათ. შაპუიზასთვის კი ეს ქვეყნის პირველ გუნდში გატანილი მე-16 და მე-17 გოლები გამოდგა.

— მომავალ მატჩში ლოზანაში იტალიასთან ძნელი თამაში იქნება, თუმცა „სკუადრა აძურა" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. გვაქვს შანსი, ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშოთ და იგი უნდა გამოვიყენოთ — ეს სიტყვები მასპინძელთა თავდამსხმელ შტეფან შაპუიზას ეკუთვნის.

#### იტალია 1:1 ბელარუსი

0:1 ბელკევიჩი (24), 1:1 ინძაგი (31)
იტალია: ბუფონი, პანუჩი, მალდინი, კანავარო, ნესტა, დ. ბაჯო, დი ბიაჯო (ჯანიკედა 46), კონტე, ტოტი (დი ფრანჩესკო 46), ინძაგი, კიეზა (რ. ბაჯო 64)
ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, ლავრიკი, ლუხვიჩი, ოსტროვსკი, გურენკო, ორლოვსკი, რომაშჩენკო, ბელკევიჩი, მაკოვსკი, ბარანოვი

თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ იტალია გაიმარჯვებდა. თითქმის ყველას გაუცრუვდა იმედი, უფრო სწორად, შედეგმა გააკვირვა. იტალიის ნაკრებმა, რომელსაც აქამდე სამივე შესარჩევი შეხვედრა მოეგო, ბელარუსის ძლევა ვერ მოახერხა და ორი ქულა დაკარგა. პირველი შესარჩევი ჯგუფის ლიდერად „სკუადრა აძურა" მაინც დარჩა, თუმცა ახლა მდევარ შვეიცარიას მხოლოდ სამი ქულით უსწრებს, გამარჯვების შემთხვევაში კი...

— ბელარუსმა შესანიშნავად ითამაშა, თუმცა მეტოქის საუკეთესო მხარეების წარმოჩინებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ჩვენ უნიათოდ ვთამაშობდით. ფრე უპრიანი შედეგი იყო. იტალიამ ჩემი ხელმძღვანელობით ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა — დინო ძოფი, დანიელებთან მოგების შემდეგ ბელარუსთა შთამბეჭდავად ძლევას რომ ითხოვდა, ობიექტურად მსჯელობდა.

მწვრთნელის თქმისა არ იყოს, ბელარუსმა კარგად ითამაშა, მაგრამ ამაში დამნაშავე იტალიაც გახლდათ. მასპინძლებს დაღლა ემჩნეოდათ, დანიასთან მატჩს მათ მართლაც დიდი ძალა შეალიეს, თუმცაღა აპენინელებს ზედმეტი თავდაჯერებაც ეტყობოდათ. საკუთარი ძალის არაობიექტურად შეფასებას და მეტოქის არად ჩაგდებას ჯერ არავისთვის მოუტანია სიკეთე. ასე მოხდა ანკონაშიც — იტალიამ ორი ქულა დაკარგა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

გოლი პირველივე წუთზე გავიდა — „იუვენტუსის" თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმ, რომელმაც ანგარიში კოპენჰაგენშიც პირველ წუთზე, უფრო კონკრეტულად კი 36-ე წამზე გახსნა, ბელარუსის კარი 46-ე წამზე დალაშქრა, მაგრამ თანამსაჯმა ალამი ააფრიალა, აქაოდა „პიპო" თამაშგარეში იყოო. ერთი სიტყვით, გოლი არ ჩაითვალა.

გააუქმეს ბელარუსთა გოლიც, თუმცა ეს მეორე ტაიმში მოხდა — წესების დარღვევა ამ შემთხვევაშიც თამაშგარე მდგომარეობაში გამოიხატებოდა.

1:1 არჩათვლილ გოლებში და 1:1 ჩათვლილ გოლებში.

24-ე წუთზე იტალია ჩამორჩა — კიევის „დინამოს" ნახევარმცველმა ვალენტინ ბელკევიჩმა მარცხენა ფლანგიდან რომაშჩენკოს პასი მიიღო, შეუჩერებლივ დაარტყა და მასპინძელთა კარის ბადე შეარხია. ვერც პაოლო მალდინიმ, ბელკევიჩს რომ მეურვეობდა, ვერც ჯანლუიჯი ბუფონმა ვერაფერი იღონეს.

გოლს ბელარუსის ნაკრების შესანიშნავი თამაში უსწრებდა წინ. რამდენიმე წუთით ადრე იტალიელები გოლს გადაურჩნენ, მეორე შემთხვევაში კი ხიფათი ვერ გააუვნებლეს. და საერთოდ, როგორც ზემოთ ვთქვით, ბელარუსის ნაკრები კარგად თამაშობდა.

სხვაობა მალე აღდგა — გაუქმებული გოლით განაწყენებულმა ინძაგიმ გენადი ტუმილოვიჩის კარი მაინც დალაშქრა — ბელარუსებმა ანტონიო კონტესთან მეტისმეტად იუხეშეს და პენალტიც დაინიშნა.

ინძაგი, გამოქანება და გოლი — 1:1.

31-ე წუთზე ყველაფერი თავიდან დაიწყო — უფრო სწორად, დაიწყო დაძაბული, მაგრამ უხეში და უსახური თამაში, რომელიც მხოლოდ მსაჯის წყალობით დასრულდა.

ჯგუფის ლიდერ იტალიის ნაკრებში რამდენი ცვლილება შეიმჩნეოდა. აშკარაა, დინო ძოფი გუნდის გაახალგაზრდავებას ცდილობს — ბელარუსებთან მატჩში უდინელი ჯულიანო ჯანიკედას დებიუტი შედგა. „რომას" გამთამაშებელმა ფრანჩესკო ტოტიმაც ძირითადში დაიწყო თამაში.

რაც შეეხებათ ვეტერანებს, ისინი ადგილს ახალგაზრდებს უთმობენ. სხვათა შორის, „სკუადრა აძურას" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ნაკრებში 99-ე შეხვედრა ჩაატარა და წლეულსვე, ალბათ, ასიანთა კლუბში გაწევრიანდება.

შემდეგი შესარჩევი მატჩი იტალიას შინ აქვს — I ჯგუფის ლიდერი ივნისში უელსს მასპინძლობს. შეგახსენებთ, რომ შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრაში იტალიამ უელსს უკვე მოუგო 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| დანია | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ბელარუსი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |

### II ჯგუფი

#### ლატვია 0:0 საბერძნეთი

ლატვია: კარავაევსი, ლუკაშევიჩი, ასტაფიევი, ზემლინსკისი, ლობანოვსი, სარანდო (სტეპანოვსი 62), ივანოვსი, ბლაგონადეჟნი (ლუკაშევიჩი 46), პახარსი, მიხალოპსი (ისაკოვი 29), შტოლცერსი
საბერძნეთი: ატმაძიდისი, კასაპისი, უზუნიდისი, დაბიზასი, მავროგენიდისი, ზაგორაკისი, იანაკოპულოსი, გეორგატოსი, მახლასი (ანასტასიუ 77), ლიბეროპულოსი, ნიკოლაიდისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| საბერძნეთი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| სლოვენია | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ალბანეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |

### III ჯგუფი

#### მოლდოვა 0:0 ჩრდ. ირლანდია

მოლდოვა: დინოვი, ფისტიკანი, რებეჟა, სოსნოვსკი, გუზუნი, სტრენკო, სუხარევი, ოპრია (სტრატულატი 90), გაიდამაშჩუკი, ეპურეანუ, კლეშჩენკო
ჩრდ. ირლანდია: ტეილორი, პატერსონი (ა. ჰიუზი 56), ჰორლოკი, ლომასი, უილიამსი, მოროუ, გილესპი, ლენონი, დაუი, მ. ჰიუზი, რობინსონი

უსახური თამაში იყო. ამ გუნდების პირველი შეხვედრაც, შემოდგომაზე რომ გაიმართა ბელფასტში, ფრედ დასრულდა. მაშინ მეტოქეებმა ერთმანეთს გოლები მაინც გაუტანეს, ახლა კი...

#### გერმანია 2:0 ფინეთი

1:0 იერემისი (31), 2:0 ნოივილი (37)
გერმანია: კანი, მათეუსი, ბაბელი, ვიორნსი, შტრუნცი, ჰაინრიხი, იერემისი, ჰამანი (ნოვოტნი 72), ნოივილი (კირსტენი 65), ბირჰოფი, ბოდე (იანკერი 76)
ფინეთი: ნიემი, ილონენი, კინუნენი, კაუტონენი (კოლკა 72), ჰიპია, რეინი (ლეპკოსუო 89), ილოლა, რიჰალატი, ლიტმანენი, პაატელაინენი (საასტამოინენი 46), იოჰანსენი

იენს იერემისი გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. ფეხბურთის სპეციალისტთა აზრი, როგორც ჩანს, უსაფუძვლო არაა. მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი ფინელებთან მატჩში შეუდარებელი გახლდათ, ხოლო გოლი, რომელიც მან გაიტანა, შესანიშნავი იყო.

— იერემისი გუნდის ლიდერად უნდა იქცეს. იგი ძლიერი და ამასთანავე, უდიდესი პოტენციის მქონე მოთამაშეა. მას ძალუძს ნაკრების ლიდერობა და ეს დღევანდელ თამაშშიც დამტკიცდა — ერიხ რიბეკი, გერმანიის ნაკრების მწვრთნელი, მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელის მოქმედებით კმაყოფილი გახლდათ.

გერმანიის ნაკრები, ეტყობა, კრიზისს თავს აღწევს. კაცმა რომ თქვას, ბოლო ნახევარი წელიწადი გერმანული ფეხბურთისთვის კრიზისული არც ყოფილა, უბრალოდ, გუნდს ჩავარდნა ჰქონდა, ახლა კი მდგომარეობა გამოსწორდება. ჩრდილოეთ ირლანდიის და ფინელების ძლევა სწორედ ამაზე მიუთითებს.

ბუნდესნაკრებს პრობლემა არ შექმნია — იერემისის გოლით გამარჯვებულის ბედი გადაწყდა, მალე კი ოლივერ ნოივილმაც გაიტანა და სამი ქულის მფლობელიც საბოლოოდ გაირკვა. ფინეთი კი ცდილობდა გოლის გატანას, ძალას არ იშურებდა, მაგრამ როცა თავს ზემოთ ძალა არაა, გინდ ახტი, გინდ დახტი.

გერმანელებმა ამ შეხვედრაშიც სამჯერ იხეირეს, მაგრამ თუ იერემისს და ნოივილს ბედმა გაუღიმა და გოლები ჩაეთვალათ, კრისტიან ვიორნსს ჯაფა წყალში ჩაუყარეს — ნოივილის საჯარიმოს შემდეგ ბურთი ფინელთა კარიდან ასხლტა და ვიორნსმაც დაამატა. მსაჯი სწორად მოიქცა — ექსლევერკუზენელი ამჯერად თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

— კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით ევროპის ჩემპიონატისკენ. ასე ნელ-ნელა გავივლით შესარჩევ ტურნირს და ბელგია-ჰოლანდიაში მოვხვდებით. დარწმუნებული ვარ, პირველ ადგილს დავიკავებთ. გერმანიის ნაკრებს არ სურს, გადათამაშებაში მოხვდეს. არც მოხვდება — დაასკვნა რიბეკმა.

— ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო დაგვაახლოვა ევროპის პირველობასთან. ჩვენ ტიტული უნდა დავიცვათ. უბრალოდ, დაუშვებელია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მარცხის შემდეგ გულშემატკივარს კვლავ გავუცრუოთ იმედები — ოლივერ ბირჰოფმა ფინელებთან ვერ გაიტანა, მაგრამ მეტოქის კარის ძელი მაინც შეაზანზარა.

გერმანიის ნაკრებს 40 ათასი გულშემატკივარი ქომაგობდა. ნიურნბერგის სტადიონი თითქმის გაჭედილიყო. გერმანელთა ხმაურმა, ბუნდესნაკრების გამართულმა თამაშმა გამოიწვია ის, რომ ფინელები დამარცხდნენ. სკანდინაველებს გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი მე-60 წუთზე ჰქონდათ, მაგრამ იარი ლიტმანენის დარტყმული ბურთი ვიორნსმა თითქმის კარის ხაზიდან გამოიტანა. რაც შეეხება ვიორნსს, მორიგ შესარჩევ შეხვედრას, გერმანიის ნაკრები უმისოდ ჩაატარებს — ნახევარმცველმა მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირში მეორე გაფრთხილება მიიღო და...

— სულაც არაა სირცხვილი, ასეთ გუნდთან რომ მარცხდები. მთავარია, საბოლოოდ კარგ შედეგს მიაღწიო — თქვა ფინელთა მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ ნილსენმა. სხვათა შორის, მიოლერ ნილსენმა, როცა დანიის ნაკრებს წვრთნიდა, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში სწორედ გერმანიის ნაკრებს სძლია.

ერთიც: შესვენებისას მავანს დაურეკავს, სტადიონი დანაღმულიაო. სარბიელის ხელმძღვანელობას პოლიციელებთან და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან რამდენიმე წუთი უმსჯელია და გადაუწყვეტია, შეხვედრა გაეგრძელებინა. ყველაფერი ტყუილი ყოფილა. დამნაშავე დააკავეს.

გერმანიამ, რომელიც შემოდგომაზე თურქეთში დამარცხდა, ახლა პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ევროპის ჩემპიონები ლიდერობას აწი, ალბათ, აღარ დათმობენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| თურქეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 9 |
| ფინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ჩრდ.ირლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | 5 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 2 | 3 | 5:10 | 2 |

### IV ჯგუფი

#### რუსეთი 6:1 ანდორა

1:0 ტიტოვი (8), 2:0 ბესჩასტნიხი (11), 3:0 ონოპკო (42), 4:0 ციმბალარი (50), 5:0 ბესჩასტნიხი (62), 5:1 სანჩესი (73), 6:1 ალენიჩევი (90)
რუსეთი: ფილიმონოვი, ხლესტოვი, სმერტინი, ციმბალარი, იევსეევი (ტიხონოვი 46), ალენიჩევი, ონოპკო, კარპინი, ტიტოვი, შირკო, ბესჩასტნიხი
ანდორა: ალვარესი, რობერტო (გონსალესი 57), მანუელ გარსია, მარტინი, ტ. ლიმა, ი. ლიმა, პოლი, სონიხი, იმენესი, ლუჩენდო (სანჩესი 65), რუისი

— როდესაც გუნდს ბევრი გოლი გააქვს, დაცვა დუნდება. ეს ფეხბურთის კანონია და სანამ ჩემს კრიტიკას დაიწყებდნენ, ანდორისგან გოლი როგორ გაუშვიო, მანამ ჭეშმარიტებას გაეცნონ — მიმართა აბსტრაქტულ ოპონენტს ოლეგ რომანცევმა უშველებელი რუსეთის შვილთაგან ერთი ციცქნა ანდორის ძლევის შემდეგ.

შვიდი გატანილი გოლიდან ყველაზე ლამაზად ბურთი ფილიმონოვის კარში მაშინ აღმოჩნდა, როდესაც მომხიბლავი სახელის მქონე ხულია სანჩესმა, რომანცევის თქმის არ იყოს, მასპინძელთა მიძინებულ დაცვაში ისე გაინავარდა, როგორც, ალბათ, ყმაწვილკაცობაში მშობლიური ანდორის ბიბინა ველებზე და რატომღაც გაშეშებულ „ფილიას" მარჯვენა დაბალ კუთხეში შეუგორა.

#### უკრაინა 1:1 ისლანდია

1:0 ვაშჩუკი (59), 1:1 ლ. სიგურდსონი (66)
უკრაინა: შოვკოვსკი, ლუჟნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, მიკიტინი, გუსინი, პოპოვი (კალიტვინცევი 75), სკაჩენკო (მაქსმოვი 46), კოსოვსკი, შევჩენკო, რებროვი
ისლანდია: ბ. კრისტინსონი, ჰელგასონი, ლ. სიგურდსონი, იონსონი, ადოლფსონი, რ. კრისტინსონი (კოლვიდსონი 80), გუნლაუგსონი, ე. სვერისონი, ჰ. სიგურდსონი (ს. სვერისონი 85), გუდიონსონი, გუნარსონი

უკრაინელებმა თავად გაირთულეს საქმე. ისლანდია ნაღდად არ არის ის მეტოქე, შინ დაახლოებით 100 ათასი ერთგული ქომაგის თვალწინ რომ ვერ მოუგო, მაგრამ ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება.

შედეგი უსამართლო გახლდათ. მასპინძლები ნაღდად იმსახურებდნენ სამ ქულას, რადგან, მოწინააღმდეგისგან განსხვავებით, ისინი, უბრალოდ, ფეხბურთს თამაშობდნენ. ისლანდიის ნაკრებს ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ქულა წაეღო და ამისთვის ყველაფერს კადრულობდა, პირველ ყოვლისა კი იმას, რომ ფეხბურთს არ თამაშობდა.

ანგარიში 59-ე წუთზე ვლადისლავ ვაშჩუკმა გახსნა ლამაზი გარღვევის შემდეგ და ყველას ეგონა, მისი გუნდი წელში გადატეხავდა უსახურ მეტოქეს, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და ისლანდიელებმა საპასუხო ბურთი შეაგდეს — ისეთივე მახინჯი, როგორიც თავად მათი ფეხბურთია — ცენტრალური მცველის ლარუს სიგურდ-



საფრანგეთი — სომხეთი 2:0. ნიკოლა ანელკამ, „უემბლიზე" ინგლისს ორჯერ რომ გაუტანა, თავი ამჯერად ვერ გამოიჩინა



შვეიცარია — უელსი 2:0. მარკ ჰიუზი სამ მასპინძელ ფეხბურთელს გადააფრინდა და ბურთსაც შესწვდა

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

სონის დარტყმული რიკოშეტის შემდეგ ჭაბუკი შოვკოვსკის კარში აღმოჩნდა. მასპინძლები მერე კი ეცადნენ გაემარჯვათ, თავიც გადადეს, მაგრამ...

— ეს დიდებული შედეგია ჩვენთვის, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ბედნიერებაა კიევში ქულის მოპოვება. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე მეოთხე ადგილს ვუმიზნებდით. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, საგრძნობლად მოგვემატა მადა. ისე, არცთუ უსაფუძვლოდ — ისლანდიელთა გახარებული მწვრთნელი გუდიონ ტორდარსონი ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს გაიძახოდა.

მასპინძელთა თავკაცი იოჟეფ საბო კი, ბუნებრივია, უხასიათოდ გახლდათ.

— ქულების დაკარგვის მთავარი მიზეზი ფრანგებთან უმძიმესი მატჩი იყო, რომლის შემდეგაც რამდენიმე ფეხბურთელმა ძალების აღდგენა ვერ მოახერხა. გოლიც უსუსური და უსამართლო გავუშვით, რამაც კიდევ უფრო დამწყვიტა გული.

### საფრანგეთი 2:0 სომხეთი

1:0 ვილტორდი (3), 2:0 დიუგარი (45)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი (ტარემბუ 79), დესაი, ბლანი, დეშამპი, ვიეირა, ჯორკაეფი (პირესი 69), ბოგოსიანი, ანელკა, ვილტორდი, დიუგარი (ტრეზეგე 46)

სომხეთი: ბერეზოვსკი, სუკიასიანი (ხაჩატურიანი 40), მკრტჩიანი, ვარდანიანი, ჰოვსეფიანი, ჰოვანესიანი, პეტროსიანი, ვოსკანიანი (ჰირაპეტიანი 77), სარქისიანი, შახგელდიანი (იესაიანი 53), მიქაელიანი

მსოფლიოს ჩემპიონებმა ოთხი დღის განმავლობაში მეორედ უმასპინძლეს დიდი საბჭოეთის ყოფილი ნაწილის გუნდს. ზღვა ამბიციების (ამას ამბიციაც აღარ ჰქვია) მქონე უკრაინელებს მათ ვერაფერი დააკლეს, მეტიც, კინაღამ თავად შერცხვნენ. აი, ალან ბოგოსიანის თანამემამულეები კი ადვილად გააბითურეს.

სომხები იმთავითვე განწირულნი იყვნენ. მატჩი დაიწყო თუ არა, ყველაფერი ნათლად გამოჩნდა. მართალია, მასპინძლებმა რომან ბერეზოვსკის ორად ორი გოლი გაუტანეს, მაგრამ უპირატესობას მთლიანად ისინი ფლობდნენ.

ანგარიში საფრანგეთის ჩემპიონატის შავკანიანმა ბომბარდირმა სილვენ ვილტორდმა გახსნა ნაკრებში სადებიუტო გოლით. მას ასისტენტობა არსენალელმა ზანგებმა — პატრიკ ვიეირამ და ნიკოლა ანელკამ გაუწიეს.

სომხების კარის ბადე პირველივე ტაიმში შეირხა მეორედ — კუთხური იური ჯორკაეფმა მოაწოდა, ბურთი ბოგოსიანმა (ბედის ირონიაა, აბა, რა) კარის გასწვრივ ჩაჰკიდა თავით, სადაც ლორან ბლანი ეგულებოდა. ტანმაღალი მცველის თავური ხარიხამ მოიგერია, დამატებაზე კი (ასევე თავით) ყველას კრისტოფ დუგარიმ დაასწრო — 2:0.

მეორე ნახევარიც ფრანგთა კარნახით მიმდინარეობდა. ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ იმავე ვილტორდს, დუგარის შემცვლელ დავიდ ტრეზეგეს, რობერ პირესს, ჯორკაეფს და დიდიე დეშამსაც კი. თუმცა ბურთი ხან სულაც სცდებოდა მიზანს, ხანაც ბერეზოვსკი ყოჩაღობდა.

რაც შეეხებათ სტუმრებს, მათ ორჯერ მოახერხეს თამაშის ასე თუ ისე გამწვავება. ერთხელ მცველმა სარკის ოვანესიანმა გამოიჩინა თავი, რამდენიმე წუთში კი ფაბიენ ბარტეზს გარემარბ კარაპეტ მიქაელიანის დარტყმულზე მოუწია რეაგირებამ.

მსოფლიოში უძლიერესთა თავკაცის — როჟე ლემერის მატჩისშემდგომ საუბარს თავშეკავების და დიდაქტიკის ელფერი დაჰკრავდა. მწვრთნელმა თქვა:

— ქომაგები გოლების წვიმას ითხოვდნენ. ამის წინააღმდეგი არც მე ვყოფილვარ, მაგრამ სომხები კარგად იცავდნენ თავს. ამავდროულად, ვერც ჩვენ დავიკვეხნით შეტევებით. იქ ბევრი ნაკლი შევნიშნე, განსაკუთრებით ბოლო პასი არ გვივარგოდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ისლანდია | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 9 |
| რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 13:8 | 6 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 2:15 | 0 |

### V ჯგუფი

### ლუქსემბურგი 0:2 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (18), 0:2 იორდანოვი (38)

ლუქსემბურგი: ფელგენი, ფერონი (ჰოლტცი 75), ვანეკი, სტრასერი, ლ. დევილი, საიბენი, ბირსენსი, ტეისი (ფ. დევილი 88), ჰოსინგი (ზარიცკი 46), კარდონი, კრისტოფი

ბულგარეთი: ზდრავკოვი, კიშიშევი, მარკოვი, სტოიანოვი (ი. პეტკოვი 48), იორდანოვი, იანკოვი, პეტროვი, სტოიჩკოვი (ტოდოროვი 71), იოვოვი (ივანოვი 79), მ. პეტკოვი, ილიევი

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხეადგილოსნებმა არაფრისმთქმელ ლუქსემბურგს სტუმრად კი მოუგეს, მაგრამ ჰოლანდია — ბელგია ჯერ კიდევ შორეული მომავალია. ეს მათი პირველი გამარჯვება გახლდათ მიმდინარე შესარჩევ ტურნირში, აქამდე პოლონეთთან და შვედეთთან წააგეს, ინგლისისეროვნულ გუნდთან კი ფრედ ითამაშეს.

მატჩი საინტერესო იყო, რომ გითხრათ, მოგატყუებთ, მაგრამ არც მთლად საზიზღარი გახლდათ. რაც მთავარია, გოლი გავიდა, თანც ორი. ისიც სათქმელია, რომ პირველი მუდამ გაბრაზებულმა, უკვე ჩამქრალმა ვარსკვლავმა ხრისტო სტოიჩკოვმა გაიტანა, რომელმაც სეხნია იოვოვის ზუსტი პასი გამოიყენა. დაახლოებით ოც წუთში იმავე იოვოვმა მეორე თანაგუნდელს — ივაილო იორდანოვსაც გაატანინა და ლუქსემბურგელთა დამარცხებაც მოამთავრებინა. ლუქსემბურგი ის გუნდი, უფრო სწორად, ანტიგუნდია, რომელიც შესარჩევ ცხრილში მეტოქისთვის ბურთი ჯერ არ შეუგდია.

### პოლონეთი 0:1 შვედეთი

0:1 ლიუნგბერგი (36)

პოლონეთი: სიდორჩუკი, ვალდოხი, ლაპინსკი, სიადაჟკა (ადამჩუკი 82), ზელინსკი, მაიაკი (კოვალჩიკი 70), მიხალსკი (ბაკი 87), ივანი, იუსკოვიაკი, ბრჟეჩეკი, ტრჟეჩიაკი

შვედეთი: ჰედმანი, კამარკი, ანდერსონი, ბიორკლუნდი, ლუკიჩი, შვარცი, ნილდი (ანდერსონი ), მიალბიუ, ლიუნდბერგი, ლარსონი (პეტერსონი 89), ანდერსონი

შვედები კვლავაც ასპროცენტიანი შედეგით მიემართებიან ბენილუქსისკენ მიმავალ მოლიპულ გზაზე და უახლოეს მდევარ ინგლისს მთელი ხუთი ქულით უსწრებენ. ამჯერად სკანდინაველებმა მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვეს სტუმრად გამართულ ურთულეს შეხვედრაში, რომლის ბედიც ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა — 36-ე წუთზე ნახევარმცველმა ფრედრიკ ლიუნგბერგმა გრძელი, მძლავრი რეიდი შეასრულა და მხრებზე პოლონელმცველებწამოკიდებულმა მეკარეს ბურთი ფეხებს შუა გაუძვრინა.

მეორე ტაიმში უპირატესობას კვლავ შვედები ფლობდნენ. საკუთარი გულშემატკივრების დაწყნარება „ბოლონიას" აყლაყუდა ფორვარდ კენეტ ანდერსონს (რა თქმა უნდა, თავით) და „სელტიკელ" გოლეადორ ჰენრიკ ლარსონს შეეძლოთ, მაგრამ მეტი გოლი შეხვედრაში აღარ გასულა.

— დღევანდელი მატჩით ყოველმხრივ კმაყოფილები ვართ. თუმცა ნურავინ იფიქრებს, რომ თავი უკვე ევროპის ჩემპიონატზე გვგონია. ჯერ ყველაფერი წინ არის — სტუმართა მწვრთნელის თანაშემწეს, ლარს ლანგერბეკს, ახალი არაფერი უთქვამს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 12 |
| ინგლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| პოლონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

### VI ჯგუფი

### სან მარინო 0:6 ესპანეთი

0:1 ფრანი (20), 0:2 რაული (45), 0:3 ურსაისი (49), 0:4, 0:5 რაული (59, 66), 0:6 ეჩებერია (72)

სან მარინო: ფ. გასპერონი, ჯენარი, მარანი, ვ. ვალენტინი, მ. ვალენტინი, გობი (ბალდა 51), მანძაროლი, ბ. გასპერონი, მონტანია (გუალტერი 60), სელვა, ძონძინი

ესპანეთი: კანისარესი, მიჩელი, სერხი, მარსელინიო ელენა, პაკო, გვარდიოლა (ენგონგა 69), ვალერონი (ივან ელგერა 75), ფრანი, ეჩებერია, ურსაისი (დანი 62), რაული

ესპანეთმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კვიპროსში მარცხით დაიწყო. ეს ტრაგედიად აღიქვეს, თუმცა მას შემდეგ ქვეყნის ნაკრებს ახალი მწვრთნელი მოევლინა, გუნდიც გადახალისდა და წაგება მოგებამ შეცვალა. დარჩენილი კალენდარი ესპანეთისთვის იმდენად სახეიროა, გუნდმა პირველ ადგილზე კი არა, რაც შეიძლება მეტი გოლის გატანაზე უნდა იფიქროს.

27 მარტს, ვალენსიაში ავსტრიის 9:0 განადგურების შემდეგ ესპანელები ქვეყნის რჩეული ფეხბურთელებისგან სან მარინოს ათი ბურთით დამარცხებას ითხოვდნენ, მაგრამ გულისწადილი ვერ აისრულეს — სან მარინოსთან ესპანეთი მხოლოდ 6:0 მოგებით დაკმაყოფილდა.

მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა რაულმა კვლავ ჰეთ-თრიქი შეასრულა, ხოლო ბოლო ორ შეხვედრაში გატანილი შვიდი ბურთით ნაკრებში გოლების რაოდენობა 15-მდე გაზარდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 19:4 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 8:11 | 7 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:20 | 0 |

### VII ჯგუფი

### ლიხტენშტაინი 0:5 პორტუგალია

0:1 რუი კოშტა (163), 0:2 ფიგუ (49), 0:3, 0:4 მადეირა (54, 60), 0:5 რუი კოშტა (69)

ლიხტენშტაინი: იეჰლე, ჰანსელმანი (ოსპელტი 84), მარტინ სტოკლასა, ლინგი, რიტერი, მიხაელ სტოკლასა (ბეკი 65), ვოლვენდი, ფრიკი, ჰესლერი, ტელსერი, ბეკი (ბურგმაიერი 82)

პორტუგალია: ბაია, სეკრეტარიუ, მადეირა, კოუტუ, დიმაში, პაოლო სოუზა, რუი კოშტა, კონსეისაო (კაპუჩო 88), ფიგუ, სა პინტუ (პაულეტა 61), ჟოაო პინტუ (გომეში 75)

აზერბაიჯანელების მსგავსად, პორტუგალიამ არც მეორე უბადრუკი —ლიხტენშტაინი დაინდო და სტუმრად ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა.

თამაშმა ცუდი ამინდის და სტადიონზე მყოფი პორტუგალიელი ემიგრანტების მხურვალე შეძახილების ფონზე ჩაიარა. ანგარიში მე-16 წუთზე სერია A-ს მარათონში „ლაციოს" მდევარ „ფიორენტინას" გამთამაშებელმა რუი კოშტამ გახსნა თერთმეტმეტრიანიდან. ამის შემდეგ სტუმრები მთელი 33 წუთი ცდილობდნენ მეორეს შეგდებას. თავი მეორე ვარსკვლავმა, „ბარსელონელმა" ლუიშ ფიგუმ გამოიჩინა ასევე სტანდარტული მდგომარეობიდან, ამჯერად საჯარიმო დარტყმით. პორტუგალიელთა კიდევ უფრო დაწინაურება ფიგუს გოლის შემდეგ „ბენფიკას" ფორვარდ ჟოაო პინტუს შეეძლო, მაგრამ არ უმართლებდა. სამაგიეროდ, მისმა თანაკლუბელმა პაულო მადეირამ ივაჟკაცა და 6 წუთის ინტერვალში ორი მოხდენილი თავური შეაგდო.

წერტილი შეხვედრას იმავე რუი კოშტამ დაუსვა, რაშიც მას ესპანური „დეპორტივოს" წევრი პედრო პაულეტა დაეხმარა.

უმბერტო კოელო, პორტუგალიელთა თავკაცი: მიუხედავად დიდი ანგარიშით მოგებისა, საკმაოდ რთული მატჩი გამოდგა. ამას ცუდმა ამინდმა და უარესმა მინდორმაც შეუწყო ხელი.

### აზერბაიჯანი 0:1 რუმინეთი

0:1 პეტრე (49)

აზერბაიჯანი: მაგამედოვი, ასადოვი, აგაევი, ლიჩკინი, შირხაევი, გამბაროვი, რაზაევი, ყურბანოვი, ვასილიევი, მამედოვი, გეტმანი

რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პოპესკუ, ნასტასი, ფილიპესკუ, ლუპესკუ, მუნტეანუ, მოლდოვანი, ილიე, კონტრა, ჩიბოტარიუ

რომ არა ლორენტინ პეტრე, ეგებ ოთხშაბათს ჩვენს მეზობელ ქვეყანაში სახალხო ზეიმიც გაჩაღებულიყო. სწორედ შეცვლაზე შესული პეტრეს ერთადერთმა გოლმა ჩაუშალა აზერბაიჯანელებს დღესასწაული, მან იულიან ფილიპესკუს „ქროსს" დროულად, ზუსტად დაუხვედრა თავი და მასპინძელთა მეკარეს ჰუსეინ მაგომედოვს მაგრად გაუფუჭა ხასიათი.

ისე, სახალხო დღესასწაული იქით იყოს, აგერ უკვე ხუთი თამაშია, საცოდავი აზერბაიჯანელები საკუთარ და სხვის სარბიელს თავდახრილნი, ქულის გარეშე ტოვებენ.

### სლოვაკეთი 0:0 უნგრეთი

სლოვაკეთი: კონიგი, ზემანი, კარჰანი, კრატოხვილი, ვარგა, ზატეკი, ბალისი, ტომაშეპი, პინტე, დუბოვსკი, მაიოროსი

უნგრეთი: კირალი, ჰრუტკა, კრსოსი, მატიასი, ვ. შებოკი, ჰალმაი, ი. შებოკი, პისონტი, ფეშერი, ლეში, ტოთი

მე-7 ჯგუფის მესამე შეხვედრა ბრატისლავაში გაიმართა და ძალიან უინტერესო გამოდგა. ამაზე შედეგთან ერთად მატჩის მსვლელობაც მეტყველებს — მეტოქეები სულ რამდენჯერმე მიუახლოვდნენ ერთმანეთის საჯარიმოს, დანარჩენ დროს კი მოედნის ცენტრში ბოდიალს და ერთმანეთის ჩეხვას ანდომებდნენ.

წინა ტურში რუმინელთა ნერვების დამწყვეტ სლოვაკებს პირველ ტაიმში შეეძლოთ დაწინაურება, თუმცა იოჟეფ მაიოროშის და იგორ ბალიშის შექმნილ მომენტებს სხვა შეხვედრებში სახიფათოს ნაღდად ვერ დაარქმევდი, ისევე როგორც მეორე ნახევარში უნგრელი იშტვან ჰამარის დარტყმულს და მეკარე მიროსლავ კონიგის ლამაზად გაფორმებულ ნახტომს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 4 | 0 | 1 | 18:2 | 12 |
| რუმინეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:1 | 11 |
| სლოვაკეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 11:4 | 8 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:22 | 3 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

### IX ჯგუფი

### შოტლანდია 1:2 ჩეხეთი

### ლიტვა 1:2 ესტონეთი

0:1, 0:2 ტერეხოვი (49, 77), 1:2 ფომენკა (83)

ლიტვა: სტაუჩე, სკერლა, ჟუტაუტასი, სემბერასი, ვაინორასი, ზვირგჟდაუსკასი, მაციულევიჩიუსი, მიკალაუნასი, პრიკსაიტისი, სკარბალიუსი (გორვეჩკუსი 35, ბუტკუსი 52), მიკულენასი (ფომენკა 46)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, კირსი, ხოხლოვ-სიმსონი, სავიუკი, სზეტსი (კრისტალი 70), ტერეხოვი, ოპერი (ზელინსკი 67), სმირნოვი (ალონენი 90), რეიმი, ვიიკმე

მეზობელმა მეზობელს აწყენინა — ესტონეთის ნაკრებმა, რომელმაც შემოდგომაზე კინაღამ სტუმრად დაამარცხა შოტლანდია, ამჯერად საგარეო მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

შესანიშნავად ითამაშა ესტონეთის უკანა ხაზმა, თუმცა არც თავდამსხმელებზე ითქმის აუგი.

ბევრს ცდილობდა ლიტველთა მეკარე გინტარას სტაუჩე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — არაერთი დარტყმა მოიგერია, ორი კი გაუშვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ლიტვა | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |



REUTERS ლუქსემბურგი

ლუქსემბურგი — ბულგარეთი 0:2. ხრისტო სტოიჩკოვის ამ დარტყმას მასპინძელთა კარში პირველი გოლი მოჰყვა



REUTERS

გერმანია — ფინეთი 2:0. ოლივერ ნოივილმა ბუნდესნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

## EURO 2000
## ჩვენი ჯგუფი

# რევაზ ძოძუაშვილი: ლიმონივით გამომწურეს და გადამაგდეს

*ფეხბურთში ჩახედულ ქართველ გულშემატკივართა უმრავლესობას დღეს პირზე რევაზ ძოძუაშვილის სახელი აკერია. ეროვნული ნაკრების წარუმატებლობით სულშეძრული ბევრი ქომაგი გამოსავალს ნაკრების სათავეში ძოძუაშვილის მოსვლაში ხედავს.*

*ლატვიის ნაკრების ამჟამინდელი თავკაცი ჭეშმარიტად კარგი სპეციალისტია და სულაც არ იქნება გადაჭარბებული, თუ ვიტყვი, რომ იგი დღეს სასწაულებს ჩადის. რატომ? ჩვენი ჯგუფი, ჩვენი არეული ჯგუფი... შესარჩევი ციკლის დაწყების წინ ლატვიის ნაკრების პირველობაში დარწმუნებულ კაცს, ალბათ, ასათიანის ქუჩაზე წასვლის რეკომენდაცია მიეცემოდა. არა, ჯგუფში ჯერაც ბევრია სათამაშო, მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით — თითოეული ტურის გასრულებას ლატვიის ნაკრები პირველ საფეხურზე ხვდება. დღეს რომ ლატვია პირველია, ვითომ ეს ზემლინსკისის შეუვალობის, ან პრემიერლიგის კარის შემლები პახარსის დამსახურებაა? ვეჭვობ.*

*...დღეს ბევრი ქართველი ქომაგი გამოსავალს ძოძუაშვილის ჩამოსვლაში ხედავს. ერთია, რამდენად წაადგება მწვრთნელის შეცვლა ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს და მეორე — ვკითხოთ ამ კაცსაც, აქვს კი საქართველოს ნაკრების სათავეში მოსვლის სურვილი?*

*ვითომ ხუმრობენ, ლატვიელი ჟურნალისტები, რომ წერენ, წლის ბოლოს ძოძუაშვილი ქვეყნის ყველაზე პოპულარული პიროვნების ტიტულს მოიპოვებსო?*

*ორი დღის წინ ლატვიის ნაკრების ფრედ ნათამაშევ შეხვედრას ბერძნებთან, მდგომარეობა არ შეუცვლია — ლატვია ისევ პირველია...*



რევაზ ძოძუაშვილი

**— ბატონო რევაზ, გილოცავთ. იქნებ უკმაყოფილო ხართ შედეგით?**

— არა, არა, რას ბრძანებთ. აქ ყველა კმაყოფილია — ფეხბურთელები, ნაკრების ხელმძღვანელები, თქვენ წარმოიდგინეთ, ლატვიელი გულშემატკივრებიც გაზარებულნი არიან მატჩის შედეგით. მგონი, არც ბერძნები დარჩენილან გულგატეხილნი...

**— რატომ, მოგებას იმსახურებდით?**

— ზუსტად თუ ვიტყვი, მოგებასაც და წაგებასაც. რაც მართალია, მართალია, ბერძნებიც ბევრს ეცადნენ, წარმატებისთვის მიეღწიათ და რეალურად თუ ვიმსჯელებთ, მათ ამის მეტი შანსი ჰქონდათ — ბოლო-ბოლო, უფრო ბევრი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ ჩვენც არაერთი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან. ისე, თუ გაინტერესებთ, ჩემი გამოთვლით მატჩი 3:3 უნდა დასრულებულიყო. მთავარი კი ის არის, რომ ყველა ნიუანსის გათვალისწინებით კარგ შედეგს მივაღწიეთ.

**— ჯგუფში მეტად გაურკვეველი სიტუაციაა შექმნილი. მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა გუნდს აქვს საბოლოო წარმატების იმედი. საინტერესოა, თქვენ როგორ ფიქრობთ, ვის რა შანსი აქვს, ფავორიტებად ვინ მიგაჩნიათ?**

— მართლაც უცნაური ჯგუფია. გეთანხმებით, რომ თვით ალბანეთსაც შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. რა თქმა უნდა, ჩემი მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, ჯგუფიდან გასვლა რეალურად ნორვეგიისა და საბერძნეთის გუნდებს შეუძლიათ. ისე, არც საქართველოს ნაკრებია ხელწამოსაკრავი. მოკლედ, მთავარი ბრძოლა მათ შორის იქნება.

**— ცოტა უცნაურია, ლატვიის ნაკრები არ გიხსენებიათ.**

— მე ჰაერზე არასდროს არაფერს ვამბობ და ვცდილობ, მოვლენები რეალურად შევაფასო. კი, დღეს ლატვიის ნაკრები სატურნირო ცხრილის სათავეშია, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ცვლის. დღეს ჩვენ არ ვართ მზად საიმისოდ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ.

**— თავს ხომ არ იზღვევთ?**

— ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, მაგრამ საფეხბურთო კულტურა და დონე ბევრის განმსაზღვრელია, საქმეც ესაა. დღეს ლატვიის ნაკრებს არც ერთი და არც მეორე საკმარისად არა აქვს. მწამს, რამდენიმე წელიწადში ამ ქვეყანაში ამის პრობლემა არ იქნება, რადგან ლატვია საოცრად სწრაფად მიიწევს წინ. მაგრამ დღესდღეობით... ასე რომ, ლატვიის ნაკრებზე გადამეტებულ აზრს ნუ შეიქმნით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიბრძოლებთ. ლატვიური ფეხბურთისთვის საჭირო დეფიციტის შევსება სწორედ ამნაირ ტურნირებში და თამაშებში უნდა მოხდეს. ასე რომ, ჯერ ყველაფერი წინ არის, ვნახოთ...

**— დღეს ბევრი ქართველი გულშემატკივარი ეროვნული ნაკრების უპერსპექტივობაზე საუბრობს, თქვენ კი საქართველოს ნაკრებს ფავორიტთა შორის ასახელებთ...**

— ვიცი, რომ ჩვენს ნაკრებს მართლაც მძიმე დღე უდგას, ძალიან ვწუხვარ და განვიცდი ამას, მე ხომ ქართველი ვარ და გულშემატკივრისაც მესმის, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანი ვარ, მაგრამ არა მგონია, საქართველოს ნაკრები უპერსპექტივო იყოს, თუნდაც იმ დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, რაც ქართველებს ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი. აიღეთ ლატვიის მაგალითი, ხალხი შრომობს, ყველა ერთმანეთს უდგას გვერდში, მათ ელემენტარულად სწორი მიმართულება აქვთ აღებული და ყველა თავის საქმეს აკეთებს. ჩვენთან კი, საქართველოში, ხელის შეშლის მეტი არაფერი ხდება. პირობებია არანორმალური, შედეგების მოთხოვნაზე ადვილი არაფერია, ის კი გვავიწყდება, რომ შედეგები ჰაერზე არ მოდის. პრობლემაც უფრო ამაშია.

**— დღეს ბევრი გულშემატკივარი ამბობს, რომ საქართველოს ნაკრების არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ რევაზ ძოძუაშვილს ძალუძს. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— ჯერ ერთი, იმას ვიტყვი, რომ ვლადიმერ გუცაევი არაფერ შუაშია, იგი მარტოა, მას არანაირი, მორალური მხარდაჭერა არა აქვს. სავსებით მესმის მისი. ვფიქრობ, საქართველოს ნაკრებს ერთსულოვნება აკლია. სხვათა შორის დისციპლინაც. თქვენ იცით? გუშინწინდელი თამაშის შემდეგ გასახდელში მარიან პახარსი კინალამ დავახრჩე, კისერში წავუჭირე და ძლივს გამომტაცეს ხელიდან. მას ხმა არ ამოუღია, მშვიდად შეხვდა ჩემს, შეიძლება ერთი შეხედვით გაუმართლებელი ფორმით აღშფოთებას, იმიტომ რომ იცოდა, შესცოდა, ჩემი მითითება ვერ გაითვალისწინა და საბოლოო ჯამში გუნდს ავნო. აქ კატასტროფული არაფერი ყოფილა. ჩემი უკმაყოფილება პახარსის ერთმა უზუსტო მოქმედებამ გამოიწვია, მაგრამ ვფიქრობ ამგვარი პატარა უზუსტობებიც კი არ უნდა არსებობდეს, რადგან ამ ყველაფერს ერთად გუნდისთვის ცუდის მეტი არაფერი მოაქვს. გეკითხებით, რომელი ქართველი ფეხბურთელი აიტანს მსგავს რამეს მწვრთნელის მხრიდან, არადა, ბევრჯერ ამის აუცილებლობა ნამდვილად არის.

რაც შეეხება ჩემს მოსვლას საქართველოს ნაკრებში, თქვენ იცით, როგორ წამოვედი სამშობლოდან. გამომწურეს ლიმონივით და შემდეგ გადამაგდეს. გადამაგდეს ისე, რომ არჩევანის საშუალებაც არ დამიტოვეს. ლატვიაში საუცხოო პირობები მაქვს მუშაობისთვის. არის კი საქართველოში ასეთი პირობები? მე სხვა პასუხი არც მაქვს. ჩემ მდგდომარეობაში მყოფმა კაცმა იქნებ სხვაგვარადაც იფიქროს, მაგრამ საქართველო ჩემი სამშობლოა, მე ქართველი ვარ, ყველაფერი ქართული მიყვარს და ცხოვრებასაც საქართველოში ვაპირებ, სადაც, იმედს ვიტოვებ, ფეხბურთიც საკადრის ადგილზე დადგება.

**პაატა ძვანტალიანი**

# ამიერიდან ექვსივეს მოვიგებთ

გლაზგო

31 მარტი

44 513 მაყურებელი

**შოტლანდია 1:2 ჩეხეთი**

0:1 ელიოტი (27ს.კ.), 0:2 შმიცერი (35), 1:2 ჯესი (68)

შოტლანდია: სალივანი, უეირი, ბოიდი, ლამბერტი, ელიოტი, დევიდსონი (ჯონსტონი 51), ჰოპკინი, ბარლი, ჯესი, მაკალისტერი (ჰაჩისონი 64), მაკკენი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ვოტავა, სუხოკარეკი, ნედველი, ჰორნიაკი, ჰაშეკი, ნემეცი, პობორსკი (რადა 80), ლოკვენეცი (კუკა 70), შმიცერი (ბარანეკი 84), ბერგერი

გაფრთხილება: ჰოპკინი (52), ბარანეკი (90)

მსაჯი: ნილსენი (დანია)

შოტლანდიას ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასვლა თუ სურს, ივნისში, პრაღაში უნდა დაამარცხოს ჩეხეთი, რომელმაც ოთხშაბათს გლაზგოში პირწმინდად აჯობა და ახლა, მეცხრე შესარჩევი ჯგუფს ხუთი თამაშიდან ხუთი გამარჯვებით ლიდერობს.

მეტ ელიოტის ავტოგოლმა და ფრანგული „ლანსის" თავდამსხმელის, ვლადიმირ შმიცერის ოსტატურმა მეორემ, სქოთებს, რომლებიც პირველ ტაიმში ცდილობდნენ უპირატესობა ჰქონოდათ, მეორეში, ფაქტობრივად, შეუძლებელის შეძლება მოთხოვა. შესვენების შემდეგ, ეოინ ჯესის ერთმა საპასუხო გოლმა, ტაიმის შუაში რომ გავიდა, მასპინძლებს ფრთები შეასხა, მაგრამ ჩეხთა ბრძოლისუნარიანობამ მეტის საშუალება აღარ მისცათ.

შოტლანდიელებს დავალებად, ეტყობა, მოწინააღმდეგის პირველივე წუთებიდან დაბომბვა ჰქონდათ და ამიტომაც ეკვეთნენ პაველ სრნიჩეკის კარს. ასეთ დროს მეტოქე წესით უნდა შედრკეს, მაგრამ ჩეხეთის ჩინებულმა, დახვეწილმა გუნდმა სრულიად მშვიდად აისხლიტა მასპინძელთა სწრაფი შეტევები და კონტრშეტევებზე დაიწყო ფიქრი. ევროპის ვიცე ჩემპიონებმა გლაზგოში ერთხელაც დაამტკიცეს, რომ უმაღლესი დონის ფეხბურთის თამაში სძლაუძთ და კლასიკური კონტრშეტევების დიდოსტატებიც გახლავან.

ჩეხების მწვრთნელს, იოზეფ ხოვანეცს, თამაშის წინ ნათქვამი ჰქონდა, რომ მის გუნდს კარგი შედეგის მისაღწევად მაინც და მაინც ბევრი საგოლე მომენტის შექმნა არ დაჭირდებოდა და როგორც პირველსავე ტაიმში დამტკიცდა, სრულიად მართალიც ყოფილა. პროგნოზის გამოთქმის დროს ხოვანეცი, ბუნებრივია, იმასაც ითვალისწინებდა, რომ სქოთების დაცვას სულაც არ ეთქმის შეუვალი. ასეა თუ ისე, სანამ შესვენება დადგებოდა ჩეხებმა სამი გამართული კონტრკომბინაცია ჩაატარეს და აქედან ორჯერ მიაღწიეს მიზანს.

პირველი გოლის დროს სტუმრებს ცოტათი იღბალმაც წაუკრა ხელი. დანიელმა მსაჯმა, კიმ ნილსენმა, რომელმაც გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებთა მატჩში დევიდ ბექემი გააძევა მოედნიდან, შმიცერთან უხეშობისთვის, მარცხენა ფრთაზე, საჯარიმოს გარეთ დევიდ ჰოფკინი დააჯარიმა. მასპინძელთა კართან პაველ ნედვედმა ჩააწოდა მაღალი ბურთი, სადაც იან სუხოპარეკმა ორ სქოთ მცველს ტიპიური ბრიტანული ბრძოლა მოუგო, მაგრამ ბოლო წამს მაინც ისე მოხდა, რომ ბურთი კარის ბადეში შევარდნის წინ ზემოხსენებულ ელიოტს მოხვდა თავში.



REUTERS

ევროპის ვიცე-ჩემპიონები მასპინძლებს აშკარად სჯობდნენ

არც ისე დიდი ხნის შემდეგ ინგლისურ პრემიერლიგაში მოთამაშე, ლივერპულელმა პატრიკ ბერგერმა მშვენიერი პასით შმიცერი შეიყვანა მეკარესთან პირისპირ. შმიცერმა, როგორც ოსტატ და გამოცდილ ფორვარდს შეშვენის, ნილ სალივანს აჯობა და სქოთები უკვე ორი გოლით ჩამოიტოვა უკან.

ზემოთ ვახსენეთ, რომ პირველ ტაიმში ჩეხებმა სამი მომენტი შექმნეს, რომელთაგან ორი გოლით დასრულდა. გოლებზე უკვე ვთქვით, ახლა ის მომენტიც ვახსენოთ გოლით რომ ვერ დასრულდა.

ეს გახლდათ საჯარიმო დარტყმა, რომელიც ნედვედმა შეასრულა, მაგრამ სალივანმა მოიგერია. სქოთ გოლკიპერს ამ ეპიზოდში ოსტატობა რომ არ გამოეჩინა, შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელის კრეიგ ბრაუნის შემტევ და ისედაც დამარცხებულ ტაქტიკას საერთოდ თავს ლაფი დაესხმებოდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს, ცხადია, ხელადვე ჭირდებოდათ პირველი საპასუხო გოლის გატანა, რათა შემდეგ, მეორეს გასატანად დრო დარჩენოდათ, მაგრამ სტუმრები შეცდომებს არ უშვებდნენ და შოტლანდიელთა კაპიტნის, გარი მაკალისტერის მთელი მონდომება თანაგუნდელებს გამარჯვებისკენ წაძღოლოდა, ერთიხანობა მონდომებადვე რჩებოდა.

მაკალისტერზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ მუხლის მყესების დაზიანების შემდეგ მას სანაკრებო კარიერის აღდგენა — გაგრძელებისთვისაც ჰქონდა საბრძოლველი და ამიტომაც ერთიორად მოწადინებული გახლდათ, მაგრამ ერთ ეპიზოდში, როდესაც მან ბერგერთან ბრძოლაში პოზიცია ვერ მოიგო და ლივერპულელმა ვრაცლავ ლუკვენცი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა (საბოლოოდ სალივანმა იხსნა მასპინძელთა კარი), ბრაუნმა მაკალისტერი ევერტონელი დონ ჰაჩისონით შეცვალა.

მერე კი ჯესმა თავის მე-15 სანაკრებო შეხვედრაში მეორე გოლი შეაგდო და მოედან-სტადიონზე ატმოსფერო ძირფესვიანად შეიცვალა. ჯესს, თითქოს, არც კი სჯეროდა თავისი იღბლის, როდესაც ჰოპკინის ჩაწოდებულმა მაღალმა ბურთმა, ჩეხთა საჯარიმოში ყველას გზა აუქცია მის გარდა.

შოტლანდიელებს ერთი გოლის გატანის იმედიც ჩაესახათ, მაგრამ იყო კიდევ ერთი მომენტი, როდესაც სტუმრებმა კინალამ მესამე გაიტანეს: ბერგერის დარტყმულმა ბურთმა ახლო ძელს სახიფათოდ ჩაუქროლა.

მატჩის შემდეგ ჩეხთა მწვრთნელმა, ხოვანეცმა თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ ისტორიულ შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა. ჩეხებმა ხომ შოტლანდიის მიწაზე პირველად გავიმარჯვეთ. ამიერიდან, ჩვენ შესარჩევი ეტაპის მეორე ნახევარზე გვჭირდება ფიქრი".

შოტლანდიელთა მწვრთნელი, ბრაუნი: „ექვსი თამაში გვაქვს დარჩენილი და ექვსივეს მოგება შეგვიძლია, მათ შორის პრაღაშიც. რაც შეეხება მაკალისტერს, ძალიან დამწყდა გული, რომ ხალხი უსამართლოდ მოექცა. მიღების მერე მისი შეცვლა აუცილებელიც იყო".

**პაპუნა ძიდია**

ამხანაგური მატჩები

# ვითომ ამხანაგური

**ჰოლანდია 1:1 არგენტინა**

1:0 დავიდსი (10), 1:1 ბატისტუტა (84)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ვან ვონდერენი (კონტელმანი 46), ფ. დე ბური, კოკუ, ზეედორფი, ზენდენი, დავიდსი, კლუივერტი, ბერხკამპი (ვან ჰინტუმი 78), ოვერმარსი (ვან ფოსენი 57)

არგენტინა: როა, აიალა, ვივასი, სენსინი (გ. ლოპესი 80), რედონდო, პოჩეტინო, კ. ლოპესი, ძანეტი, ბატისტუტა, ორტეგა (გულიემინპიეტრო 46, კრესპო 82), ვერონი

გაძევება: დავიდსი (73)

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მტრების ხელახალი დაპირისპირება, რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევდა და ამსტერდამშიც მშვენიერი, არცთუ მთლად ამხანაგური ბურთაობა გაჩაღდა. ამაზე (არაამხანაგურობაზე) მასპინძელ ედგარ დავიდსის გაძევებაც ნათლად მეტყველებს. თუმცა „იუვენტუსის" თავდაუზოგავი შუახაზელი მატჩის მიწურულს „გააწითლა" მსაჯმა, მატჩისა, რომლის დასაწყისშიც ედგარი ყურადღების ცენტრში მოექცა — მან ანგარიში გახსნა. გოლი ასე გავიდა: დავიდსმა „მილანელი" მცველი რობერტო აიალა ჩამოიცილა, ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს მარკ ოვერმარსს ყურადღება არ მიაქცია და ძლიერი დარტყმით ბურთი მეტოქის მარცხენა ზედა კუთხეში შეჭედა. ამის მერე არგენტინელებს სულ ცოტა სამჯერ შეეძლოთ გათანაბრება. 24-ე წუთზე მასპინძელთა მეკარე ედვინ ვან დერ სარმა ხუან ვერონს აჯობა. 4 წუთში იმავე ვერონმა კარგი პასი მიაწოდა გაბრიელ ბატისტუტას, მაგრამ „ბატიგოლმა" მიზანში ვერ მოარტყა, ხოლო კიდევ ორ წუთში ახლახან ტრავმამოშუშებული მრისხანე ბატისტუტა მარტო დარჩა ვან დერ სარის წინ და კვლავ ვერ ივარგა — ბურთი ძელს მოარტყა.

მიუხედავად პირველტაიმური უიღბლობისა, სერია A-ს მიმდინარე გათამაშების ბომბარდირმა მაინც გაიტანა. ეს მეორე ნახევრის ბოლოს მოხდა, როცა ჰოლანდიელები 10 კაცით ებრძოდნენ ოდინდელ მოწინააღმდეგეს. საერთოდ, მეორე 45 წუთში უკვე მასპინძლები სჯობდნენ სტუმრებს, ყოველ შემთხვევაში, დავიდსის გაგდებამდე.

ახლა კი ორივე ნაკრების თავკაცთა მატჩისშემდგომ ნაუბარს გაგაცნობთ.

ფრენკ რაიკაარდი, ჰოლანდია: „დღეს ჩვენ ძალიან ძლიერ მეტოქეს შევხვდით. თავიდან 2:0 შეგვეძლო დავწინაურებულიყავით, მაგრამ მერე არგენტინელებმა აშკარად გვაჯობეს, თანაც დავიდსიც გაგვიგდეს".

მარსელო ბიელსა, არგენტინა: „უამრავი შანსი გავუშვით ხელიდან. ასე არ შეიძლება, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც თანაბარძალოვან მეტოქეს ეთამაშები. მთლიანობაში გუნდის მოქმედებით კმაყოფილი ვარ, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს დასახვეწი".

კლარენს ზეედორფი, ჰოლანდიელთა ნახევარმცველი: „მართლაც რთული თამაში გამოვიდა. მეტოქემ დიდებულად ითამაშა, თუმცა არც ჩვენ დაგვიკლია. ერთი სიტყვით რომ ვთქვა, დაძაბული, საინტერესო და ლამაზი სანახაობა იყო".


REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდიელი დენის ბერხკამპისა და არგენტინელი კლაუდიო ლოპესის ორთაბრძოლა

# რეაბილიტაცია

**იაპონია 0:2 ბრაზილია**

0:1 ამოროზო (12), 0:2 ემერსონი (53)

იაპონია: შიმოდა, იპარა (მორიოკა), აკიტა, სომა, საიტო, ტასაკა, ნანამი, იტო, ნაკატა, ნაკაიამა (იანაგისავა), იო (ლოპესი)

ბრაზილია: როჯერიო კენი, კაფუ (როჯერიო), ოდვანი, სეზარი (შეიდტი), ფელიპე, ფლავიო კონსეისაო, ემერსონი, ჟუნინიო, რივალდო, ამოროზო, ფაბიო ჟუნიორი

რამდენიმე დღის წინ კორეელთაგან შერცხვენილმა პლანეტის ოთხგზის ჩემპიონებმა აზიური ტურნეს „მეორე სერიაში" გაცილებით კარგად ითამაშეს და იაპონელებს ადვილად სძლიეს.

ბრაზილიას კვლავ აკლდა რამდენიმე ვარსკვლავი რონალდოს თავკაცობით, მაგრამ ეს ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია და ერთი-ორი კაცის არყოფნა, თუნდაც რონალდოსი და რობერტო კარლოსის, წესით, არ უნდა დაეტყოს. კაცმა რომ თქვას, არც დასტყობია. ალბათ, ამას აზიელთა დაბალმა დონემაც შეუწყო ხელი.

მატჩს ინტრიგაც აკლდა. კერძოდ, ბრაზილიელებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ კორეასთან შემთხვევით წააგეს, ხოლო იაპონელებს, თავის მხრივ, ის რომ 2002 წლის მსოფლიო პირველობის თანამასპინძელზე არანაკლებნი არიან.


REUTERS ტოკიოდან

ბრაზილიელი ამოროზო (შუაში) ანგარიშს ხსნის

საბოლოოდ ასე გამოვიდა — ბრაზილიამ კორეასთან შემთხვევით წააგო, ხოლო იაპონია კორეაზე სუსტია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტები ამაზე მეტყველებს.

ახლა თავად მატჩზე. ანგარიში მის დასაწყისშივე გაიხსნა — „უდინეზეს" ბომბარდირმა მარსიო ამოროზომ ძალიან ლამაზი, 30-მეტრიანი დრიბლინგის შემდეგ იაპონელთა დებიუტანტ მეკარე ტაკაში შიმოდას აუღებელი დაურტყა. ამის მერე თამაში ასე თუ ისე გათანაბრდა: ერთ მხარეს „პერუჯელი" ვარსკვლავი ჰიდეტოში ნაკატა ბრწყინავდა, მეორე მხარეს — „ბარსელონას" ხერხემალი რივალდო და „რომას" მცველი კაფუ, რომელმაც თავის მარჯვენა ფრთაზე იმდენი ირბინა, იქნებ გაცივდა კიდეც. სწორედ კაფუს მოპოვებული და რივალდოს მოწოდებული კუთხურის შემდეგ დაასკუპდა ბურთი ემერსონს თავზე და ისე აღმოჩნდა იაპონელთა კარში.

— ვფიქრობ, მთლიანობაში ურიგოდ არ გვითამაშია. ჩვენ კარგად ორგანიზებული და დალაგებული ფეხბურთი ვაჩვენეთ. ერთადერთი, რაშიც სახელოვანმა მეტოქემ გვაჯობა, კლასი, დონე გახლდათ — ირწმუნებოდა მატჩის შემდეგ მასპინძელთა ფრანგი თავკაცი ფილიპ ტრუსიე.

ვანდერლეი ლუქსემბურგო, ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელი: „ამხანაგური შეხვედრის მთავარი აზრი ახალი ფეხბურთელების საქმეში ნახვა და გუნდის შეთამაშებაა. ზუსტად ამისთვის ვეწვიეთ აზიას და ჩემი მუშაობით ჯერჯერობით კმაყოფილიც ვარ. ნელ-ნელა იკვეთება ნაკრების ბირთვი".

## ფეხბურთის რუკასთან



ჰონკონგის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ სამი ფეხბურთელი შეხვედრების გაყალბებაში ამხილა და სამუდამოდ აუკრძალა თავისი ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებში მონაწილეობა. 25 წლის კევინ ლოკ კარ ვინი, 28 წლის ჩან ჩი კუნგი და 22 წლის ვაი ხუან ლუნგი დანაშაულში ამხილეს და ფეხბურთიდან სამუდამოდ მოკვეთეს. რამდენიმე ხნის წინ ჰონკონგის ნაკრების სამი ფეხბურთელიც დაისაჯა შეხვედრის შედეგის გაყალბებისთვის.

ნორვეგიელი თავდამსხმელი ჯონ კარეუ მომავალ სეზონში, ალბათ, მაინც „ვალერენგაში" დარჩება. შეგახსენებთ, რომ მისი გადაბირება იტალიურ „ბოლონიას" უნდოდა და სანაცვლოდ 7 მილიონ დოლარსაც იხდიდა, მაგრამ ნორვეგიული კლუბის წარმომადგენლებმა თქვეს, მომავალ სეზონში კარეუ ჩვენთან იქნებაო. „სულაც არ ვჩქარობ სხვაგან გადასვლას. ახალგაზრდა ვარ და ყველაფერი წინ მაქვს" — განაცხადა კარეუმ. ევროპულ კლუბებმა „ვალერენგას" ტანმაღალი თავდამსხმელს მას შემდეგ მიაქციეს ყურადღება, რაც კარეუ კლუბის შემადგენლობაში თასების თასის გათამაშებაში შესანიშნავად თამაშობდა.

ბრაზილიელი თავდამსხმელი დენილსონი იტალიაში თამაშზე ოცნებობს. მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელს, რომელიც ახლა ესპანეთის ჩემპიონატში „ბეტისისთვის" ირჯება, აპენინის ნახევარკუნძულზე გადაბარგება სწადია, რადგან თვლის, რომ სერია A გაცილებით ძლიერი პირველობაა, ვიდრე ესპანეთისა. „ყველა ფეხბურთელს აქვს ოცნება. ჩემი კი იმაში მდგომარეობს, რომ იტალიის ჩემპიონატში თამაში მწადია" — განაცხადა დენილსონმა. შეგახსენებთ, რომ სევილიის „ბეტისმა" მის ნაცვლად 35 მილიონი დოლარი გადაიხადა.

იუგოსლაველმა ნახევარმცველმა მიროსლავ სტევიჩმა განაცხადა, რომ მიუხედავად სამშობლოში შექმნილი საომარი ვითარებისა, რომელსაც იგი სასტიკად გმობს, ბუნდესლიგაში მაინც ითამაშებს. სტევიჩი დორტმუნდის „ბორუსიას" ღირსებას იცავს, კლუბი კი მომავალ ტურში მიუნხენის „ბაიერნს" ხვდება. ბუნდესლიგაში მოთამაშე ორმა იუგოსლაველმა ფეხბურთელმა, „შტუტგარტელთა" ლეგიონერებმა კრისტიან ჯორჯევიჩმა და ხრისტო რისტიჩმა განაცხადეს, რომ ისინი მანამ არ ითამაშებენ კლუბის შემადგენლობაში, სანამ ნატო იუგოსლავიაზე თავდასხმებს არ შეწყვეტს. სტევიჩი საკითხს სხვა კუთხიდან უდგება: „პოლიტიკა ფეხბურთთან არ უნდა აურიოთ".

რუსეთის ნაკრების ექიმ იური ვასილკოვის განცხადებით, ქვეყნის პირველი გუნდის თავდამსხმელმა სერგეი იურინმა სომხეთში, მასპინძელთა დამარცხების შემდეგ, სასტუმროს საშხაპეში მარჯვენა ფეხის ტერფი გადაისერა და ორ კვირას ვერ ითამაშებს. იურანს ანდორასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩში უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

ინგლისის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა განაცხადა, რომ ივნისში გუნდის წვრთნას მიატოვებს. მისი ხელმძღვანელობით ინგლისის ახალგაზრდული ნაკრები ძლიერ კოლექტივად ჩამოყალიბდა და მაღალ შედეგებსაც აღწევდა. მაგრამ მწვრთნელის თქმით, მისი წასვლის დრო დადგა. „მას შემდეგ, რაც უფროსთა ნაკრებიდან გლენ ჰოდლი წავიდა, გუნდში ბევრი რამ შეიცვალა. სამუშაოსკენ გული ძველებურად აღარ მიმიწევს. მირჩევნია, გვერდზე გავდგე" — განაცხადა ტეილორმა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პეტერ ტეილორის გაწვრთნილმა ინგლისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა 1996 წლის შემოდგომაზე ბათუმში 1:0 სძლია ქართველ ახალგაზრდებს, 1997 წლის გაზაფხულზე კი ინგლისში საქართველოს მეტოქესთან ფრედ 0:0 ითამაშა.

ჰოლანდიის ნაკრების შეკრებისას მსოფლიოს უძვირფასესი მცველი იაპ სტამი დაშავდა. იგი დავარდა და კოჭი დაიზიანა. სტამი უკვე გაემგზავრა ინგლისში, რათა ექიმებს გაესინჯოს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელთა თქმით, არაა გამორიცხული, სტამმა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის პირველი მატჩი გამოტოვოს, ხოლო ის, რომ შაბათს პრემიერლიგაში „უიმბლდონის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს, უკვე გადაწყვეტილია.

გერმანიის ჩემპიონატში პირველი ჩინელი ფეხბურთელი გამოჩნდა — ფრანკფურტის „აინტრახტმა" 25 წლის თავდამსხმელი იანგ ჩენი შეიძინა. ფრანკფურტის კლუბის პრეზიდენტ როლფ ჰელერის თქმით, „აინტრახტის" მწვრთნელებს ახალგაზრდა ფორვარდი ერთობ მოსწონებიათ და მის სანაცვლოდ „ხუან ბუანხესთვის" 550 ათასი დოლარის გადახდასაც დაყაბულდებიან. ცნობისთვის: იანგ ჩენი სეზონის დაწყებამდე „აინტრახტთან" ერთად ვარჯიშობდა და ამხანაგურ შეხვედრებში 6 გოლიც გაიტანა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია იმედოვნებს, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, უნგრეთში დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრა მასპინძელთა ნაკრებთან მაინც შედგება. 28 აპრილს ბუდაპეშტში უნგრელები ინგლისელებს უმასპინძლებენ. ეს შეხვედრა კევინ კიგანისთვის ნაკრების მწვრთნელის რანგში მეორე იქნება. ერთ-ერთმა ინგლისურმა გაზეთმა რამდენიმე ხნის წინ გამოაქვეყნა ცნობა, რომ უნგრეთ-ინგლისის ამხანაგური შეხვედრა, ალბათ, გადაიდება.

იტალიის ჩემპიონატის ლიდერ რომის „ლაციოში" მოთამაშე იუგოსლაველმა მცველმა სინიშა მიხაილოვიჩმა განაცხადა, თუ ნატო იუგოსლავიის დაბომბვას არ შეწყვეტს, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და იქ მივალ, სადაც ჯერ არსო. კერძოდ, მიხაილოვიჩი იტალიის პრემიერმინისტრ მარკო მინიტისთან ვიზიტს აპირებს. „ნატო" ბოროტებას სჩადის და გონს უნდა მოეგოს. ამ ვანდალიზმის გაგრძელება არ შეიძლება" — განაცხადა მიხაილოვიჩმა.

ბელგიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ მიუხედავად ამხანაგურ შეხვედრებში განცდილი მარცხისა, ისინი თანადგომას უცხადებენ ნაკრების მწვრთნელ ჟორჟ ლიკენსს და მის მოხსნას სრულიადაც არ აპირებენ. „ლიკენსი ძლიერი მწვრთნელია და ამას დაამტკიცებს. ჩვენ გვჯერა მისი" — განაცხადა კარელ ვერტოგენმა, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ. ბელგიამ ბოლო ორი ამხანაგური მატჩი ბულგარეთთან და ეგვიპტესთან შინ ერთნაირი ანგარიშით 0:1 წააგო.

ინგლისის ჩემპიონატის ლიდერ „მანჩესტერის" მცველმა დევიდ მეიმ განაცხადა, უახლოეს მომავალში კლუბს დავტოვებო. მან ამის მიზეზად სათამაშო პრაქტიკის უქონლობა დაასახელა. გუნდში იაპ სტამის მისვლის შემდეგ 28 წლის მეის ძირითადად სათადარიგოთა შორის უწევს თამაში. „ვესაუბრე კლუბის მწვრთნელებს და მათ აჩქარება არ მირჩიეს" — განაცხადა მეიმ. შეგახსენებთ, რომ მეი კლუბის შემადგენლობაში 1996 და 97 წლებში ინგლისის ჩემპიონი გახდა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04 | კაიზერსლაუტერნი — ლევერკუზენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | მიუნხენ 1860 — ნიურნბერგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | შალკე — ვოლფსბურგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | შტუტგარტი — დუისბურგი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| | ჰამბურგი — ფრაიბურგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ვერდერი — ჰანზა | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,4 |
| | დორტმუნდი — ბაიერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 4.04 | მიონხენგლადბახი — ჰერტა | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | აინტრახტი — ბოხუმი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.05 | ჰანოვერი — მაინცი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | კიოლნი — კოტბუსი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ფიურტი — ურდინგენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ვატენშაიდი — დიუსელდორფი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | ულმი — გიუტერსლო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 5.04 | კარლსრუე — ფორტუნა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04 | ასტონ ვილა — ვესტ ჰემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 3.04 | ბლექბერნი — მიდლსბრო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ჩარლტონი — ჩელსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | დერბი — ნიუკასლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ლიდსი — ნოტინგემი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ლივერპული — ევერტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | შეფილდ უენსდეი — ქოვენთრი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | საუთჰემპტონი — არსენალი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | უიმბლდონი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | ტოტენჰემი — ლესტერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.04 | ქოვენთრი — საუთჰემპტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ევერტონი — შეფილდ უენსდეი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | მიდლსბრო — უიმბლდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ნიუკასლი — ტოტენჰემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ნოტინგემი — ლივერპული | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ვესტ ჰემი — ჩარლტონი | 1,5 | 3,6 | 5,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XLI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04 | ქრიუ — ბირმინგემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 3.04 | ბარნსლი — შეფილდ იუნაიტედი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ბრედფორდი — გრიმსბი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ბრისტოლი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ნორვიჩი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ოქსფორდი — ბოლტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | ქუინზ პარკი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | სტოკპორტი — ბერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სანდერლენდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | სვინდონი — იფსვიჩი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | უოტფორდი — ტრანმერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ვულვერჰემპტონი — პორტსმუთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XᲓI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.04 | ბირმინგემი — უოტფორდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ბოლტონი — სტოკპორტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ბერი — ბრედფორდი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | კრისტალ პალასი — სანდერლენდი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | გრიმსბი — ნორვიჩი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | ჰადერსფილდი — სვინდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | იფსვიჩი — ქუინზ პარკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | პორტ ვეილი — ბარნსლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | პორტსმუთი — ბრისტოლი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | შეფილდ იუნაიტედი — ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ტრანმერი — ოქსფორდი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,4 |
| | ვესტ ბრომვიჩი — ქრიუ | 1,7 | 3,2 | 4,2 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | მონაკო — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | სოშო — რენი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| 3.04. | ლანსი — ლე ავრი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ლიონი — მეცი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ნანტი — ოსერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ლორიანი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ნანსი — სტრასბური | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | პსჟ — მონპელიე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ტულუზი — ბორდო | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | პერუჯა — ბოლონია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | პარმა — კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ინტერი — ფიორენტინა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ემპოლი — იუვენტუსი | 5,6 | 3,0 | 1,6 |
| | ლაციო — მილანი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ბარი — რომა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ვენეცია — სალერნიტანა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ვიჩენცა — სამპდორია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | პიაჩენცა — უდინეზე | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | ლუკეზე — ატალანტა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| | ჯენოა — კიევო | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| | ჩეზენა — კრემონეზე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვერონა — ლეჩე | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ტორინო — მონცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| | ფ. ანდრია — ნაპოლი | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| | ტერნანა — პესკარა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| | კოზენცა — რავენა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| | რეჯანა — რეჯინა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| | ბრეშა — ტრევიზო | 1,9 | 2,7 | 4,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | დეპორტივო — ატლეტიკო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | რასინგი — ვალენსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 4.04. | ვილიარეალი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | ვალიადოლიდი — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ბარსელონა — ოვიედო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბილბაო — სოსიედადი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| | ბეტისი — ესპანიოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | სარაგოსა — სალამანკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ესტრემადურა — სელტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | რეალი — ალავესი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXXI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3-4.04. | მალაგა — ბადახოსი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ლეგანესი — ოსასუნა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | მერიდა — ერკულესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | რეკრეატივო — ბარსელონა B | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ორენსე — ალბასეტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | სევილია — ტოლედო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | კომპოსტელა — ეიბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | ნუმანსია — სპორტინგი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ლეიდა — ლას პალმასი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | ლოგრონიესი — მალიორკა B | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | რაიო ვალეკანო — ატლეტიკო B | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ამადორა — მარიტიმუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 3.04. | კამპომაიორენსე — ბეირა მარი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | რიუ ავე — ფარენსე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | სპორტინგი — გიმარაეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | აკადემიკა — ალვერკა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | შავეში — ბოავიშტა | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | სეტუბალი — ლეირია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ბენფიკა — სალგეირუში | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ალკმაარი — ფეიენოორდი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | სპარტა — გრააფსხაპი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სიტარდი — ჰერენვენი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ნაიმეგენი — კამბური | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 3.04. | ვალვაიკი — ვიტესი | 5,3 | 3,5 | 1,5 |
| 4.04. | ეინდჰოვენი — აიაქსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ბრედა — ტილბურგი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 5.04. | ტვენტე — უტრეხტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ფეიენოორდი — სპარტა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ანდერლეხტი — ლოკერენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,4 |
| 3.04. | სტ. ტრუიდენი — ოსტენდე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ეკერენი — სტანდარდი | 2,6 | 2,8 | 2,5 |
| | ვესტერლო — გენკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | მუსკრონი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ბევერენი — შარლერუა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ლომელი — ლიერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ბრიუგე — გენტი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | ჰარელბეკი — აალსტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### რუსეთის ჩემპიონატი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | შინიკი — ჩერნომორეცი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | ზენიტი — ურალანი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | ალანია — სპარტაკი | 2,0 | 2,8 | 3,1 |
| | ცსკა — კრილია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | როტორი — დინამო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | როსტსელმაში — ლოკომოტივი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | ტორპედო — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ნ. ნოვგოროდი — სატურნი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ვიძევი — კატოვიცე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ამიცა — ლეგია | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| | რაძიონკოვი — ბელხატოვი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ლეხი — ვისლა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | სტომილი — რუხი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ზაგლებე — ლკს | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | პოლონია — გურნიკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ოდრა — პოგონი | 1,7 | 3,1 | 4,4 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ადანა — ტრაბზონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 3.04. | ისთანბული — ანთალია (16[30]) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | სამსუნი — გალათასარაი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 4.04. | ერზურუმი — ანკარაგიუჯიუ (14[00]) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | გენჩლერბირლიგი — საქარია (16[00]) | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ქარაბუქი — დარდანელი (16[00]) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | ქოჯაელი — გაზიანთეფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ბურსა — ალთაი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | ფენერბაჰჩე — ბეშიქთაში | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | აბერდინი — დანფერმლაინი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | სელტიკი — დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | დანდი იუნაიტედი — მოზერველი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | ჰართსი — კილმარნოკი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| 4.04. | სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | გრაცერი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ლუსტენაუ — აუსტრია | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | შტაირი — ლინცერი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ტიროლი — შტურმი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | რაპიდი — ზალცბურგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | ლოზანა — სტ. გალენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | სერვეტი — ციურიხი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 5.04. | გრასჰოპერი — ბაზელი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ქსამაქსი — ლუცერნი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.04. | ნიგერია — კოსტა რიკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 4.04. | გერმანია — პარაგვაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | განა — ხორვატია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | არგენტინა — ყაზახეთი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | ავსტრალია — საუდეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | მექსიკა — ირლანდია | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 5.04. | ურუგვაი — მალი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | კორეა — პორტუგალია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | კამერუნი — იაპონია | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ინგლისი — აშშ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ზამბია — ჰონდურასი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ესპანეთი — ბრაზილია | 3,2 | 2,9 | 2,1 |

## ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | რეინჯერსი — ანაჰაიმი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | დეტროიტი — ჩიკაგო | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| | ვანკუვერი — სან ხოსე | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| 3.04. | ბოსტონი — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | მონრეალი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | აილენდერსი — ანაჰაიმი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| | პიტსბურგი — ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | ტამპა ბეი — ვაშინგტონი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| | ფლორიდა — ოტავა | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| | ჩიკაგო — კაროლინა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | სენტ ლუისი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ნეშვილი — ლოს ანჯელესი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | კალგარი — ტორონტო | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | კოლორადო — ედმონტონი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | სან ხოსე — ვანკუვერი | 1,15 | 4,4 | 5,6 |
| 4.04. | ნიუ ჯერსი — რეინჯერსი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | დალასი — დეტროიტი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| 5.04. | ბოსტონი — მონრეალი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ბუფალო — პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ტორონტო — სენტ ლუისი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| | ფილადელფია — რეინჯერსი | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| | ტამპა ბეი — ოტავა | 3,4 | 4,4 | 1,4 |
| | ფლორიდა — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | დეტროიტი — ანაჰაიმი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ჩიკაგო — ვანკუვერი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | კოლორადო — ლოს ანჯელესი | 1,35 | 4,4 | 3,6 |

## კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.04. | ბოსტონი — მილუოკი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| | ფილადელფია — კლივლენდი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | ატლანტა — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | შარლოტი — ინდიანა | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| | მინესოტა — დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ჩიკაგო — ორლანდო | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| | პორტლენდი — სიეტლი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ფინიქსი — ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | გოლდენ სტეიტი — იუტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 3.04. | ნიუ ჯერსი — მაიამი | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| | ტორონტო — ვაშინგტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | დეტროიტი — ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | მინესოტა — საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | სან ანტონიო — კლიპერსი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | პორტლენდი — ფინიქსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ლეიკერსი — გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 4.04. | ბოსტონი — ნიუ ჯერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ატლანტა — შარლოტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | ვაშინგტონი — მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ინდიანა — ნიუ იორკი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | სიეტლი — ჰიუსტონი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ტორონტო — ფილადელფია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | კლივლენდი — მილუოკი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ჩიკაგო — ვანკუვერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | დენვერი — კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 5.04. | ორლანდო — ბოსტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | შარლოტი — ატლანტა | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| | დეტროიტი — ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | მინესოტა — დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | სან ანტონიო — გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | ლეიკერსი — დენვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# თასების მფლობელთა თასი

XII გათამაშება 1971-72 წლები

## გლაზგო რეინჯერსი

გლაზგო, შოტლანდია

სოლომონ ქულიაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

# აურზაური «კამპ ნოუზე»

*ბარსელონაში, „კამპ ნოუს" სტადიონზე „რეინჯერსი" მოსკოვის „დინამოს" ფინალური მატჩის დამთავრებას ოთხი წუთი აკლდა, როცა მოსკოველთა ნახევარმცველმა ალექსანდრ მახოვიკოვმა გოლი შეაგდო და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა 2:3. „რეინჯერსმა" ცენტრიდან დაიწყო. ბურთი თამაშგარეში მყოფ ჯონსტონს მიუვიდა, მსაჯმა დაინახა და ჩასტვინა. ამ დროს მინდორზე ათასამდე შოტლანდიელი ფანი გამოცვივდა... ერთი ვერსიით, ფანებს თამაში დამთავრებული ეგონათ და თავისიანების მისალოცად დაიძრნენ, მეორეთი — მთვრალ შოტლანდიელებს ანგარიშის გათანაბრებისა შეეშინდათ და შეხვედრის ჩაშლა სცადეს. ასეა თუ ისე, სქოთების მინდვრიდან გაყვანას კარგა ხანი დასჭირდა. თამაში განახლდა, მაგრამ ეს უკვე ფეხბურთი აღარ იყო.*

ბრიტანელი ტურისტების ხმაური მატჩის შემდეგაც გაგრძელდა. შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა და რამდენიმე მძიმედ დაშავდა. ბევრი პოლიციამ დაიჭირა.

მოსკოველების მწვრთნელი კონსტანტინ ბესკოვი გაბრაზებული ამბობდა: „შოტლანდიელი გულშემატკივრები ჩემს ბიჭებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ. მერე ფეხბურთელებსა და პოლიციას ბოთლები დაუშინეს. მოედანი დამსხვრეული მინით გაივსო. რამდენიმე მუშტი და წიხლი „დინამოს" მოთამაშეებსაც მოხვდათ".

ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინგლისის საელჩოს საპროტესტო ნოტა აახლა, სადაც დიდი ბრიტანეთის მოქალაქეების ცუდი ქცევის ამბავი ეწერა. საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ კი უეფას ოფიციალური პროტესტი გაუგზავნა რომლითაც ანგარიშის გაუქმებასა და გადათამაშებას მოითხოვდა. უეფას პრეზიდენტმა გუსტავ ვიდეკერმა თქვა, სქოთი ქომაგების ქცევა საშინელებაა, მაგრამ პროტესტს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავეთანხმები, თუკი ამას უეფას საგანგებო კომიტეტი გადაწყვეტსო. ერთი თვის თავზე უეფამ იმსჯელა, „რეინჯერსს" ორი წლით თავისი ეგიდით გასამართ ყველა შეჯიბრში აუკრძალა მონაწილეობა (შემდეგ ეს ვადა ერთ წლამდე შეუმცირა), გადათამაშებაზე კი უარი თქვა. საბჭოელებმა ამას „სანახევრო განაჩენი" უწოდეს: „ჩვენ არ ვეთანხმებით ასეთ გადაწყვეტილებას და სიმართლისათვის ბრძოლას გავაგრძელებთ" — თქვა მოსკოვის „დინამოს" გუნდის უფროსმა ლევ იაშინმა. მაგრამ დადგენილება აღარ შეუცვლიათ და აღარც ეს ისტორია გაგრძელებულა. უფრო მეტიც, მომდევნო წლის თასების თასზე სსრკ-ს მოსკოვის „სპარტაკი" წარმოადგენდა. რაკი თასის მფლობელი „რეინჯერსი" მოკვეთილი იყო, წესით, მის მაგიერ ფინალისტი, მოსკოვის „დინამო" უნდა დაეშვათ, მაგრამ უეფას საორგანიზაციო კომიტეტმა წაუყრუა და დინამოელები ევროთასებს მიღმა დარჩნენ.

სხვათა შორის, მოსკოველების ადგილზე, შესაძლოა, თბილისელებიც აღმოჩენილიყვნენ. სსრკ-ის თასის ფინალში ხომ ბესკოვის გუნდმა ჩვენს „დინამოს" მოუგო 2:1. ეშტრეკოვისა და ევრიუჟიხინის გოლებს თბილისელებმა ერთით უპასუხეს. დაახლოებით 20 მეტრიდან შოთა ხინჩაგაშვილმა ულამაზესი ბურთი გაუტანა სახელგანთქმულ ლევ იაშინს. ცნობილი ჟურნალისტი ლევ ფილატოვი წერდა: „თბილისელთა ახალგაზრდა მცველის, ხინჩაგაშვილის გოლი ლამაზიც იყო და იშვიათიც. მოსკოველებმა კი ორი ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, „სამუშაო ბურთი" გაიტანეს და გაიმარჯვეს".

1971-72 წლების ევროტურნირებზე ერთი მნიშვნელოვანი სიახლე მოხდა. მანამდე ბაზრობათა თასს, რანგით მესამე ევროშეჯიბრს, დამოუკიდებელი ორგკომიტეტი მართავდა. ამ სეზონიდან კი უეფას თასი დაერქვა და ჩემპიონთა და თასების თასთან ერთად ევროპის სერთაშორისო ფედერაციის განკარგულებაში გადავიდა.

ერთი ცვლილება მეტოქის მინდორზე გატანილ გოლსაც შეეხო. თუ მანამდე ასეთს მხოლოდ ძირითად დროში ენიჭებოდა უპირატესობა, ამიერიდან იგივე წესი დამატებით დროზეც გაავრცელეს. ამასთან დაკავშირებით ერთი კაზუსიც მოხდა. მერვედფინალში შოტლანდიური „რეინჯერსი" პორტუგალიურ „სპორტინგს" ხვდებოდა. პირველი მატჩი გლაზგოში „რეინჯერებმა" 3:2 მოიგეს. საპასუხოში ანგარიში განმეორდა, ოღონდ ლისაბონელების სასარგებლოდ. დაინიშნა დამატებითი დრო, რომელშიც მოწინაამდეგეებმა კიდევ თითო გოლი გაცვალეს. საბოლოოდ თამაში „სპორტინგმა" მოიგო 4:3. რაკი სტუმრად მეტი გაიტანეს, ახალი წესით, შემდგომ წრეში „რეინჯერსი" უნდა გასულიყო. მაგრამ თურმე წესი აღარავის ახსოვდა, აღარც მსაჯს და აღარც მწვრთნელებს. ამიტომ გუნდებმა პენალტები დაარტყეს. პორტუგალიელებმა ორი გაიტანეს, შოტლანდიელებმა — ერთი. სპორტინგელებმა ერთმანეთს მეოთხედფინალში გასვლა მიულოცეს.

გვიან საღამოს „რეინჯერსის" თავკაცებს ახალი წესი გაახსენდათ და ჯერ თავში ხელი შემოირტყეს, შემდეგ კი უეფაში წერილი აფრინეს. უეფამ პენალტების ანგარიში გააუქმა და მეოთხედფინალისტად შოტლანდიელები გამოაცხადა, ხოლო ჰოლანდიელი არბიტრი ვან რავენსი გულმავიწყობისათვის კარგა ხანს ყოფილა უმაღლესი ბოსების კაბინეტებში ატუზული.

ეს იყო ტურნირის მთავარი კაზუსი. მთავარი სენსაცია კი მერვედფინალში თასის მფლობელის, ლონდონის „ჩელსის" წაგება გახლდათ შვედეთის უსახელო „ოტვიდაბერგთან". მანამდე, პირველ წრეში, ლონდონელებმა საერთო ანგარიშით 21:0 დაამარცხეს ლუქსემბურგის „ჟენესი" და არაოფიციალური რეკორდი დაამყარეს. „ჩელსიმდე" ერთ წრეში ყველაზე მეტი (18 გოლი) 1963-64 წლებში ლისაბონის „სპორტინგს" ჰქონდა გატანილი კვიპროსის „აპოელთან".

თავდამსხმელმა პიტერ ოსგუდმა კინაღამ 1965-66 წლებში დორტმუნდელი ლოთარ ემერიხის მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეორა (ერთ მატჩში 6 გოლი). ლუქსემბურგიდან გავრცელებული თავდაპირველი ინფორმაციით, ოსგუდს ექვსჯერ გაეტანა, მაგრამ როცა კარგად გადაამოწმეს, მის ანგარიშზე ხუთი აღმოჩნდა. თუმცა, საერთო ჯამში ოსგუდმა 8 ბურთი შეაგდო და ტურნირის საუკეთესო მეგოლეც გახდა.

საინტერესო გამოდგა „ლივერპულისა" და „ბაიერნის" მერვედფინალიც. ლივერპულში თამაში უგოლოდ დამთავრდა. ბრიტანელებმა ბავარიელების ლიდერი გერდ მიულერი „ამოკეტეს", მაგრამ თავადაც ვერ გაიტანეს. მიუნხენში კი მიულერმა ორი ბურთი შეაგდო და ისინი საკუთარ იუბილეს მიუძღვნა. იმ დღეს „ერის მეგოლეს" 26 წელი შეუსრულდა და თავიც დაისაჩუქრა. ლივერპულელთა მენეჯერის, ბილ შენკლის თქმით, მან ორ მცველს დაავალა მიულერის მეურვეობა, მაგრამ ამაოდ. „ბაიერნმა" 3:1 მოიგო.

გერდ მიულერი შემდგომ რაუნდშიც ყურადღების ცენტრში მოექცა. „ბაიერნმა" ბუქარესტის „სტიაუასთან" ორჯერ ფრედ ითამაშა (1:1, 0:0) და მეტოქის მინდორზე გატანილი გოლით ნახევარფინალში გავიდა. მიუნხენური მატჩის წინ გერმანულ პრესაში დიდი ამბავი ატყდა, მიულერს მწვრთნელ უდო ლატეკთან უთანხმოება მოუვიდა და ჰოლანდიურ „ფეიენოორდში" გადასვლას აპირებსო. მერე მიულერი ტელევიზიით გამოვიდა და ეს ინფორმაცია დაადასტურა, დიახ, წასვლა გადავწყვიტეო — ამბობდა. მაგრამ საქმე აღარ გართულებულა, „ერის მეგოლე" „ბაიერნში" დარჩა და ჩვეული შედეგიანობით გააგრძელა თამაში.

ბავარიელებს, 1967 წლის თასთა თასის მფლობელებს, ტრიუმფის გამეორებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ნახევარფინალში მათ სწორედ „იმან" მოუგო, ვისაც ხუთი წლის წინანდელ ფინალში თავად გაუსწორდნენ. ეს კი „გლაზგო რეინჯერსი" გახლდათ, მენეჯერ ვილი უოდელის მამაცი გუნდი. „ჩვენ გავაგდებთ „ბაიერნს" — უოდელის ამ სიტყვებზე ალბათ, ბევრს გაეცინა, როცა პირველ მატჩში გერმანელმა ბრაიტნერმა მალევე გახსნა ანგარიში. მაგრამ მერე „ლურჯებმა" ნამდვილი შოტლანდიური ხასიათი გამოაჩინეს. დარჩენილი დროც და მეორე თამაშიც მათი იყო. გერმანელების დაცვა, სადაც ბეკენბაუერი და შვარცენბეკი შეუვალნი ჩანდნენ, სქოთთა დაწოლას ვეღარ აუდიოდა. საგარეო ფრეს გლაზგოს „აიბროქსის" სტადიონზე 2:0 მოჰყვა. ჯარდინმა და პარლეინმა ორი ბურთი გაუტანეს ლეგენდარულ ზეპ მაიერს. „რეინჯერსის" გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ სულ რაღაც ერთ თვეში „ბაიერნის" ბაზაზე აწყობილმა გფრ-ის ნაკრებმა ევროპის პირველობა მოიგო.

ბრიტანელი მიმომხილველები აღნიშნავდნენ, დიდი უსამართლობა იქნება, თუ წლეულს „რეინჯერსი" თასების თასს არ მოიპოვებსო. აქამდე ისინი ორჯერ, 1961 და 67 წლებში, უკვე იყვნენ ფინალში, მაგრამ ორჯერვე დამარცხდნენ. თანაც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში შოტლანდიის პირველობაზე ერთთავად „სელტიკი" იმარჯვებდა და „რეინჯერსს" თავისი ქომაგების თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდა.

მეორე ფინალისტს, საბჭოურ მოსკოვის „დინამოს", საკუთარ ქალაქში არც ერთი საგაზაფხულო მატჩი არ ჩაუტარებია: მეოთხედფინალში იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდას" ტაშკენტში უმასპინძლა, ხოლო ნახევარფინალში ბერლინის „დინამოს" ლვოვში დაუხვდა. ბერლინური რაუნდი კი კურიოზულად დამთავრდა, ისე, საბჭოთა ფეხბურთელებს რომ ემართებოდათ ხოლმე. 83-ე წუთამდე მოსკოველები მინიმალური ანგარიშით იგებდნენ. ამ დროს საკუთარ საჯარიმოში მყოფმა თავდამსხმელმა კოჟემიაკინმა ბურთი მშვიდად აიღო ხელში. მსაჯმა პენალტი დანიშნა და სანამ მოსკოველები გონს მოვიდოდნენ, იოჰანსენმა თერთმეტმეტრიანი გაიტანა.

რა მოხდა? რა და, მოსკოველთა საჯარიმოში მცველი ჟუკოვი გერმანელ შემტევს ებრძოდა. ჟუკოვი წაიქცა, კოჟემიაკინმა გადაწყვიტა, ჯარიმაა და არადა, მსაჯი თამაშს აგრძელებდა. ლვოვური შეხვედრაც იმავე ანგარიშით დამთავრდა და საქმე პენალტებამდე მივიდა. დოლმატოვის, ბაიდაჩნის, ევრიუჟიხინისა და მახოვიკოვის ოთხს ბერლინელებმა მხოლოდ კაროვის ერთი ზუსტი თერთმეტმეტრიანით უპასუხეს. ნამატჩევს მოსკოველების თავკაცი კონსტანტინ ბესკოვი გამოტყდა, მოვლენათა ასეთ განვითარებას ველოდი და დილით „დრუჟბას" სტადიონზე ბიჭები პენალტებში კარგა გვარიანად ვავარჯიშეო.

საბჭოელების პირველი ევროსაკლუბო ფინალი მარცხით დამთავრდა. რა მოხდა ბოლო წუთებზე, უკვე ვთქვით, მანამდე კი სქოთები სჯობდნენ მოწინააღმდეგეს და მეორე ტაიმის დასაწყისისთვის 3:0-ს უგებდნენ. მერე რუსებმა ორი გაქვითეს და ირწმუნებოდნენ, დიდ უპირატესობას ვფლობდით და კიდევ რამდენიმე წუთი რომ გვქონოდა, აუცილებლად გავათანაბრებდითო. იქნებ ასეც მომხდარიყო, იქნებ სხვაგვარად, ვინ იცის... ფაქტი კი ერთია, მესამე ცდაზე „რეინჯერსმა" ნავსი გატეხა და თასების თასი „აიბროქსზე" წაიღო.



ფინალის 86-ე წუთი. ეპიზოდი, რომელმაც თასის ბედი გადაწყვიტა



რეინჯერსი 1972 წელს. სხედან: მწვრთნელი უოდელი, ჰენდერსონი, სიმპლი, მაკდონელდი, ალექსანდერი, გრეიგი, პარლეინი, მაკლინი, მორისონი, ჯონსტონი. მეორე რიგში: სტინი, პირეი, მათიესონი, დენი, მაკინონი, მაკალამი, ჯარდინი, პინმენი, სმიტი, უოლკერი, მწვრთნელი ანდერსონი. ზედა რიგში: სტრათერსი, კონი, ფაიფი, ჯექსონი, ნიფი, მაკლოი, უოთსონი, ჯონსტონი, დონალდსონი, მილერი, მაკდონალდი.

**წინასწარი წრე:** ოდენსე (დანია) — აუსტრია (ავსტრია) 4:2, 0:2; ფრამი (ისლანდია) — ჰიბერნიანსი (მალტა) 0:3, 2:0 (ვალეტა)

### პირველი წრე

ჰიბერნიანსი — სტიაუა (რუმინეთი) 0:0, 0:1; ზაგლებე (სოსნოვეცი, პოლონეთი) — ოტვიდაბერგი (შვედეთი) 3:4, 1:1; ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — დინამო (მოსკოვი, სსრკ) 0:2, 2:1; ბანიასი (უნგრეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 2:7, 2:1; რენი (საფრანგეთი) — რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1, 0:1; მიკელი (ფინეთი) — ესკიშეჰირსპორი (თურქეთი) 0:0, 0:4; დინამო (ტირანა, ალბანეთი) — აუსტრია (ავსტრია) 1:1, 0:1; შკოდა (ჩეხოსლოვაკია) — ბაიერნი (გფრ) 0:1, 1:6; დისტილერი (ჩრდ. ირლანდია) — ბარსელონა (ესპანეთი) 1:3, 0:4; დინამო (ბერლინი, გდრ) — კარდიფ სიტი (უელსი) 1:1, 1:1, პენ: 5:4; ლიმერიკი (ირლანდია) — ტორინო (იტალია) 0:1, 0:4; სერვეტი (შვეიცარია) — ლივერპული (ინგლისი) 2:1, 0:2; ჟენესი (ლუქსემბურგი) — ჩელსი (ინგლისი) 0:8, 0:13; სპორტინგი (პორტუგალია) — ლიუნი (ნორვეგია) 4:0, 3:0; ლევსკი-სპარტაკი (ბულგარეთი) — სპარტა (ჰოლანდია) 1:1, 0:2; ბეერშოტი (ბელგია) — ანორთოსისი (კვიპროსი) 7:0 (ანტვერპენი), 1:0 (ანტვერპენი)

### მერვედფინალი

ლივერპული — ბაიერნი 0:0, 1:3; ტორინო — აუსტრია 1:0, 0:0; ბარსელონა — სტიაუა 0:1, 1:2; სპარტა — ცრვენა ზვეზდა 1:1, 1:2; ოტვიდაბერგი — ჩელსი 0:0, 1:1; ბეერშოტი — დინამო (ბერლინი) 1:3 (ანტვერპენი), 1:3; რეინჯერსი — სპორტინგი 3:2, 3:4 დდ; ესკიშეჰირსპორი — დინამო (მოსკოვი) 0:1, 0:1

### მეოთხედფინალი

ტორინო — რეინჯერსი 1:1 (პულიჩი; ჯონსტონი), 0:1 (მაკდონალდი)

ოტვიდაბერგი — დინამო (ბერლინი) 0:2 (სტოკჰოლმი) (ნეტცე 2), 2:2 (ვალინდერი, სანდბერგი; შულენბერგი, ნეტცე)

სტიაუა — ბაიერნი 1:1 (ტატარუ; გ. მიულერი), 0:0

ცრვენა ზვეზდა — დინამო (მოსკოვი) 1:2 (ფილიპოვიჩი; კოჟემიაკინი, ევრიუჟიხინი), 1:1 (ტაშკენტი) (კრივოკუჩა; კოჟემიაკინი)

### ნახევარფინალი

დინამო (ბერლინი) — დინამო (მოსკოვი) 1:1 (იოჰანსენი; ევრიუჟიხინი), 1:1 (ლვოვი) (იოჰანსენი; ევრიუჟიხინი) პენ: 1:4

რეინჯერსი — ბაიერნი 2:0 (ჯარდინი, პარლეინი), 1:1 (ცობელი — საკ. კარში; ბრაიტნერი)

**ფინალი. ბარსელონა. 24 მაისი. 24 701 მაყურებელი**

**რეინჯერსი 3:2 დინამო**

1:0 სტინი (23), 2:0, 3:0 უ. ჯონსტონი (40, 49), 3:1 ეშტრეკოვი (60), 3:2 მახოვიკოვი (86)

**რეინჯერსი:** მაკლოი, ჯარდინი, მეთიესონი, გრეიგი, დ. ჯონსტონი, სმიტი, მაკლინი, კონი, სტინი, მაკდონალდი, უ. ჯონსტონი

**დინამო:** პილგუი, ბასალაევი, დოლმატოვი, ზიკოვი, დოლბონოსოვი (გერშკოვიჩი 68), ჟუკოვი, ბაიდაჩნი, იაკუბიკი (ეშტრეკოვი 57), საბო, მახოვიკოვი, ევრიუჟიხინი

**მსაჯი:** ორტის დე მენდიბილი (ესპანეთი)

# მოსყიდვა, პირისტეხვა და საუკეთესოთა შორის საუკეთესო

**ვინ უმასპინძლებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს?**

ინგლისი | მაროკო

ინგლისი ის ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაზეც აგებულია ყველაზე თანამედროვე სტადიონები, რომელსაც კავშირგაბმულობის დიდებული სტრუქტურა აქვს, რომლის საფეხბურთო ისტორია ყველაზე ხანგრძლივი და მდიდარია, რომლის მოსახლეობასაც თავდავიწყებით უყვარს სპორტის ეს სახეობა და თუ 2006 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ რომელიმე სახელმწიფო ვარგა, ერთ-ერთი მათგანი უეჭველად ინგლისი გახლავთ.

მაგრამ, რაც ჩამოვთვალეთ, ინგლისელთა სამწუხაროდ, საკმარისი არ არის. ის, რომ „ოლდ ტრეფორდი“ და „ვილა პარკი“ უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე, ვთქვათ, ჰამბურგის ან კეიპტაუნის სტადიონები, სულაც არ ნიშნავს, რომ გლობალური პერსპექტივის თვალსაზრისით ფიფას, 2006 წელს, პირველობის გამართვა ინგლისში უჯობს. მისი პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი მოწადინებულია, რომ ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატი აფრიკის კონტინენტზე გაიმართოს და თუ პრეზიდენტის სურვილი მთელი ორგანიზაციის პოლიტიკად იქცა, მაშინ ინგლისმა სრულიად შესაძლებელია, საწადელს ვერ მიაღწიოს, ხოლო თუ ინგლისმა საწადელს ახლა ვერ მიაღწია, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთის სამშობლოში კიდევ ძალიან დიდხანს ვერ დაბრუნდება.

ადამიანი, რომელიც თავგადაკლული ცდილობს, რომ ეს ასე არ მოხდეს, გახლავთ 45 წლის ყოფილი პოლიტიკოსი, ახლა კი ინგლისელთა კამპანიის ლიდერი ალეკ მაკგივანი. იგი და 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების ორი წევრი, სერ ბობი ჩარლტონი და სერ ჯეფრი ჰერსტი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა შეჯიბრება მათი ტრიუმფიდან 40 წლის შემდეგ პირველად სწორედ ინგლისში გაიმართოს.

ინგლისელთა კამპანია უკიდურესად კარგადაა ორგანიზებული, რაც უმაღლესი დონის 15 პროფესიონალისგან შემდგარი საგანგებო ჯგუფის დამსახურებაა.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგის თამაშებს ყოველ კვირა 100-ზე მეტ ქვეყანაში უცქერენ. ესე იგი, მთელს მსოფლიოს თითქმის ყოველ დღე ხვდება თვალში მოედნებს ირგვლივ, სარეკლამო დაფებზე გამოსახული წარწერა: „ინგლისი 2006“.

„ჩვენი კომპანია მთელი დედამიწის მასშტაბით გაცილებით ფართოდაა გაშლილი, ვიდრე ყველა კონკურენტისა ერთად აღებული“ — აცხადებს მაკგიკანი, რომელსაც კარგად მოეხსენება, რომ მის ოცნებას სამხრეთ აფრიკის, გერმანიის და შესაძლოა ბრაზილიის მხრიდან სერიოზული საფრთხე და წინააღმდეგობა ელის.

თუმცა მაკგივანმა ისიც საუცხოოდ იცის, რომ სანამ ფიფა თავის საბოლოო სიტყვას იტყვის ერთი წელიწადი გავა და ამ ხნის განმავლობაში წარმატების შესამზადებლად სერიოზული ნაბიჯების გადადგმაც შეიძლება.

„თუ ფიფას სურს, იხილოს უმაღლესი კლასის მსოფლიო ჩემპიონატი, ქვეყანაში სადაც ფეხბურთი ძალიან უყვართ, რომელმაც ევრო 96-ით დაამტკიცა, რომ საუცხოოდ ხელეწიფება ასეთი მასშტაბური შეჯიბრებების მოწყობა და რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო სტადიონები აქვს, მაშინ მისი ჩატარების უფლება უპირობოდ ინგლისს უნდა მიანიჭოს“ — უთხრა მაკგივანმა სააგენტო „როიტერს“ და განაგრძო — „ხოლო თუ ფეხბურთის ხელისუფალთ მაინცდამაინც აფრიკა აქვთ გულში ამოჭრილი, რა გაეწყობა, თუმცა, ალბათ, ისიც კარგად მოეხსენებათ, რა სირთულეებთან იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის აფრიკაში გამრთვა დაკავშირებული. ყოველთვის, როდესაც მისტერ ბლატერი აცხადებს, რომ მხარს აფრიკას უჭერს, ცხადად გამოხატავს და განმარტავს თავის პოზიციას. თუკი შევნიშნავ, რომ აფრიკა ობიექტურად არ იმსახურებს მასპინძლობის უფლებას, მაგრამ მას ამ უფლებით მაინც აჯილდოვებენ, ძალიან დამწყდება გული, თუმცა ფიფას გაუმართლებელი ნაბიჯი აქამდე არასოდეს გადაუდგამს და რაღა ამ შემთხვევაში გადადგამს?“

ბევრი მიმომხილველი თვლის, რომ ინგლისელებს სერიოზულ დაბრკოლებას მათსავე ფეხბურთის ასოციაციაში შექმნილი დღევანდელი მდგომარეობა შეუქმნით. გეხსომებათ, რომ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი შეფი გრემ კელი და თავმჯდომარე კიტ უაისმენი თანამდებობებს იმიტომ დაემშვიდობნენ, რომ 2006 წლის ჩემპიონატის მოსაპოვებელ ბრძოლაში ხმების ყიდვას ცდილობდნენ. მაგრამ როგორც ფიფას ერთ-ერთმა მაღალმოხელემ განუცხადა, „როიტერს“, ინგლისელებს კელისა და უაისმენის გადადგომამ შესაძლოა ძალიან კარგი სამსახური გაუწიოს.

„კელი ძალიან ამპარტავანი კაცი გახლდათ და ხშირად უარყოფით რეაქციას იწვევდა, ხოლო უაისმენი მის ფონზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმედი მაქვს, რომ მათმა გადადგომამ გზა დაულოცა გაცილებით თანამედროვე აზროვნების, ინტერნაციონალისტ ინგლისელებს, რაც ფიფაზე ძალიან კარგად იმოქმედებს“ — განაცხადა მან. ასე რომ, თუ ინგლისელთა კამპანიის საქმე ამიერიდან დაუბრკოლებლად წავა, უსიამოვნო დასაწყისი შეიძლება აღარც არავის გაახსენდეს.




სერ ბობი ჩარლტონი — ინგლისელთა კამპანიის თილისმა

ევროპის საფეხბურთო წრეებისთვის დღესავით ნათელია ინგლის-გერმანიის შუღლთან დაკავშირებული ამბებიც. კერძოდ, გერმანიამ ინგლისს ევრო 96-ის მოპოვებაში დიდი დახმარება გაუწია და უეფას დალოცვით, ჯენტლმენური გარიგებაც დაუდო, რომ ინგლისელები 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაბევების საქმეში ამოუდგებოდნენ გერმანელებს მხარში. მაგრამ ჩაიარა ევრო 96-მა, ჩაიარა წარმატებით და იშტაზე მოსულმა ინგლისმა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატიც თავისთვის მოინდომა, ხოლო თავი რომ გაემართლებინა, განაცხადა, არანაირი „ჯენტლმენური გარიგება“ არ არსებულაო.

ასეთმა პირის ტეხვამ გერმანია ხომ აღაშფოთა, მაგრამ განარისხა უეფაც და აგერ უკვე ორი წელიწადია, უეფაში გერმანიას უჭერენ მხარს.

მაკგივენს კი ეს ამბავი ჩირადაც არ უღირს. იგი დაჟინებით იმეორებს, რომ ინგლისში არის 20 უმაღლესი კლასის სტადიონი და მათ შორისაა „უემბლიც“, რომელიც სულ მალე თავიდან, განახლებული პროექტით წამოიჭიმება.

„როდესაც ფიფას კომისიის წევრები გვესტუმრებიან და ჩვენს სარბიელებს ნახავენ, მონუსხულები დარჩებიან“ — ამბობს ის.

ინგლისელთა ნაკლი ხულიგანთა სიმრავლეც გახლავთ. მართალია, ბოლო დროს გაძლიერებულმა უსაფრთხოების სისტემამ საკუთრივ ტრიბუნებზე შფოთი ალკვეთა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში საფეხბურთო ძალმომრეობა ისტორიას ჩაბარდა. განა ინგლისელმა ფანებმა არ იჩხუბეს მარსელსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში, გასულ წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში? დიახ, ინგლისელებს სადაც კი ჩავლენ, შფოთისთავთა სახელიც თან დაჰყვებათ.

მაკგივენი კი მხრებს იჩეჩავს და ამბობს, ევრო 96-ზე თუ სულ ორიოდ ინციდენტი მოხდა, ესე იგი უსაფრთხოება ჩვენთვის, ინგლისელებისთვის პრობლემა სულაც არ არისო.

„სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კანდიდატურა საუკეთესოთა შორის საუკეთესოა“ — აცხადებს ის.

**მაიქლ ქოლეტი, როიტერი**

# ინებეთ ევროპული სტანდარტები

მაროკოს სამეფოში მესამე და სამართალიო, ამბობენ. იქ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლად თავიანთი ქვეყნის ხილვა სურთ.

სულაც არ ეპიტნავებათ მაროკოელებს საკუთარი ხელით დაწერილი განცხადების უკან გამოტანა და ჯობს ნურავინ შეეცდება ასეთი რამის დაძალებას, რადგან სამეფოს ქვეშევრდომთ ეჭვი არ ეპარებათ, რომ მშვენივრად შესწევთ გერმანიის, ინგლისის და თანაკონტინენტელი სამხრეთ აფრიკის გზიდან ჩამოცილების ძალა.

დიახ, აფრიკის ხუთმა ქვეყანამ გამოთქვა მსოფლიოს პირველობის მასპინძლობის სურვილი. ესენია მაროკო, განა, სამხრეთ აფრიკა, ნიგერია და ეგვიპტე, აი, კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციას კი რაღაც ჭადრაკის შესაფერისი კომბინაციის მოფიქრებისთვის მიუცია თავი. კონფედერაცია ცდილობს საქმეები ისე დაალაგოს, რომ ფიფას საუკეთესო ვარიანტად რომელიმე აფრიკელი შეატოვოს ხელთ. სხვადასხვა ვერსიების გადალაგება-გადმოლაგებაში კი რეგიონალური ფეხბურთის მმართველთ თავში აზრად მაროკოს, განას, ნიგერიის და ეგვიპტის განცხადებათა გაერთიანება და ამ სახელმწიფოების თანამასპინძლობა მოუვიდათ.



საფრანგეთი 98. მონპელიე. 10 ივნისი. მაროკო — ნორვეგია 2:2. მაროკო: დგანან — ელ ხალეჯი, როსი, ჩიპო, ჰადა, ნაიბეტი, ბენზეკრი, სხედან — ჰაჯი, საბერი, ბასირი, ელ ჰადრიუ

ასეთი ვარიანტი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ გერმანიას, ინგლისსა და ბრაზილიას ცალკე კიდევ სამხრეთ აფრიკამ გაუმართოს ბრძოლა, თუმცა ალბათ ასეთი პროექტი მეტისმეტია.

ამასობაში კი მაროკოელებს არ ავიწყდებათ ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის სურვილი, 2006 წელს მსოფლიოს პირველობა მაინც და მაინც აფრიკაში ჩაატაროს და იმედის თვალით შეჰყურებენ შვეიცარიელს. მოკლედ, საეჭვოა, რომ ჩრდილო აფრიკის ამ სახელმწიფომ ვინმეს რამე დაუთმოს ან ვინმეს ხათრით რამე დათმოს.

ზემოთ მესამე და სამართალი ვახსენეთ. პირველად მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლა მაროკოელებმა 1994 წელს წააგეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, მეორედ კი 1998 წელს საფრანგეთთან. ახლა მათ თავი ძალიან გამოცდილ და რეალურ კანდიდატად მიაჩნიათ.

აფრიკის კონფედერაციის პრეზიდენტმა, იმავდროულად ფიფას ვიცე პრეზიდენტმა, ისა ჰაიატუმ იანვარში განაცხადა: „ცხადია ჩვენი კონტინენტის სხვა ქვეყნებს თავის წამოყენებას ვერ ავუკრძალავთ, მაგრამ ვეცდებით ყველა განაცხადი შევაჯეროთ, რათა საუკეთესო შანსი სწორედ ჩვენ გვქონდეს. თუ ისინი დაგვთანხმდებიან, მადლობას ვუძღვნით და ერთიანი ძალით, ერთი კანდიდატით ვიბრძოლებთ“.

ჰამიდ ლაჰბადიმ, მაროკოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტმა კი ახლახან, „როიტერის“ კორესპონდენტს ასეთი რამ უთხრა: „ვიმედოვნებთ, რომ მთავრობა ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისთვის საკმარის თანხებს გამოგვიყოფს და ჩვენ მოთოვნილი ინფრასტრუქტურის გამართვას მივყოფთ ხელს“.

ამ საუბარში ლაჰბადიმ ხაზი გაუსვა, რომ თუკი მაინც და მაინც ერთი უნდა იყოს საერთოაფრიკული ქვეყანა, რომელსაც მთელი კონტინენტი დაუჭერს მხარს, ყველაზე უპრიანი (სამხრეთ აფრიკაზე მეტადაც კი) სწორედ მაროკოს დასახელება იქნებოდა.

მაროკოს ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად 1970 წელს გავიდა და მას მერე ქვეყანაში ფეხბურთი სპორტის უპოპულარულესი სახეობაა. შემდეგ, ნაკრებმა კიდევ სამჯერ გაიკვალა გზა დედამიწის პირველობებისკენ, 1976 წელს აფრიკის თასი მოიპოვა, ხოლო ბოლო ორი წელიწადია ფიფა — კოკა კოლას რეიტინგში მტკიცედ უკავია მეოცე ადგილი.

სამეფოს საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძლობის გამოცდილებაც აქვს. აქ, 1983 წელს ხმელეთაშუა ზღვის თამაშები გაიმართა, 1988 წელს აფრიკის ჩემპიონატი, ხოლო 1989 წელს ფრანკოფონური თამაშები, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი, რაღა თქმა უნდა, სხვაა.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ჩინოსნები იმედიანად აცხადებენ, რომ როდესაც კანდიდატთაგან ერთის არჩევის დრო დადგება, გამოჩნდება მათი სახელმწიფოს უპირატესობა ყველაფერში, უსაფრთხოების ჩათვლით. გამომჟღავნდება, რომ მაროკოში ევროპული სტანდარტის კავშირგაბმულობის სისტემაა და ასეთივე დონისაა ტრანსპორტი და სარბიელები.

უცხოეთის ტურისტულ ფირმებს კარგად მოეხსენებათ, რომ სამეფოში უსაფრთხოების საქმე მართლა კარგადაა ორგანიზებული. ქვეყანაში ყოველწლიურად ოთხი მილიონი სტუმარი ჩადის, ხოლო ინციდენტები ათასში ერთხელ ხდება.

მსოფლიოს ჩემპიონატის სამასპინძლოდ ათი ქალაქის სტადიონებია მზად. ეს ქალაქები დაკავშირებულია საერთაშორისო აეროპორტებთან, ხოლო 2005 წლისთვის მათ შორის გადაიჭიმება უმაღლესი დონის ტრასები, რომელთა საერთო სიგრძე ათასი კილომეტრის ტოლი იქნება.

სატელეფონო ქსელი მაროკოში კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესოა, 600 სასტუმროში კი ასი ათასი ადამიანის დაბინავებაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ტურიზმის მზარდი ტემპის გამო კიდევ რამდენიმე სასტუმროს აშენებაა დაგეგმილი.

საფეხბურთო საქმეთა შეფებს ახალი სტადიონების აგების პროგრამაც აქვთ შემუშავებული. კასაბლანკაში 90 ათასიანი სარბიელი წამოიჭიმება, რაბატში 60 ათასიანი, ხოლო ოუიდაში 40 ათასიანი.

არის კიდევ ერთი სტადიონი, 40 ათასიანი, ფეზში. ეს ნაგებობა თითქმის უკვე აგებულია და მომავალ წელს საზეიმოდაც გაიხსნება.

რემონტს ელის კიდევ ხუთი სარბიელი. მოკლედ ინფრასტრუქტურა თითქოს რიგზეა, მაგრამ ფიფას გულის მოსაგებად მარტო ეს საკმარისი არ უნდა იყოს.

**მიმუნ დარძი, როიტერი**

საქართველოს ჩემპიონატი

# 22 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ზურაბ ჩუბინიძე -ვითა-



ამ ტურში თბილისის „დინამო“ ურთულესი პრობლემის წინაშე იდგა, რადგან მისი მეტოქე, „ვითა“ სდასუ-სთან დამარცხების შემდეგ მომდევნო ტურში ამოიყრიდა ჯავრს ნებისმიერ მეტოქეზე. ჩემპიონებმა მართლაც დიდებულად ითამაშეს და პლეი ოფში მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატი 35 ქულით დაამარცხეს. ვითელთაგან გამოირჩა ზურაბ ჩუბინიძე, რომელმაც მეტოქეებს ფასაქანი არ მისცა მოედნის არცერთ მონაკვეთში.

**— დიდი ხანია, „ვითა“ ისეთი გახელებული არ გვინახავს, როგორც „დინამოსთან“ შეხვედრაში. ისე თავდადებით თამაშობდით, თითქოს ჩემპიონობის ბედი წყდებოდა. სდასუ-თან წაგების ბრალი იყო ასე თუ სხვა რამის?**

— სდასუ-თან რომ მოგვეგო, სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ავიდოდით. წაგების გამო კი თსუ-მაც გადაგვასწრო და მეოთხეზე ჩამოვქვეითდით. სწორედ ამიტომ იყო, რომ „დინამოსთან“ თავი აღარ დაგვიზოგავს.

**— თსუ-სა და სდასუ-თან წაგებას რით ახსნი?**

— მხოლოდ შემთხვევითობით. ორივე გუნდს სამქულიანები წაუვიდათ და ამის გამო წავაგეთ.

**— პლეი ოფშიც რომ წაუვიდეს თქვენს მეტოქეს სამქულიანები?**

— იქ თამაში სამ მოგებამდეა და, არა მგონია, სამი შეხვედრა წავაგოთ რომელიმე გუნდთან.

**— ამჯერადაც ჩემპიონობისათვის მებრძოლ „ვითას“ ფინალში რომელი გუნდი დაუპირისპირდება?**

— მე მგონი შარშანდელი ფინალი განმეორდება და კვლავ „აზოტთან“ მოგვიწევს ჩემპიონობისათვის ბრძოლა.

**— მიმდინარე ჩემპიონატში პლეი ოფში მოხვედრაზე „ვითასა“ და „აზოტის“ გარდა ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. შენი აზრით, რომელი გუნდები შეძლებენ ოთხეულში მოხვედრას?**

— „დინამოსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებთან შედარებით ოთხეულში მოხვედრის ცოტა მეტი შანსი აქვთ სდასუ-ს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებს.

**— „დინამოსთან“ შეხვედრაში მოგროვილი 15 ქულიდან პირველ ტაიმში მხოლოდ 2 ქულა გააკეთე. ამის შესახებ რას გვეტყვი?**

— პირველ ტაიმში ძირითადად დაცვაში ვთამაშობდი. როდესაც მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მხოლოდ მაშინ გადავინაცვლე თავდასხმაში.

**— საერთოდ რომელ პოზიციაზე თამაშობ?**

— ძირითადად ვარ თავდასხმაში, მესამე-მეოთხე ნომრებზე. ასევე შემიძლია ვითამაშო გამთამაშებლადაც და ცენტრზეც.

**— ხომ იცი ასეთი მონაცემების მქონე კალათბურთელს რას ეძახიან?**

— უნივერსალს.

**— მერედა, უნივერსალური კალათბურთელი ხარ?**

— არ ვიცი, უნივერსალური ვარ თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ მწვრთნელი ყველა ამპლუაში მათამაშებს.

**— შენი საკალათბურთო მოღვაწეობისა და ფიზიკური მონაცემების შესახებაც გვითხარი რამე?**

— დავიბადე 1973 წლის 8 თებერვალს, თბილისში. ვარ 2 მეტრი, წონაში კი 93 კილოგრამი. დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. კალათბურთში ვარჯიში დავიწყე 10 წლის ასაკში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების დროს ნათამაშები მაქვს თბილისის „დინამოს“ დუბლ შემადგენლობაში. „ვითას“ გარდა სხვადასხვა წლებში გამოვდიოდი თსუ-სა და სდასუ-ს საკალათბურთო გუნდებში.

„ვითას“ სახელით სამჯერ გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

**— რამ განაპირობა შენი კალათბურთელობა?**

— ფიზიკურმა მონაცემებმა და ოჯახურმა ტრადიციამაც.

**— რა ოჯახურ ტრადიციაზეა საუბარი?**

— დედაჩემი არის ყოფილი კალათბურთელი

**— კალათბურთის გარდა სპორტის სხვა სახეობა თუ გიტაცებს?**

— ისე რა. ყველას მაინც კალათბურთი მირჩევნია.

**— ესე იგი, შენი არჩევანით კმაყოფილი ხარ.**

— ძალიან.

**— მაშინ ეკონომისტობა რაღად გინდოდა?**

— თუ კალათბურთში ხელი მომეცარა, უმუშევარი რომ არ დავრჩე.

**— პირადად მე, აღელვებული არასოდეს მინახიხარ მოედანზე. შენს მიმართ მსაჯები ყოველთვის ობიექტურები არიან, თუ შენ არიდებ თავს კონფლიქტურ სიტუაციებს?**

— მსაჯები ჩემთანაც სცოდავენ ხანდახან, მაგრამ არა მგონია აყალმაყალით საქმეს რაიმე ეშველოს.

**— სათქმელს გულში იკლავ?**

— რატომ გულში. ვეუბნები წყნარად და არა ხმაურითა და წივილკივილით.

**— მოედანზე თუ მოედნის გარეთ?**

— მოედანზეც და მოედნის გარეთაც.

**— თუ გაქვს ნათამაშები ისეთი მატჩი, რომელიც დღემდე გახსოვს.**

— არა, ასეთი მატჩი არ მახსენდება.

**— აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ რას აპირებ? კვლავ კალათბურთში დარჩები თუ ეკონომისტობას გაიხსენებ?**

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია.

**როლანდ ლაბუჩიძე**

რეგულარული ჩემპიონატი

# ადელმანს ვინღა დახვდებოდა?

NBA

31 მარტი

**პორტლენდი 100:86 საკრამენტო**

**პორტლენდი:** სტუდემაიერი (21), ენტონი (16), გრანტი (16), ონილი (1), საბონისი (7); ვოლესი (13), ვილიამსი (13), ჯექსონი (7), კატო (5), ველსი (2), ოგმანი

**საკრამენტო:** ვილიამსი (8), აბდულვაჰადი (4 ქულა, 9 მოხსნა), ვილიამსონი (13), პოლარდი (2), დივაცი (20 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი); ფანდერბურკი (12 ქულა, 9 მოხსნა), მაქსველი (9), სტოიაკოვიჩი (8), ჰოკინსი (6), ბერი (2), ჯეიმსი (2)

ვირუსშეყრილი ლიდერის კრის ვებერის არყოფნაში პორტლენდს ნასტუმრებ საკრამენტოს თუ ვინმესი ეიმედებოდა, მისი თავკაცი რიკ ადელმანი იყო. ეს კეთილი ბიძა სწორედ პორტლენდში მოღვაწეობდა წლების განმავლობაში და თან მისი მწვრთნელობის წლები „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ოქროს ხანას ემთხვეოდა. მისი თავკაცობით „ბლეიზერსმა“ ორჯერ გააღწია ლიგის ფინალში და 1990 წელს დეტროიტთან დამარცხდა, 1992 წელს მაიკლ ჯორდანის ჩიკაგოსთან. საკრამენტოელები იმედოვნებდნენ, ჩვენს მწვრთნელს ამ გუნდის ავანჩავანი კარგად მოეხსენება და სწორედაც რომ წაგვადგებაო. თუმცა პორტლენდის ძველ შემადგენლობიდან ნახევარზე მეტი უკვე პენსიაზეა გასული, დანარჩენებიც სხვადასხვა გუნდებში მიმოფანტულან და ახალ მწვრთნელ მაიკ დანლივის სულ სხვა ლომივით ბიჭები შეუქრჩებია, მათ ჭკუასაც რიგიანად არიგებს და პორტლენდიც, ყველას გასაოცრად და დასავლური ბოლოების გულსახეთქად, მისისიპის გაღმა კონფერენციის ცხრილის სათავეში წამოსკუპებულა და იქ იმდენად კარგად გრძნობს თავს, რომ ამ ადგილისთვის, ერთობ მონდომებულ და ჩასაფრებულ იუტას, ლეიკერსს და სხვებსაც კარგა ხანს მოუწევთ ლოდინი.

თუ საკრამენტოს ამ მატჩში თავისი ლიდერი და ლიგის უპირველესი მომხსნელი კრის ვებერი აკლდა, პორტლენდი თავის მოთამაშეთაგან ყველაზე შედეგიან და ამავ დროს დაუდეგარ აიზია რაიდერს მოისაკლისებდა. ამ ჯეელს, ვინც ლიგის ცუდი ბიჭების სიაში ერთ-ერთი პირველთაგანია, ერთობ განუცდია, წინა დღით გოლდენ სტეიტს რომ ვერაფერი მოუხერხა და იმდენი იჩხუბა, სანამ მატჩიდან არ მიაბრძანეს, თან საკრამენტოსთან თამაშიც აუკრძალეს. სამაგიეროდ, პორტლენდს ჰყავდა დეიმონ სტუდემაიერი, ვინც იმავე გოლდენ სტეიტთან მარცხმა და საკუთარმა უსუსურობამ რაიდერზე არანაკლებ აანერვიულა, მაგრამ, თანაგუნდელისგან განსხვავებით, მან ჩხუბის მაგივრად საამტროდ ფსიქოლოგიურ მომზადებას დაუთმო მეტი დრო და საომრადაც განეწყო. შედეგად სამი წლის წინ სეზონის ახალბედად შერაცხულმა სტუდემაიერმა დაჩაგრა თავისი მეურვე და ამ სეზონის ახალბედას ტიტულის ერთ-ერთი მაძიებელი ჯეისონ ვილიამსი. უიმედოდ დამარცხებული საკრამენტოდან თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, ეს ნატოს მიერ უმოწყალოდ დაბომბილი იუგოსლავიის შვილი ვლადე დივაცია. სანამ მატჩი დაიწყებოდა, დივაცი იძახდებოდა, მეტოქე გუნდის ერთ-ერთ ლიდერს და მოედანზე ჩემს მოსისხლე მტერს არვიდას საბონისს არ გავახარებო და აასრულა კიდეც დანაპირები, თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ თავისიანთა ლალობის შემხედვარე საბონისსაც დიდად არ გამოუღია ხელი.

**ვაშინგტონი 84:73 ორლანდო**

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (20)

**ორლანდო:** არმსტრონგი (15)

ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე პატივცემულმა და ღვაწლმოსილმა კალათბურთელმა მიჩ რიჩმონდმა, რომელიც ვაშინგტონამდე ორ დასავლურ გუნდში — ჯერ გოლდენ სტეიტში, მერე კი საკრამენტოში ლიდერობდა და ახლა ეს ფუნქცია დედაქალაქურ გუნდშიც უტვირთავს, თავისი 16 ქულიდან 8 ბოლო მეოთხედში ჩაუგდო ამაოდ დამაშვრალ ორლანდოს.

**ფინიქსი 93:78 გოლდენ სტეიტი**

**ფინიქსი:** გულიოტა (21 ქულა, 11 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი:** ჯეიმისონი (16 ქულა, 15 მოხსნა)

წინა შეხვედრაში, პორტლენდთან გამარჯვებისას, დეიმონ სტუდემაიერის დამჯაბნავმა სტუმართა გამთამაშებელმა ბიმბო კოულზმა ფინიქსელ ჯეისონ კიდსაც იგივე მოუნდომა, მაგრამ კიდი სტუდემაიერზე უკეთესი მეტოქე აღმოჩნდა კოულზისთვის და მის დარად 14 ქულა ჩააგდო. სამაგიეროდ, კოულზის გუნდი დაეჩაგვრინა ფინიქსს, რომლის ლიდერმა ტომ გულიოტამ თავისი 21 ქულიდან 10 მესამე მეოთხედში ჩაუგდო ფინიქსზე ნაკლები გაქანების მქონე გოლდენ სტეიტს და ამით ნაადრევად მოათავებინა თავისიანებს საქმე.

**შარლოტი 94:102 მილუოკი**

**შარლოტი:** რეკასნერი (26)

**მილუოკი:** ალენი (20)

ეგრე უნდათ მაგ უმადურებს. ჩემისთანა ბიჭები რომ გაუშვეს, იმიტომ აქვთ საქმე კარგადო, ამბობდა შარლოტზე მილუოკელი დელ კარი, რომელმაც მეტოქეს 18 ქულა ჩაუგდო და გულიც მოიოხა. მის წყრომა კი სავსებით სამართლიანი გახლდათ, რადგან კარმა კარიერის 12 წლიდან 11 შარლოტში გაატარა და ამ სეზონის დასაწყისში შარლოტის ბოსებმა უთხრეს, აღარ გვჭირდები, ოთხივ მხრივ გზა ხსნილი გაქვსო. ეს მაშინ, როდესაც კარი შარლოტის დაარსებიდან, 1987 წლიდან ამ სეზონამდე, ამ გუნდში იყო, კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი თამაში ჩაეტარებინა და „კრაზანებისთვის“ მის რიგებში მოთამაშე ნებისმიერ პირტიტველა ბიჭზე მეტი ქულა მოეპოვებინა.

**ბოსტონი 72:87 დეტროიტი**

**ბოსტონი:** პირსი (20)

**დეტროიტი:** ჰილი (16 ქულა, 11 მოხსნა)

ბოსტონის ლიდერმა ანტუან ვოლკერმა (18 ქულა ამ მატჩში) სეზონის დაწყებამდე იმდენი ილაპარაკა, ლიგის ბომბარდირი გავხდებიო, თავის ვითომც უსაზღვრო შესაძლებლობებში ყველა დაარწმუნა, მაგრამ მოვიდა სეზონი და მძლავრი ახალბედათი, პოლ პირსით გაძლიერებული ბოსტონი შარშანდელზე სუსტად ირჯება, ხოლო ვოლკერი მატჩში საშუალოდ 20 ქულასაც ვერ აგროვებს და, საეჭვოა, ლიგის უპირველეს ბომბარდირობას შეეწვდეს. დარბაზში შეკრებილი 17 ათასი გულშემატკივარი კი ზედიზედ მეოთხედ შეიქნა ოდესღაც მრისხანე „სელტიქსის“ მარცხის მომსწრე.

**ირაკლი ფირაშვილი**



REUTERS შარლოტიდან

შარლოტი — მილუოკი. უტევს მილუოკელი რეი ალენი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ორლანდო | 22 | 10 | 68,8 |
| მაიამი | 19 | 9 | 67,9 |
| ნიუ იორკი | 17 | 14 | 54,8 |
| ფილადელფია | 15 | 14 | 51,7 |
| ვაშინგტონი | 13 | 17 | 43,3 |
| ბოსტონი | 10 | 19 | 34,5 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 24 | 17,2 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 20 | 10 | 66,7 |
| ატლანტა | 19 | 12 | 61,3 |
| დეტროიტი | 19 | 12 | 61,3 |
| მილუოკი | 18 | 12 | 60,0 |
| ტორონტო | 15 | 14 | 51,7 |
| კლივლენდი | 14 | 14 | 50,0 |
| შარლოტი | 12 | 17 | 41,4 |
| ჩიკაგო | 9 | 21 | 30,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 21 | 8 | 72,4 |
| ჰიუსტონი | 22 | 9 | 71,1 |
| სან ანტონიო | 20 | 10 | 66,7 |
| მინესოტა | 17 | 13 | 56,7 |
| დალასი | 10 | 22 | 31,3 |
| დენვერი | 8 | 23 | 25,8 |
| ვანკუვერი | 6 | 24 | 20,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 24 | 6 | 80,0 |
| ლეიკერსი | 21 | 11 | 65,6 |
| სიეტლი | 15 | 14 | 51,7 |
| ფინიქსი | 15 | 16 | 48,4 |
| საკრამენტო | 14 | 18 | 43,8 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 17 | 43,3 |
| კლიპერსი | 3 | 26 | 10,3 |

## კორაჩის თასი. ფინალი. საპასუხო მატჩი. 31 მარტი

**ბარსელონა (ესპანეთი) — ადეკო (ესპანეთი) 97:70**

(პირველი მატჩი 77:93)

ბარსელონა: ალსტონი (14), ჯორჯევიჩი (18), დუენიასი, ესტელერი (12), ფერნანდესი (17), გუროვიჩი (13), ნავარო, რენციასი (18), როდრიგესი (5)
ადეკო: აზოფრა (5), ბარსენასი (2), დე მიგელი (12), ხიმენესი (10), მარტინესი (4), ა. რეიესი (13), ფ. რეიესი, რობლესი (3), ვანდივერი (21)



EFE ბარსელონიდან

ბარსელონა — ადეკო. ფინალის საპასუხო მატჩის საუკეთესო მოთამაშე, ბარსელონელთა იუგოსლავიელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი (ბურთით) მადრიდელი მარტინესის წინააღმდეგ

### კორაჩის თასის ყველა ფინალი და მფლობელი

1972 ლოკომოტივი (ზაგრები, იუგოსლ.) - ოკკ (ბელგრადი, იუგოსლ.) 71:83, 94:73
1973 ფორლი (კანტუ, იტალია) - მაეს პილსი (მეჰელენი, ბელგია) 106:75, 94:85
1974 ფორლი (კანტუ, იტალია) - პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლ.) 99:86, 75:68
1975 ფორლი (კანტუ, იტალია) - ბარსელონა (ესპანეთი) 71:69, 110:85
1976 იუგოპლასტიკა (სპლიტი, იუგოს.) - ჩინამარტინი (ტურინი, იტალია) 97:84, 82:82
1977 იუგოპლასტიკა (სპლიტი, იუგოსლავია) - ალკო (ბოლონია, იტალია) 87:84
1978 პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლ.) - ბოსნა (სარაევო, იუგოსლავია) 117:110
1979 პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლავია) - არიგონი (რიეტი, იტალია) 108:98
1980 არიგონი (რიეტი, იტალია) - ციბონა (ზაგრები, იუგოსლავია) 76:71
1981 ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) - კარერა (ვენეცია, იტალია) 105:104
1982 ლიმოჟი (საფრანგეთი) - შიბენკა (შიბენიკი, იუგოსლავია) 90:84
1983 ლიმოჟი (საფრანგეთი) - შიბენკა (შიბენიკი, იუგოსლავია) 94:86
1984 ორტეზი (პო, საფრანგეთი) - ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოს.) 97:73
*ორტეზი: მაკ კალოფი, ჰენდერსონი, კაბა, უფნაგელი, ორტეგა, ლაპერში, ბისენი*
1985 სიმაკი (მილანი, იტალია) - ჩაო კრემი (ვარეზე, იტალია) 91:78
*სიმაკი: შოუენი, პრემიერი, დანტონი, მენეგინი, კაროლი, ბოსელი, ბარივიერა*
1986 ბანკო დი რომა (იტალია) - მობილჯირჯი (კაზერტა, იტალია) 84:78, 73:72
*ბანკო დი რომა: ოსკარი, ჯენტილე, დელაჯელო, კაპონე, ლოპესი, რიკი, ჯენერალი*
1987 ბარსელონა (ესპანეთი) - ლიმოჟი (საფრანგეთი) 106:85, 97:86
*ბარსელონა: ბრაიანტი, ეპი, სიბილიო, ხიმენესი, სოლოსაბალი, ტრუმბო, კოსტა, დე ლა კრუსი, სოლერი, ორტისი*
1988 რეალი (მადრიდი, ესპანეთი) - ციბონა (ზაგრები, იუგოსლავია) 102:89
*რეალი: რომაი, ბრაწსონი, ალეჟსისი, კორბალანი, იტურიაგა, ლორენტე, ბირიუკოვი, კარგოლი, დელ კორალი*
1989 პარტიზანი (ბელგრადი, იუგოსლ.) - ვივა ვისმარა (კანტუ, იტალია) 76:89, 101:82
*პარტიზანი: დივაცი, ჯორჯევიჩი, პასპალი, დანილოვიჩი, პოპოვიჩი, ვუიაჩიჩი, ნაკიჩი, სავოვიჩი, მუტავჯიჩი, პრეჟანინი*
1990 ხუვენტუდი (ბადალონა, ესპანეთი) - სკავოლინი (პეზარო, იტალია) 99:98, 96:86
*ხუვენტუდი: ვილია კამპა, ლამპლი, ჯონსონი, მონტერო, მორალესი, რ. ხოფრესა, ტ. ხოფრესა, მარგალი, რაფი*
1991 კლერი (კანტუ, იტალია) - რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 73:71, 95:93
*კლერი: მანიონი, ბოუი, პესინა, ბოსა, მარძორატი, ჯანოლა, როსინი, ჯილარდი, დალ სენო*
1992 მესაჯერო (რომი, იტალია) - სკავოლინი (პეზარო, იტალია) 94:94, 99:86
*მესაჯერო: რაჯა, მაჰორნი, ფანტოცი, ნიკოლა, პრემიერი, ბარნა, ავენია, კროჩე, ატრუია*
1993 ფილიპსი (მილანი, იტალია) - ვირტუსი (რომი, იტალია) 95:90, 106:91
*ფილიპსი: ჯორჯევიჩი, პიტისი, დევისი, რივა, პორტალუპი, სამბუგარო, პესინა, ალბერტი, ბალდი*
1994 პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი) - სტეფანელი (ტრიესტი, იტალია) 75:66, 100:91
*პაოკ: ბერი, სავიჩი, პრელევიჩი, კორფასი, გალაკტეროსი, ბუდურისი, ბალოიანისი, ცეკოსი, რენციასი*
1995 ალბა (ბერლინი, გერმანია) - სტეფანელი (მილანი, იტალია) 87:87, 85:79
*ალბა: ალიბეგოვიჩი, ობრადოვიჩი, როდლი, ოკულაჯა, ო ზთურქი, მახოვსკი, ბაეკი, ბრაუნი, ფრაიერი, ბენკე*
1996 ეფესი (სტამბოლი, თურქეთი) - სტეფანელი (მილანი, იტალია) 76:68, 70:77
*ეფესი: ნაუმოსკი, მაკრეი, აიდინი, ოიგუჯი, სარიჯა, თურქჯანი, ევლიაოღლუ, სანჯარი*
1997 არისი (სალონიკი, საბერძნეთი) - თოფაში (ბურსა, თურქეთი) 66:77, 88:70
*არისი: შეკლფორდი, ორტისი, ბონი, ნაპარი, ანგელიდისი, ლიადელისი, სიუტისი, პოლიტელისი, სტავრაკოპულოსი, ფლორისი*
1998 რიელო (ვერონა, იტალია) - ცრვენა ზვეზდა (ბელგრადი, იუგოსლ.) 68:74, 73:64
*რიელო: იუ ზოლინო, ბრაუნი, კეისი, დალა ვეკია, ბონი, იერიხოვი, გნადი, ბულარა*
1999 ბარსელონა (ესპანეთი) - ადეკო (მადრიდი, ესპანეთი) 77:93, 97:70
*ბარსელონა: ალსტონი, ჯორჯევიჩი, დუენიასი, ესტელერი, ფერნანდესი, ხუნიენტი, გუროვიჩი, ნავარო, რენციასი, როდრიგესი*



# საუკუნე უსამპრას-უაგასოდ

DAVIS CUP by NEC

დევისის თასის ისტორია 1900 წელს, ბოსტონის „ლონგვუდ კრიკეტ კლაბიდან" იღებს დასაბამს, როდესაც მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფინალში მასპინძლებმა ბრიტანეთი გაანადგურეს.

დღეს, როდესაც მხცოვანი ტურნირი უკვე საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს, ბედმა ნაიმპერიევ-ნაკოლონიევი ქვეყნები კიდევ ერთხელ გადაჰყარა ერთიმეორეს — სხვა ჩოგბურთელები, სხვა ადგილი, იგივე მნიშვნელობა.

ბრიტანეთისა და აშშ-ის მოსალოდნელ დაპირისპირებაზე ჯერ კიდევ შარშან, კენჭისყრის ჩატარების შემდეგ დაიწყეს საუბარი. 1992 წელს საუკეთესოთა ჯგუფიდან ევრო-აფრიკული ზონის სიღრმეებისკენ ჩაძირულმა ინგლისმა ნახევრად კანადელი გრეგ რუზეცკის გადაბირებისა და ტიმ ჰენმანის დიდი წინსვლის შემდეგ, როგორც იქნა, ხეირიან გუნდს მოუყარა თავი და კაპიტან დევიდ ლოიდის მეთაურობით უმაღლეს ლიგაშიც გადაბარგდა.

დიდ ჩოგბურთს დანატრებული მასპინძლები მატჩს დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ: ბირმინგემის 9800-კაციანი გადახურული სტადიონის ბილეთები ასპარეზობის სამივე დღისთვის უკლებლივ გაყიდულია, კარგ ფორმაში არიან მთავარი ჯილებიც. „ყველაფერი კარგად მიდის და იმედია, მაყურებლებიც მხარს დაგვიჭერენ. რაც შეეხება მე, ამ უქმეებზე მატჩისთვის კი არა, სისხლიმღვრელი ბრძოლისთვის ვემზადები" — ასეთ ხასიათზე გახლავთ კლასიფიკაციით მეშვიდე ჰენმანი.

აი, ამერიკელებს კი იმდენი პრობლემა დაუგროვდათ, ბარე სამ-ოთხ გუნდს ეყოფოდა. ის ამბავი, რომ ბოლო წლების თავგამოჩენილ მტატელებს — პიტ სამპრასს, ანდრე აგასისა და მაიკლ ჩანგს საკუთარი ქვეყნის სახელით ასპარეზობა გულზე არ ეხატებათ, დიდი ხანია, ყველამ იცის. კაპიტანი ტიმ გალიქსონი რამდენიმე თვის მანძილზე ზემოხსენებული ვარსკვლავების კარი-კარ დადიოდა და მუხლმოყრილი სთხოვდა, გადაწყვეტილება შეეცვალათ, მაგრამ ბოლოს, ეგ აგდებული ქვა თავშიც გიხლიათო, შეუთვალა, მსურველები ისეც ბევრი მყავსო.

გალიქსონს ბირმინგემში ხელწამოსაკრავი გუნდი მაინც არ ჩაუყვანია — საუკეთესოთა ათეულში დაბრუნებული ტოდ მარტინი, მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე და 21 წლის ჟან-მაიკლ გემბილი პირად შეხვედრებში ინგლისურ დუეტს 13:2-ს უგებენ. ოღონდ ეგ არის, ორი კვირის წინ ტოდ მარტინმა მუცლის კუნთი დაიჭიმა და „ლიპტონის" პირველობის გამოტოვება მოუხდა. „არ მინდა, ისინი ვათამაშო, ვისაც აქ ყოფნა არ უნდა. ამ წუთში გუნდში ის ჩოგბურთელები არიან, რომელთათვისაც დევისის თასზე ასპარეზობა უდიდესი პატივია — განაცხადა გალიქსონმა — ეს ბიჭები სათადარიგო შემადგენლობა არ გახლავთ, ისინი ჩემი რჩეულები არიან".

კიდევ ერთი საინტერესო მერვედფინალი ფრანკფურტში გაიმართება, სადაც გერმანელები რუსებს უმასპინძლებენ.

ვისაც იმავე მეტოქეების 1995 წლის ნახევარფინალური მატჩი უნახავს, ესე იგი, ანდრეი ჩერნოკოვთან მიხაელ შტიხის 9 გაცუდებული მატჩ-პოინტი, ამის შემდეგ ცრემლად დაღვრილი გერმანელი, სიხარულისგან გაგიჟებული რუსი კომენტატორის ყვირილი და ერთ დროს ხეირიანად მოლაპარაკ-მოსიარულე პრეზიდენტის მიერ ჩესნოკოვის გმირობით დაჯილდოება ახსოვს, დარწმუნებული იქნება, რომ მასპინძლები შურის საძიებლად ძალღონეს არ დაიშურებენ.

„ვფიქრობ, რუსეთი წლევანდელი ტურნირის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია. მთავარია, ის ფაქტი გამოვიყენოთ, რომ კაფელნიკოვს სამივე მატჩის გამართვა მოუწევს" — მიაჩნია შებერებულ ბორის ბეკერს, რომელმაც იმ ავადსახსენებელი შეხვედრის დასრულება ტრავმის გამო ვერ მოახერხა, ამჯერად კი მხოლოდ წყვილებში იასპარეზებს.

გერმანელები ორი ახალგაზრდა ჩოგბურთელის — ნიკოლას კიფერისა და ტომი ჰაასის იმედზე არიან. ამ უკანასკნელს კვირას 21 წელი უსრულდება და თავისი ანგარიშიც აქვს გასასწორებელი კაფელნიკოვთან, რომელთანაც ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში დამარცხდა: „ბოლომდე ვიბრძოლებ, მგონი, ახლა უკვე ვიცი, როგორ უნდა მოვუგო".

გერმანელის განცხადებას სოჭელ ჭაბუკზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია: „ჰაასი ვერ მომიგებს. მე უფრო კიფერი მაღელვებს, რომელიც პოტენციურად გაცილებით ნიჭიერია". აი, მისი ახალგაზრდა თანაგუნდელი მარატ საფინი კი კიდევ უფრო იმედიანადაა განწყობილი, დროა, ჩემპიონები გავხდეთო.

ახლა მერვედფინალების დროა.

**ავთანდილ სვანიძე**

### დევისის თასი. მერვედფინალი

**შვედეთი — სლოვაკეთი (ტროლჰატანი)**

*შვედეთი* — ტომას ენკვისტი, ტომას იოჰანსონი, იონას ბიორკმანი, ნიკლას კულტი. კაპიტანი: კარლ-აქსელ ჰაგესკოგი

*სლოვაკეთი* — კაროლ კუჩერა, დომინიკ ჰრბატი, იან კროსლაკი, ტომას კატერი. კაპიტანი: მიროსლავ მეჩირჟი

**გერმანია — რუსეთი (ფრანკფურტი)**

*გერმანია* — ტომი ჰაასი, ნიკოლას კიფერი, დევიდ პრინოშილი, ბორის ბეკერი. კაპიტანი: კარლ-უვე შტეები

*რუსეთი* — ევგენი კაფელნიკოვი, მარატ საფინი, ანდრეი ჩერკასოვი, ანდრეი ოლხოვსკი. კაპიტანი: შამილ ტარპიშჩევი

**ბრიტანეთი — აშშ (ბირმინგემი)**

*ბრიტანეთი* — ტიმ ჰენმანი, გრეგ რუზეცკი, ნილ ბროუდი, მაილს მაკლაგენი. კაპიტანი: დევიდ ლოიდი

*აშშ* — ჯიმ კურიე, ტოდ მარტინი, ჟან-მაიკლ გემბილი, ალექს ობრაიენი. კაპიტანი: ტომ გალიქსონი

**ზიმბაბვე — ავსტრალია (ჰარარე)**

*ზიმბაბვე* — ბაირონ ბლექი, უეინ ბლექი, კევინ ულიეტი, ჯინიეს ჩეძკვე. კაპიტანი: გევინ სინი

*ავსტრალია* — პატრიკ რაფტერი, მარკ ფილიპუსისი, მარკ ვუდფორდი, ტოდ ვუდბრიჯი. კაპიტანი: ჯონ ნიუკომბი

**საფრანგეთი — ჰოლანდია (ნიმი)**

*საფრანგეთი* — სედრიკ პიოლინი, ჟერომ გოლმარი, სებასტიან გროსჟანი, გიიომ რაუქსი. კაპიტანი: გი ფორჟე

*ჰოლანდია* — პოლ ჰაარჰიუსი, რიჩარდ კრაიჩეკი, სხენგ შალკენი, იან სიმერინკი. კაპიტანი: მიხელ შაპერსი.

**ესპანეთი — ბრაზილია (ლეიდა)**

*ესპანეთი* — კარლოს მოია, ალექს კორეტხა, ალბერტ კოსტა, ფელიქს მანტია. კაპიტანი: მანოლო სანტანა

*ბრაზილია* — გუსტავო კუერტენი, ფერნანდო მელიგენი, მარსიო კარლსონი, ხაიმე ონსინსი. კაპიტანი: რიკარდო ასიოლი

**ბელგია — ჩეხეთი (გენტი)**

*ბელგია* — ფილიპ დევულფი, იოჰან ვან ჰერკი, ქსავიე მალისი, კრისტოფ ვან გარსი. კაპიტანი: დაუდგენელია

*ჩეხეთი* — ბოგდან ულირახი, სლავა დოსედელი, ირჟი ნოვაკი, დევიდ რიკლი. კაპიტანი: ტომას შმიდი

**შვეიცარია — იტალია (ნოიშატელი)**

*შვეიცარია* — მარკ როსე, როჯერ ფედერერი, ივო ჰიობერგერი, ლორენცო მანტა. კაპიტანი: კლაუდიო მეცადრი

*იტალია* — სტეფანო პასკოსოლიდო, დავიდე სანგვინეტი, ჯანლუკა პოცი, ლორენს ტილმანი. კაპიტანი: პაოლო ბერტოლუჩი

### ჰილტონ ჰედი. FAMILY CIRCLE CUP. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $

მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1,შვეიცარია) — სილვია პლიჩკე (ავსტრია) 6:3, 7:5; მონიკა სელეში (2,აშშ) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:3, 6:0; იანა ნოვოტნა (3,ჩეხეთი) — კატალინა კრისტეა (რუმინეთი) 6:4, 6:3; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (4,ესპანეთი) 6:4, 6:3; ამანდა კუტცერი (5,სამხრეთ აფრიკა) — ელენა მაკაროვა (რუსეთი) 6:3, 7:5; ანა კურნიკოვა (7,რუსეთი) — მარია ლორენსო (ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:1; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ამელი მორესმო (8,საფრანგეთი) 6:4, 0:6, 6:4; ივა მაიოლი (ხორვატია) — ირინა სპირლეა (9, რუმინეთი) 1:6, 6:4, 6:2; კონჩიტა მარტინესი (10,ესპანეთი) — ალესია დემომ-ბალრე (საფრანგეთი) 6:3, 6:0.



სარბიელის არქივიდან

ევგენი კაფელნიკოვი (მარცენა ფოტოზე), გერმანელთა კაპიტანი კარლ-უვე შტეები და ბორის ბეკერი საბრძოლველად ემზადებიან

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო



ტონგელების ხელით თამაშთან ქართველები ახლოსაც ვერ მივიდნენ

# ჯერ თავს ვაჯობოთ!

## ქართულმა რაგბიმ ახლებურად თუ არ იაზროვნა და იმოქმედა, კვლავაც სხვათა სიხარულის მაცქერალი იქნება

დასაწყისი პირველ გვერდზე

ძველთაძველი სიბრძნეა, ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო. ჩვენი აზრით, ახლა სწორედ ის დროა, როცა უთქმელობა გვაზარალებს. რაკი დამთავრდა დამოუკიდებელი ქართული რაგბის საერთაშორისო ასპარეზზე დებიუტის პერიოდი, ახლა ანალიზის დროა. ამას თავად ამ საქმის სპეციალისტებიც გააკეთებენ, მაგრამ ჩვენ მოედნის გარედან ვუცქერთ მოვლენებს. ამ პრობლემებზე ადრეც გვისაუბრია, მკვეთრ შეფასებებს კი შეგნებულად ვერიდებოდით, რადგან მნიშვნელოვანი თამაშების წინ სიტუაციის დაძაბვა არ გვსურდა.

მივყვეთ ყველაფერს თანმიმდევრობით.

### რა გვინდოდა მსოფლიოს თასზე?

გუნდი, რომელსაც ერთი სავარჯიშო მოედანიც კი არა აქვს, მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე არც უნდა გადიოდეს. ჩვენ რომ გავსულიყავით, იქ რუმინეთის ან ტონგის დარი გუნდების ადგილი უნდა დაგვეჭირა, სადაც რაგბის ჩვენთან შედარებით ულხინს. ის ხალხი ჩვენზე მეტს აკეთებს სპორტის ამ სახეობისთვის, ჩვენ კი უშრომლად, ზედმეტი ოფლის დაუღვრელად გვინდა გამარჯვების ტკბილი ნაყოფით პირის ჩატკბარუნება. მაგრამ რაგბის დაუწერელი კანონი ჩვენნაირებს არ სწყალობს და არამ ლუკმას არავის აპატიებს. რაგბიში შემთხვევით არაფერი ხდება და საერთაშორისო სარბიელზე მარტოოდენ ჟინის იმედზე ყოფნა ლოგიკურად დასრულდა.

რაგბის კავშირი რაგბის სამომავლო კეთილდღეობას მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გასვლაზე აფუძნებდა. მაგრამ ეს ილუზია ხელში შემოგვადნა. ის კვლავ ძველი პრობლემების წინაშე დარჩა. ჩაქრა იმედი. საინტერესოა, ახლა მაინც თუ იზრუნებენ იმაზე, რომ სტადიონი და ბაზა ჰქონდეთ? რაც ეს კავშირი დამოუკიდებლად არსებობს, ამ დროში სარაგბო თემს თავად, საკუთარი ხელით რომ ეშრომა, ერთ სავარჯიშო მოედანს ისე ააგებდა (თანადგომა არ იციან, თუ რა?). ბოლოს და ბოლოს, როდემდე უნდა იჩხუბონ რკინიგზის დეპარტამენტთან „ლოკომოტივის“ სტადიონის გამო? ვერ გავედით მსოფლიოს თასზე და არ გვაძლევს ირბ ფულს, განა ამიტომ უსტადიონოდ უნდა ვიყოთ? თუ პირობები არ შეიქმნით, ვერც მომავალში იზეიმებთ წარმატებას. უახლოეს ხანში ექვსი ერის B ჯგუფში ჩავებმებით და ეს პრობლემები ნუთუ მაშინაც გაგვტანჯავს? მნიშვნელოვანი თამაშის წინ მორაგბე იმაზე არ უნდა ფიქრობდეს, სად ივარჯიშოს, შეუშვებენ თუ არა სტადიონზე. არც პოლიცია-ომონთან მოსალოდნელი ჩხუბი უნდა აწუხებდეს.

რაგბის კავშირმა დაფინანსების საკუთარი წყაროები უნდა გამონახოს, თორემ საბიუჯეტო თანხები ისეთივე მირაჟია, როგორც მსოფლიოს თასი — სადღეისოდ. მართალია, ისინი შედარებით უკეთ ფინანსდებოდნენ, მაგრამ ეს მაინც არ კმაროდა. რაზეა ლაპარაკი, როცა ხარჯების შემცირების მიზნით ირლანდიური ტურნირის წინ საფრანგეთიდან რამდენიმე კაცს უკან აბრუნებენ! დროა, მიხვდნენ, რომ მთავრობას სპორტი ფეხებზე ჰკიდია!

ჩემთვის დღესაც გაუგებარია, რა მოხდა ფიჯიში, სასტუმრო „მუკამბაში“? თუ რაგბის კავშირმა მართლაც ვერ გათვალა ყველა ხარჯი, მით უარესი მისთვის! ან ვინ დაამტკიცებს, მსგავსი მომავალშიც არ მოხდებაო. იქნებ სხვა რამეც იყო? რატომ დატოვეს გირაოში მაინცდამაინც მთავარი მწვრთნელი? ხომ არ იყო ეს სორელის კომპეტენციის უზენაესობის გამოხატულება? თუმცა ეს სხვა თემაა და მას ქვემოთ საგანგებოდ მივუბრუნდებით, ახლა კი დასკვნა — რაგბის კავშირი ასე შორს ვერ გაფრინდება.

### კლუბებიდან ნაკრებამდე

ჯერ რუმინეთმა, მერე კი ტონგამ ილუზიებში ჩაფლულები მაგრად შეგვანჯღრიეს და რეალური ადგილი მიგვიჩინეს. ახლა ჯერი ჩვენზეა. დაშვებული შეცდომები ჩვენვე უნდა გავაანალიზოთ და დასკვნებიც გავაკეთოთ.

ტონგასთან თამაშში ძალიან სუსტი ნაკრები ვიხილეთ. გაცილებით სუსტი, ვიდრე ერთი წლის წინ რუსეთთან. ამ ნაკრებს იმ ნაკრებისა მხოლოდ ტრადიციული ჟინი, შემართება და შერკინება ჰქონდა. მავანი შემომედავება, ტონგა რუსეთზე ძლიერია და თამაშის საშუალება არ მოგვცაო, მაგრამ მაშინ მაინც ძლიერი ნაკრები გვყავდა.

მართალი ყოფილა გია რაფავა, როცა ამბობდა, ღვთის ნების გარდა ტონგელებისთვის 32 ქულით მომგებნი არ ვართო. მეტოქეს მართლაც ყველაფერში ჩამოვრჩებოდით — ტექნიკაში, ტაქტიკაში, ფიზმომზადებაში. ჩემი აზრით, ჩვენს გუნდს თითოეული კომპონენტი 10-15 პროცენტით უმჯობესი რომ ჰქონოდა, ტონგა გადაულახავი ბარიერი არ იყო. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მათ დასამარცხებლად ამდენის მომატებაც არ გვჭირდებოდა.

როცა გუნდები მოედანზე გადიოდნენ, გასახდელში ვიდექი. ტონგელები გაცილებით თავდაჯერებულნი გავიდნენ მინდორზე, ქართველთაგან კი უკლებლივ ყველას მღელვარებისგან სახე გაფითრებოდა, ზოგი კი პირდაპირ კანკალებდა. მათი შემხედვარე მივხვდი, რომ ბიჭებმა რეპეშაჟი ამ თამაშამდე წააგეს. ფსიქოლოგიური მომენტი მათთვის ყოველთვის გადაულახავი ზღუდეა. იქნებ ეს პრობლემა ექვსი ერის B ჯგუფში ასპარეზობამ მაინც მოგვიხსნას, თორემ ისე საშველი არ ჩანს.

გუნდმა მეტოქეს მეტად პრიმიტიული, ადვილად გასაშიფრი ტაქტიკა შესთავაზა, ისეთი, საქართველოს ჩემპიონატის ყველა გუნდი რომ თამაშობს. ესაა სრულიად უარყოფილი ფლანგები, ხელით თამაში და მარაო, უაღრესად ერთფეროვანი, უიმპროვიზაციო და უფანტაზიო თამაში, როცა შეტევები ძირითადად ცენტრიდან იწყება შერკინების ხაზის იმედით. კიდევ — რგოლებს შორის დარღვეული კავშირი, როცა ფლანგიდან ფლანგზე იერიშის გადატანა პრობლემაა. ჩვენს ჩემპიონატში ამ თარგს „ყოჩები“ და მეტნაკლებად ერთი-ორი გუნდი არღვევს.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაკრები ისეთივე ტაქტიკით თამაშობს, როგორითაც ჩვენი ნებისმიერი კლუბი, ოღონდ, ცხადია, მაღალ დონეზე.

იმ დღეს მწვრთნელებმა თამაშის მოგება შერკინების ხაზით განიზრახეს, მაგრამ ჩვენი შერკინება არც იმდენად სჯობდა მეტოქეს, რომ იმხელა დეფიციტი აღმოეფხვრა. ბიჭებმა მწვრთნელების დავალება შეასრულეს. მწვრთნელებსაც სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. სხვა საქმეა, გონიერი კაცი რომ უკან დასახევ გზას არ დაიტოვებს... აქ პრობლემათა ერთადერთ თუ არა, ერთ-ერთ სათავეს მაინც მივადექით — ეროვნულ ჩემპიონატს.

მითქვამს და კვლავ გავიმეორებ — იმ დონეს, რომელსაც ქართულმა რაგბიმ მიაღწია, ასეთი არაორგანიზებული ჩემპიონატი ნამდვილად არ ეკადრება. თავად განსაჯეთ — ხშირად ფერხდება ჩემპიონატი იმის გამო, რომ რომელიმე კლუბი ეთიშება მას, ან კონკრეტულ თამაშზე იგვიანებენ ხან მსაჯი, ხანაც მოთამაშეები. ჩხუბიც ჩვეულებრივი ამბავია. ეს ყოველივე მერე ნაკრებშიც აისახება და არც იქ ემორჩილებიან მოთამაშეები რეჟიმს. იქაც ჩვეულებრივად იგვიანებენ ვარჯიშზე და ეკამათებიან მწვრთნელებს. მისი დონის ამაღლება აუცილებელია, ისევე როგორც ბავშვთა რაგბის განვითარება. თაობათა კავშირი თუ გაწყდა, ნაკრები ჰაერში გამოეკიდება და ეგაა. ვიცი, ამ მიმართულებით რაგბის კავშირმა გეგმები უკვე დასახა და გვსურს, მხოლოდ მათი უსწრაფესად ამოქმედებისკენ მოვუწოდოთ.

პრობლემათა მოგვარება სწორედ კლუბებიდან უნდა დავიწყოთ.

### მწვრთნელთა დუეტი

ბოლო ხანებში დიდი კამათი ატყდა კლოდ სორელის კომპეტენციაზე. მასში არ ჩავრეულვარ, მაგრამ ტონგასთან ნაკრებმა იმდენად პრიმიტიული ტაქტიკით ითამაშა, რომ ეჭვი მეც შემეპარა. მაგრამ თუ სორელის სამწვრთნელო მიღწევებს გადავხედავთ, („ბეზიე“ ორჯერ საფრანგეთის ჩემპიონი გახადა, წარმატებები უფრო დაბალ ლიგებში, მაროკოს ნაკრებში და სხვა) თითქოს ეჭვის საბაბი არაა. თუ გურამ მოდებაძე ვერ შეეფერებოდა მთავარ მწვრთნელობას, რატომ აცალეს აქამდე? არაერთგზის უარყოფის მიუხედავად, ალბათ, ვერც მწვრთნელები თანხმდებოდნენ ბოლომდე ერთმანეთში. მათ კონსენსუსის მისაღწევად ხანგრძლივი ნერვების წყვეტაც უწევდათ. თუნდაც რუმინეთთან წაგებული თამაში გავიხსენოთ, როცა ცხადი პასუხი ვერ მივიღეთ კითხვაზე — ვინ დააყენა ის შემადგენლობა, რომელიც მთლად გამართული ვერ იყო? ჯერ კიდევ საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ბიჭებმა შენიშნეს, კონსულტანტს მოდებაძე უფრო ჰგავს, ვიდრე სორელიო. ეტყობა, რაგბის კავშირს მკვეთრად უნდა გაემიჯნა მათი ფუნქციები. ახლა კი ნაკრები ორი ძიძის ხელში გამომხრჩვალ ბავშვს მაგონებს. იმედია, მას ამიერიდან ერთი მწვრთნელი ეყოლება.

და კიდევ ერთიც — კარგა ხანია, რაგბის სამყარო ჭორაობს, ირბ-დან მისაღები ფულის (რომელსაც უკვე ველარ მივიღებთ) ხელში ჩაგდების მიზნით გარკვეულ ძალებს რაგბის კავშირის პრეზიდენტ ბიძინა გეგიძის გადაყენება სურთო. ვიდრე მსგავს ბნელ ინტრიგათა ხლართვას ბოლო არ მოეღება, მანამ რაგბის სამყარო არ განათდება!

**ირაკლი თავაძე**

მერაბ მოლოდინაშვილის ფოტო



აუტში კი ქართველებმა აჯობეს ტონგელებს, რასაც ზურაბ მჭედლიშვილის მიერ მოხელთებული ბურთიც ადასტურებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რაგბი არ მოკვდება!

## გვაიმედებს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი და ტონგელებს უწესობაში ამხელს



ირაკლი ბლუაშვილის ფოტო

მსოფლიო თასის გათამაშებაში მონაწილეობას ქართული სარაგბო თემი დიდი იმედით ელოდა. ვარაუდობდნენ, აქ წარმატებული გამოსვლა სარაგბო ტალღას უფრო მძლავრად ააგორებდა და ხელისუფლებაც მეტ ყურადღებას მიაქცევდა უმოედნოდ დარჩენილ ამ სახეობას, რომელსაც სპორტის დეპარტამენტის ერთი მოზრდილი ოთახის გარდა თავშესაფარი არსად აქვს. მოველოდით, რომ სხვა თუ არაფერი, რაგბის საერთაშორისო საბჭოც (ირბ) გვარიანად შეგვეწეოდა. სრულიად კანონზომიერად, ტონგამ რეალურ სამყაროში დაგვაბრუნა და ოცნებები ოცნებადვე დაგვიტოვა. თუ რატომ მოხდა ასე, ალბათ, ყველა თავისებურად ახსნის. დღეს საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის, საფრანგეთში მოსაქმიანე ზაზა ქასაშვილის მოსაზრებებს გაგაცნობთ.

**— ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებდით ქართული რაგბის მიერ მსოფლიოს თასისკენ განვლილ გზას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დღემდე?**

— ეს პერიოდი ქართული რაგბის აღორძინების დასაწყისია. 80-იანი წლების ბოლოს ჩვენში ეს სახეობა დიდ პროგრესს განიცდიდა. საუცხოო ნაკრები გვყავდა. ბევრ რამეში ის კიდეც სჯობდა დღევანდელ გუნდს, მაგრამ მაშინ სულ სხვა რაგბის თამაშობდნენ. ყველასათვის ცნობილმა მიზეზებმა 90-იანი წლების დამდეგს ქართული რაგბი ჩიხში მოაქცია. მაშინ „მკვდარი პერიოდი" დაგვიდგა. სწორედ იმ დროს განვითარდა მსოფლიო რაგბი. ეს იმხელა წინსვლა იყო, რომ ჩვენ ჩამოვრჩით. ჰაერივით გვჭირდება ძლიერ გუნდებთან თამაშიც.

დღეს საქართველოში რაგბისადმი მიდგომა შეიცვალა. მაგრამ ჩვენ, ქართველებს, საქმისადმი ჩვენეული, არაპროფესიული დამოკიდებულება გვახასიათებს. მორაგბეს მოფრთხილება უნდა. ამასთან, გუნდს სჭირდება დისციპლინა, რაც ჩვენში აშკარად მოიკოჭლებს. მსოფლიო რაგბიში ყველაფერი სწორედ მკაცრ დისციპლინას ემყარება და თუ საერთაშორისო დონესთან გათანაბრება გვსურს, იგივე უნდა ვაკეთოთ.

თანამედროვე რაგბიში წარმატებას უმთავრესად ფიზიკური მზადყოფნა განაპირობებს. ტონგელებთან თამაშში შეამჩნევდით — მეტოქეები ბურთის აღებას ტემპის დაუგდებლად ახერხებდნენ. როცა ფიზიკურად მოუმზადებელი მოთამაშე ბოლომდე ვერ ძლებს, ის ვერც თავის ტექნიკას უჩვენებს მაყურებელს. არადა, ფიზმომზადების მწვრთნელის, ტიერი რუდილის თქმით, ამ მხრივ ჩვენი მორაგბეები შესაძლებლობის 10-15 პროცენტს ავლენენ, აშკარად მეტი კი შეუძლიათ!

ერთსაც გეტყვით — დიდ წარმატებამდე მიგვიყვანს მხოლოდ მოთმინება, დიდი შრომა და იმ ილუზიისგან განთავისუფლება, რომ ძლიერები და მაგრები ვართ. უამისოდ არაფერი გამოგვივა. მაყურებელმაც უნდა გვაცალოს და შედეგს ერთბაშად ნუ მოგვთხოვს. ნებისმიერმა საქმემ ნაყოფი რომ გამოიღოს, დრო უნდა. ასეა რაგბიშიც. მჯერა, რომ მომდევნო მსოფლიოს თასზე საქართველო თავის ადგილს აუცილებლად იპოვის.

**— ის მარტივად გასაშიფრი და მეტად პრიმიტიულ ტაქტიკაც, რომლითაც ტონგას ვეთამაშეთ, ჩამორჩენას ადასტურებს...**

— ჩვენი მუშაობის პირველ ეტაპზე მიზნად რაგბის რეორგანიზაცია დავისახეთ — ჩვენ საქმიანობის ძველი სტილისგან უნდა გავთავისუფლდეთ და ახალი წესები შევითვისოთ. ძნელია, ერთბაშად დაივიწყო ყველაფერი, რაც ბავშვობიდან შეგისისხლხორცებია. ძირითადად ამ მხრივ ვმუშაობთ. სწორედ ამიტომ ვაქცევთ დიდ ყურადღებას შვიდკაცას. როცა შარშან შვიდკაცას საერთაშორისო ტურნირში ვიასპარეზეთ, საოცრება მოხდა — შერკინების ხაზის არყოფნაში უკანა ხაზმა მშვენივრად ითამაშა. თხუთმეტკაციან რაგბიში რადგან შერკინების ხაზი ძლიერია, მათი ეიმედებათ და პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენ. ასეთი დამოკიდებულებისგან უნდა გავთავისუფლდეთ. ამას კი კრიტიკოსებისგან მოთმინება, ხოლო მწვრთნელებისგან — დიდი გარჯა სჭირდება. საამისოდ მუშაობა კლუბებიდან უნდა დავიწყოთ. გასათვალისწინებელია ჩვენებური მოედნების ხარისხიც — მორაგბეებს ქვიან მოედანზე თამაშისა ეშინიათ, რადგან წაქცევას შეიძლება უმძიმესი შედეგები მოჰყვეს.

**— ეს ყველაფერი სამომავლოდ...**

— და არა მარტო ეს. სამომავლოდ უმთავრესი ყურადღება კლუბებს უნდა დავუთმოთ. უიმათოდ ვერც ნაკრები იარსებებს და ვერც ფედერაცია. აუცილებელია, ჩვენი კლუბები ძლიერ მეტოქეებს ხვდებოდნენ. ბოლო თვეებია, მე და ჩვენი პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ევროპის რაგბის კავშირში ამ საკითხებზე ვმუშაობთ. სწორედ ამიტომ დავუთმეთ შარშან ნაკრებისთვის განკუთვნილი ფრანგული ტურნე „ყოჩებს". ჩვენ შეძლებისდაგვარად დავეხმარებით ყველას, მაგრამ უპირველესად მაინც კლუბებმა უნდა იაქტიურონ.

ისინი უნდა გავიდნენ საერთაშორისო სარბიელზე. ქართულ კლუბებს ამ მხრივ კარი დახშული აქვთ. პირადად ჩემი და ფედერაციის მიზანია ამ ზღუდის დანგრევა და შავი ზღვის აუზის საკლუბო ჩემპიონატის ჩატარება. ეს იდეა ირბ-ის უკვე მივაწოდეთ. ჩვენი პროექტი შავი ზღვის აუზის ჩემპიონის ევროტურნირში ასპარეზობას ითვალისწინებს. ამით კლუბებსაც და მათ სპონსორებსაც ახალი პერსპექტივები გაუჩნდებათ.

ეს რაც შეეხებათ გუნდებს, მაგრამ ბევრი რამაა საკეთებელი სარაგბო სკოლებშიც. მათთვის პროგრამები შევიმუშავეთ და რეალურადაც განვახორციელებთ.

26 ივნისს თბილისში ფირა-ს კონგრესი გაიმართება, რომელიც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მის მოსამზადებლად მთავრობისგან დიდი დახმარება გვჭირდება.

**— ფიჯიში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით რამდენჯერმე თქვენმა სახელმაც გაიჟღერა. ითქვა, რომ ყველა ხარჯი ბოლომდე ვერ გათვალეთ. ამ ისტორიაში ბევრი რამ მაინც ბუნდოვნად მეჩვენება და მაინტერესებს, რა მოხდა იქ, სასტუმრო „მუკამბაში"?**

— ნაკრებთან ერთად ფედერაციაც იზრდება და ამ პროცესსაც დრო სჭირდება. ირლანდიურ ტურნირამდე ყველაფერს ერთად ვხელმძღვანელობდით. ირლანდიის მერე პირველი ექსპერიმენტი ჩავატარეთ და ორგანიზაციული საკითხები გავინაწილეთ. ფედერაციას აქაურ ტურისტულ ფირმებთან ერთად უნდა მოეგვარებინა ყველაფერი. ამიტომ ტონგაში მოგზაურობის ორგანიზებაში არ ვმონაწილეობდით. აქ დაშვებული შეცდომები კანონზომიერია.

**— მაგრამ ვისი ბრალია?**

— ფედერაციის და მათ შორის ჩემიც,როგორც მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის. ოღონდ ბრალიცაა და ბრალიც. აქ გამოუცდელობასთან ერთად თავისი როლი ქართულმა სიამაყემაც ითამაშა, რომელიც ზოგჯერ შეკითხვის უფლებას არ გვაძლევს. თავისი წვლილი უფულობასაც მიუძღვის. ფიჯიში ვერც გუნდის მენეჯერი დიმა ობოლაძე და ვერც გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე გავუშვით. გეგიძე ავადმყოფობის გამო ვერ გაჰყვა გუნდს, ერთი კაცი კი ჭამაშიაც ბრალიაო, ამბობენ. გამოცდილებას საფასური სჭირდება. ფედერაცია დღეს სწორედ ამ საფასურს იხდის.

**— ყველაფერში რომც დაგეთანხმოთ, ერთი რამე მაინც აუხსნელია — რატომ იყო აუცილებელი გირაოში მაინცდამაინც მთავარი მწვრთნელის დატოვება? დარჩენილიყო სხვა მწვრთნელი; დელეგაციის ხელმძღვანელი ან თუნდაც ხელმოტეხილი გრეგორ იაშვილი, რომელიც ტონგაში ვერ ითამაშებდა და ეს ყველამ იცოდა.**

— პასუხისმგებლობა მოდებაძეს ეკისრებოდა — ის იყო დელეგაციის ხელმძღვანელი, მასვე ებარა თანხები და ვაჟკაცურად გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა! მას ფედერაციამ საკმარისი თანხა გაატანა, მაგრამ მენეჯერის გამოცდილება არ აღმოაჩნდა.

**— სორელის შესახებაც მინდა გკითხოთ...**

— კლოდ სორელი, როგორც მოთამაშე, საფრანგეთის ჩემპიონია. როგორც მწვრთნელმა, ზედიზედ ორჯერ გააჩემპიონა „ბეზიე". უფრო დაბალ ლიგებშიც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. მაროკოს შვიდკაცას ნაკრებს ჰონგკონგის პრესტიჟულ ტურნირში გაამარჯვებინა და მსოფლიოს თასის ფინალში გაიყვანა. სორელმა მაროკოში რაგბი ჩიხიდან გამოიყვანა. მის სიტყვას საფრანგეთში დიდი წონა აქვს, იგი ბევრ ქართველსაც დაეხმარა იქაურ კლუბში გადასვლაში. როცა სორელი გუნდში რეკავს და მათ რომელიმე ჩვენს მორაგბეს სთავაზობს, ეს ერთგვარი სავიზიტო ბარათია. მან მაროკო იმიტომ მიატოვა, რომ იქაც იმავე პრობლემებს აწყდებოდა, რასა ჩვენთან. მისმა შემცვლელმა დუბროვსკიმ კლოდის შემადგენლობის 90 პროცენტი შეინარჩუნა. ის მართალი, პატიოსანი და პირდაპირია. არაა დიპლომატი და ამიტომ ვერ შეეგუა ფრანგულ რაგბის ბიუროკრატიზმს.

**— თუ ასეთი ძლიერია, მაშინ უკეთესი შედეგის ჩვენებაში ხელი რამ შეუშალა?**

— ამ პერიოდში ის ჯერ კიდევ ეცნობოდა აქაურ რაგბის. როცა ჩამოვიდა, თქვა, რომ ამისათვის ერთი წელი მაინც დასჭირდებოდა. შევთანხმდით, რომ მას მოდებაძე შეურჩევდა მორაგბეთა 35-40-კაციან ჯგუფს, სორელი კი მათგან ნაკრებსაც ჩამოაყალიბებდა და მის სათამაშო სტრატეგიასაც. კლოდს გამუდმებით უხდებოდა მოთამაშეებთან დისციპლინაზე კამათი და თავისი პოზიციის მოდებაძის ნააზრევთან შეთანხმება. ბიჭებზე ცუდად იმოქმედა შვებულებამაც — ფიზიკური მომზადება აშკარად გაუარესდა. ძველი კონდიციების დასაბრუნებლად ფრანგული შეკრებისას ბევრი გაკეთდა, მაგრამ ტონგასთან თამაშში მაინც საგრძნობლად მოვიკოჭლებდით. იმაზე არაფერს ვამბობ, რომ ტონგელების არაჩვეულებრივი ფიზიკური მომზადება უჩვეულო პროდუქტების ბრალია.

**— პროდუქტების თუ პრეპარატების?**

— მე ეჭვიც არ მეპარება, რომ აკრძალულ პრეპარატებსაც იღებდნენ. ყველამ იცის, როგორც იყენებენ სამხრეთ ნახევარსფეროში დოპინგს.

**— ყველამ იცის, ირბ-ს და ფირა-ს გარდა?**

— აქ სხვა პრობლემაა. ის, რაც, ვთქვათ, საფრანგეთში აკრძალულია, თავისუფლად იყიდება უელსის ნებისმიერ სპორტულ მაღაზიაში. ეს დოპინგშემცველ პროდუქტებს ეხება.

**— ჩვენ ადრე ექვსი ერის B ჯგუფზეც ვისაუბრეთ. ამ მხრივ თუა სიახლე?**

— ამ ლიგის ჩამოყალიბებაც გადაწყვეტილია და მასში საქართველოს მონაწილეობაც. კლასიფიკაციის მიხედვით დასახელდნენ — რუმინეთი, ესპანეთი, პორტუგალია, საქართველო, ჰოლანდია, გერმანია ან ხორვატია. ამ უკანასკნელთა რეიტინგი თანაბარია და მათგან ერთ-ერთს აარჩევენ. ქულები ჩვენ და პორტუგალიასაც თანაბარი გვაქვს, მაგრამ ისინი ჩვენზე წინ პირად შეხვედრაში მოგების წყალობით დადგნენ. ამ ჯგუფის თამაშებიც იმავე პერიოდში გაიმართება, რომელშიც დიდი ექვსეულისა. ეს გათამაშება გაისად დაიწყება. კონკრეტულ თარიღებს, ალბათ, თბილისის ზემოხსენებული კონგრესი დაადგენს. მეექვსე მონაწილედ მაროკოსაც განიხილავდნენ, მაგრამ აფრიკულმა ფედერაციამ მას ამის უფლება არ მისცა. ჯგუფის გამარჯვებული ზედა ჯგუფის აუტსაიდერს შეცვლის. ყოველივე ეს მაღალ დონეზე თამაშის საფუძველს იძლევა. ამიტომ მსოფლიოს თასის ამ ეტაპიდან გამოვარდნით ჩვენში რაგბი არ მოკვდება. მჯერა, 2001 წელს ჩვენ შვიდკაცას, ხოლო 2003-ში 15-კაცას მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე გავალთ.

**ირაკლი თავაძე**



ირაკლი ბლუაშვილის ფოტო

ქართველ და ტონგელ მორაგბეებს ქინი ჰაერშიც არ უცხრებოდათ

## ოლიმპიზმი



სამარანჩმა კონგრესს ხახაში ანიტა დეფრანცი მისცა

# სამარანჩი ვაშინგტონში ჩასვლას შარობს




ᲐᲨᲨ-ᲘᲡ სენატის საგანგებო ჯგუფი, რომელიც კომერციის კომიტეტისა და საგადასახადო სამსახურის ბობოლა თანამშრომლებისგანაა დაკომპლექტებული, სოლტ ლეიკ 2002-ის სამექრთამეო სკანდალს იკვლევს. ამ საქმესთან დაკავშირებით 14 აპრილს ჯგუფის წინაშე მოწმეთა რანგში სავარაუდოდ, სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი და მისი რამდენიმე ყველაზე ლიპიანი თანამშრომელი უნდა წარმდგარიყვნენ. მაგრამ რამდენადაც ეს „წარდგომა" სავალდებულო არაა, სამარანჩმა ვაშინგტონში თავის ნაცვლად სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტ ანიტა დეფრანცის წარგზავნა არჩია.

ჯგუფის თავმჯდომარის, კომერციის კომიტეტის მახვშ ჯონ მაკკეინის გაგზავნილ უსტარში სოკ-ის პაპამ განაცხადა, რომ ჯერ ერთი, „სამწუხაროდ, ვერ დაესწრება 14 აპრილის მოსმენებს", მეორეც, ძალიან მოხარული იქნება „თუკი ვაშინგტონში მისი ვერდასწრების მიზეზებით არ დაინტერესდებიან" და მესამეც, რომ იგი „იზიარებს ამერიკელთა შეშფოთებას მსოფლიო ოლიმპიზმში არსებული ჭიჭო ვითარების გამო და მათ სურვილს ორგანიზაციის დაუყოვნებლივი და საფუძვლიანი რეფორმირებისას".

სამარანჩის ამ ტექსტმა ვაშინგტონელი კანონმდებლები, რბილად რომ ვთქვათ, ვერ დააკმაყოფილა, ხოლო უფრო ხისტად რომ დავძინოთ, ალაშფოთა კიდეც. მაკკეინის აზრით, სამარანჩმა, ეტყობა, საერთოდ დაკარგა შექმნილ სიტუაციაში გარკვევის უნარი. ამიტომაც მისი ჯგუფი ყველანაირად ეცდება, მას და მის სახელგატეხილ კანტორას სხვა უნარებიც დააკარგვინოს.

სხვა უნარების დაკარგვინებაში კი სენატორები სოკ-ისთვის აშშ-ს ტერიტორიაზე გადასახადებისგან განთავისუფლებულის სტატუსის ჩამორთმევასა და სხვა ამგვარ ჩაპარსვებს გულისხმობენ. სენატორთა ყველაზე რეაქციული ფრთა კი სულაც სოკ-ის შტაბბინასა და მის ფილიალებზე სამხედრო-საჰაერო დარტყმების მიყენებასაც მოითხოვს. თუმცა ამგვარად მოფიქრალთა რიცხვი იქ ჯერ კიდევ საკმაოდ მცირეა და სენატიც დასჯის უფრო მშვიდობიანი ფორმებისკენ იხრება.

„დასჯა კი აუცილებლად მოხდება, თუკი სოკ-ი ჩვენს ჩამოკრულზე არ დაიწყებს ცეკვას... მეტი გახსნილობა და მეტი პასუხისმგებლობა — სანამ ეს ორი თეორიული პოსტულატი სოკ-ის ყოველდღიურ რეალობად არ იქცევა, მანამდე არც პრეზიდენტ სამარანჩსა და არც მის ძმობილებს მშვიდობიანი ძილის, ღვიძილის თუ დეფეკაციის საშუალებას არ მივცემთ", - ამბობენ ვაშინგტონში.

ხოლო თქვენ ნუ გგონიათ, რომ ყოველივე ამაზე მარტოდენ აშშ-ის დედაქალაქში ზრუნავენ. დედამიწაზე კიდევ მრავალია ისეთი გეოგრაფიული წერტილი, საიდანაც ლოზანაში ყოველდღიურად დიდძალი რაოდენობით დოლარი იქაჩება. ამიტომაც იმ წერტილებში მცხოვრებთ თავიანთი თანხების ბედ-იღბალი და კიდევ უფრო მეტად თავიანთი საფირმო ნიშნის სიწმინდისა და პრესტიჟის ამბავი აღელვებთ. სოკ-ის მავან ბრიგადასთან რამდენიმე მათგანის, სახელდობრ „კოდაკის", „კოკა-კოლასა" და „ქსეროქსის" ამასწინანდელი ნიუიორკული შეხვედრაც სწორედ ამის გამო მომხდარა. სპონსორებსა და დასპონსორილებსაც თურმე ჰალალად უმუსაიფნიათ და — ეგ ხალხი არც ისეთი შეზღუდულია, როგორც ამერიკელები ამბობენო — მეფულეებს ასეთი აზრი შექმნიათ. შექმნიათ და ღმერთმა ყველას თავისი საჭოჭმახო აზრი მოახმაროს, ჩვენ კი ჩვენი მიმოხილვის ბოლო ფრაზები კვებეკისკენ გადავისროლოთ.

კვებეკი, მოგეხსენებათ, ის ქალაქია, 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა სწორედ სოლტ ლეიკთან ჭიდილში რომ დათმო. დათმობით კი დათმო, მაგრამ სოკ-ელთათვის ქრთამის ჩამორიგებასა და მისთანა სიბინძურეებში ძალიან არც ეგ ჩამორჩენილა. კვებეკის მერ ჟან-პოლ ლილიესაც ამასთან დაკავშირებით საქმის აღძვრა და ყველაფრის დედაბუდიანად გამორკვევისკენ მოუწოდებია. სამწუხაროდ, იქაურ საკრებულოს ამისდასაპასუხოდ პირი შეუკრავს და მერის პროექტი უკანვე გაუბრუნებია — აქაო და, ეგ ძიება ძალიან დიდხანს გაგრძელდება და ძალიან ძვირიც დაგვიჯდებაო.

მერის რეაქცია, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ იქაურები ამბობენ, რომ იგი თავისას მაინც გაიტანს და რომ ჩვენც კიდევ ბევრი სოკ-ელის ჩასვრილი საცვლებით ტკბობა თუ არა, მათზე წერა ნაღდად მოგვიწევს.

**ლევან ძელაურაძე**

## მძლეოსნობა

# ისევ ჩემპიონის შარდზე

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ სპორტში როგორღაც ხშირად ხდება, რომ სპორტსმენი აზრზე არაა, მის შარდში კი, გინდა არ გინდა, მავანი აკრძალული პრეპარატი ამოჰყოფს თავს. როგორ ხდება ხოლმე ეგ უცნაური ამბავი, კაციშვილმა არ იცის, მაგრამ რომ ხდება ხოლმე, ეგ კი უეჭველი ფაქტია. აი, ახლაც კიდევ ერთი სპორტსმენის შარდზე გვიწევს საუბარი. მას დუგი უოკერი ჰქვია, ბრიტანელია და შარშანდელი ევროპის სამძლეოსნო ჩემპიონატზე ბუდაპეშტში ოქტომბერში რომ შედგა, 200 მეტრი ყველა ვაჟზე უსწრაფესად დაუფარავს. მაგრამ რად გინდა, გამარჯვებიდან ორი თვის თავზე ჩამოსხმულმა მისმა შარდმა ლაბორატორიის მუშაკებს რაღაც ნამეტანი მავნე ნივთიერება წარმოუდგინა და დუგიმაც ორი წლით ასპარეზისგან მოკვეთა მიიღო. ეს სასჯელი ამ ორიოდე დღის წინ დადგინდა, მას შემდეგ, რაც შარდის ხსენებული ნიმუში საგანგებოდ დოპინგზე დაგეშილმა მეძებარმა ძაღლებმა რამდენჯერმე დაყნოსეს.

დუგიმაც — თქვენი ლაბორატორია და მეძებრები მე არ ვიცი, ჩემს დღეში დოპინგი რაა, ჩაკიდულიც არ დამილევია და გაერთიანებული სამეფოს სამძლეოსნო თემს საპროტესტო წერილი აუფრიალა. კითხვაზე, აბა, ეგ ნივთიერება იქ როგორ აღმოჩნდაო, დუგი მხოლოდ მხრებს იჩეჩავს და, აზრზეც არა ვარო, ეგრე პასუხობს. მისი ადვოკატის თქმით კი, ამ ნივთიერებებს მძლეოსანთათვის ნებადართული საკვები შეიცავს და თუკი ქილაში იგი საიდანმე აღმოჩნდა, სწორედ ამის გამოისობით.

**ლევან ძელაურაძე**

## ჰოკეი

# დეტროიტში გამარჯვებას ასწავლიან

31 მარტი

**ნიუ ჯერსი — ანაჰაიმი 7:1 (4:1 2:0 1:0)**

1:0 შარიფიანოვი 3'06 (9); 2:0 მაკეი 4'38 (17); 3:0 პოლიკი 9'03 (24); 3:1 კარია 9'33 (34); 4:1 ანდრეიჩუკი 17'23 (12); 5:1 შარიფიანოვი 27'13 (10); 6:1 ბრილინი 32'18 (5); 7:1 დინი 44'57 (1)

„ეშმაკებმა" ყველას უჩვენეს, თუ როგორ უნდა გამოთიშო თამაშიდან ანაჰაიმის სუპერდუეტი — ტეემუ სელიანე და პოლ კარია. მასპინძელთა მეკარის — მარტინ ბროდოს თქმით, როგორც კი სტუმართა მცველები შაიბას საკუთარი ზონიდან წამოიღებდნენ, ნიუჯერსელები მათზე ისეთ ზეწოლას ახდენდნენ, საქმე ტეემუსა და პოლამდე არც მიდიოდა და ანაჰაიმელთა შეტევები თავიდანვე იფუშებოდა. ნიუ ჯერსი მეტოქის ლიდერების გაუვნებლებაში გაწაფულია (გაიხსენეთ ჟაკ ლემერის დროინდელი „მახეები"), მაგრამ ახლა, წინა წლებისგან განსხვავებით, თავდასხმაც ისწავლა და თუ მოინდომა, შეუჩერებელი ხდება. „ეშმაკთაგან" თავი გამოიჩინა ახალბედა ვადიმ შარიფიანოვმა, რომელსაც 26 იანვრიდან არც ერთი გოლი არ გაეტანა. პეტერ სიკორას ბოლო 11 თამაშში 14 ქულა დაუგროვდა, ნიუ ჯერსიმ კი პლეი ოფში გასვლა გაინაღდა.

**დეტროიტი — ლოს ანჯელესი 2:1 (1:0 1:0 0:1)**

1:0 ფიოდოროვი 15'47 (23); 2:0 გილი 31'57 (4); 2:1 რობიტაილი 55'58 (34)

დეტროიტელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთობ მობილიზებულად ატარებენ ბოლო მატჩებს — ზედიზედ მეოთხედ მოიგეს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „დედლაინამდე" აუტსაიდერ ტამპასა და ჩიკაგოში მოასპარეზე უენდელ კლარკი და კრის ჩელიოსი დამარცხებულის ფსიქოლოგიისგან გათავისუფლდნენ და ჩემპიონური სულისკვეთებით აღივსონ.

**დალასი — ტამპა 6:4 (3:1 0:2 3:1)**

1:0 ლეჰტინენი 10'37 (20); 1:1 რიშე 11'44 (9); 2:1 ლანგებრუნერი 15'50 (12); 3:1 მარშალი 17'37 (12); 3:2 ტაკერი 20'41 (17); 3:3 ტაკერი 33'45 (18); 4:3 სიმი 41'19 (1); 4:4 რიშე 47'14 (10); 5:4 ნუინდაიკი 51'10 (24); 6:4 ლაკოვიჩი 58'49 (1)

როგორც ჭეშმარიტ ლიდერს შეჰფერის, ერთი-ორი წამყვანი ჰოკეისტის მოსაკლისება დალასის დალაგებულ თამაშზე ოდნავაც არ მოქმედებს. მაიკ მოდანოს არყოფნაში, რომელიც პირველივე წუთებზე დაშავდა, მეოთხე ხაზის ბიჭებმა გაილაღეს, თანაც, „მეომარი" გრანტ მარშალი (1+2) დებიუტანტ ბრედ ლაკოვიჩს და ჯონ სიმს პირადი ანგარიშის გახსნაში დაეხმარა.

**ფლორიდა — აილენდერსი 3:5 (2:1 0:2 1:2)**

0:1 ბრიუერი 7'40 (4); 1:1 პერიში 8'34 (21); 2:1 დვორჟაკი 14'15 (16); 2:2 ლოურენსი 31'00 (14); 2:3 უოტი 31'42 (7); 2:4 ჩერკავსკი 50'15 (16); 3:4 პერიში 51'20 (22); 3:5 ჩერკავსკი 59'16 (17)

ახალბედა მარკ პერიშის და ოლეგ კვაშას (2 პასი) კარგი თამაშის მიუხედავად, მასპინძლებმა ძალიან მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, დაგეგმილი ქულები დაკარგეს.

**ვანკუვერი — ტორონტო 5:6 (1:1 1:2 3:3)**

0:1 ტომასი 6'48 (25); 1:1 ოკუანი 18'39 (22); 2:1 მოგილნი 22'01 (11); 2:2 სალივანი 26'26 (15); 2:3 მარკოვი 28'08 (4); 2:4 ტომასი 44'04 (26); 2:5 პერო 45'04 (12); 3:5 იორკი 49'44 (7); 4:5 მოგილნი 48'19 (12); 4:6 პერო 52'00 (13); 5:6 ნესლუნდი 53'56 (36)

ტორონტო სავსებით იზიარებს ბრაზილიელთა საფეხბურთო პრინციპს — მეტოქეს ერთ გოლზე მეტს მაინც გავუტანთო, მაგრამ ამან ვაითუ პლეი ოფში იმოქმედოს. თუმცა თავდასხმაში „ნეკერჩხლის ფოთლებს" პრობლემა არა აქვთ, მით უმეტეს, რომ ახალწვეულმა იანიკ პერომ (2+1) მწვრთნელებს ორი დაშავებული ცენტრის — იგორ კოროლიოვის და ალან მაკოლის არყოფნა დაავიწყა.

**ჩიკაგო — ბუფალო 2:1 (1:1 1:0 0:0)**

1:0 მენსონი 0'43 (5); 1:1 უორდი 10'40 (18); 2:1 პრობერტი 28'56 (5)

**სან ხოსე — კოლორადო 2:3 (0:1 2:2 0:0)**

0:1 ლემიე 8'34 (27); 1:1 დამფუსი 20'36 (15); 1:2 საკიკი 22'40 (38); 1:3 დრური 34'04 (20); 2:3 რიჩი 35'41 (12)

კოლორადოში გადასვლის შემდეგ ტეო ფლერი პირველად დარჩა უქულოდ (მანამდე 7 მატჩში 15 (8+7) ქულა დააგროვა), თუმცა „ეველანშს" ბომბარდირები უმისოდაც საკმაოდ ჰყავს. პეტერ ფორსბერგმა მორიგი 2 პასი მიითვალა, ახალბედა კრის დურიმ კი, ფლორიდელი პერიშის დარად, 20-შაიბიან ზღვარს მიაღწია.



REUTERS

ნიუჯერსელებმა ბრენდან მორისონმა (მარცხნივ) და კევინ დინმა ანაჰაიმელი იუჰან დავიდსონი დაიმარტოხელეს

### სატურნირო ვითარება

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | დასავლეთ კონფერენცია | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა* | 73 | 42 | 10 | 21 | 217:157 | 94 | დალასი* | 74 | 17 | 12 | 15 | 215:150 | 106 |
| ნიუ ჯერსი* | 73 | 40 | 11 | 22 | 220:180 | 91 | კოლორადო* | 75 | 39 | 10 | 26 | 218:188 | 88 |
| კაროლინა | 75 | 31 | 16 | 28 | 193:192 | 78 | დეტროიტი | 74 | 38 | 6 | 30 | 221:187 | 82 |
| ტორონტო | 74 | 40 | 6 | 28 | 237:216 | 86 | ფინიქსი* | 75 | 37 | 12 | 26 | 190:178 | 86 |
| პიტსბურგი | 74 | 36 | 13 | 25 | 226:200 | 85 | ანაჰაიმი | 73 | 33 | 11 | 29 | 195:181 | 77 |
| ფილადელფია | 74 | 33 | 18 | 23 | 216:179 | 84 | სენტ ლუისი | 73 | 31 | 11 | 33 | 208:191 | 73 |
| ბუფალო | 73 | 33 | 15 | 25 | 188:161 | 81 | სან ხოსე | 74 | 27 | 17 | 30 | 171:175 | 71 |
| ბოსტონი | 73 | 32 | 13 | 28 | 190:166 | 77 | კალგარი | 74 | 28 | 12 | 34 | 194:207 | 68 |
| რეინჯერსი | 74 | 31 | 10 | 33 | 202:204 | 72 | ედმონტონი | 74 | 28 | 11 | 35 | 205:205 | 67 |
| ფლორიდა | 73 | 27 | 18 | 28 | 188:193 | 72 | ლოს ანჯელესი | 74 | 28 | 5 | 41 | 169:198 | 61 |
| მონრეალი | 73 | 29 | 10 | 34 | 168:186 | 68 | ნეშვილი | 74 | 26 | 7 | 41 | 173:234 | 59 |
| ვაშინგტონი | 73 | 29 | 6 | 38 | 184:194 | 64 | ჩიკაგო | 75 | 23 | 12 | 40 | 178:233 | 58 |
| აილენდერსი | 75 | 21 | 9 | 45 | 172:224 | 51 | ვანკუვერი | 75 | 22 | 11 | 42 | 181:232 | 55 |
| ტამპა | 73 | 17 | 6 | 50 | 159:267 | 40 | | | | | | | |

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან. ვარსკვლავით გამორჩეულია პლეი ოფში გასული გუნდი.

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 117 (37+80), სელიანე (ანაჰაიმი) 95 (43+52); ლინდროსი (ფილადელფია) 93 (40+53); კარია (ანაჰაიმი) 92 (34+58); ფორსბერგი 92 (25+67); საკიკი (ორივე კოლორადო) 87 (38+49); ლეკლერი (ფილადელფია) 86 (39+47); იაშინი (ოტავა) 84 (41+43); ფლერი (კოლორადო) 84 (38+46); დემიტრა (სენტ ლუისი) 79 (34+45); მოდანო (დალასი) 79 (33+46); სტრაკა (პიტსბურგი) 78 (35+43); სუნდინი (ტორონტო) 75 (26+49)*

# კაცის შენ ყოფილხარ და ბიძაც!

„ᲓᲔᲓᲚᲐᲘᲜᲖᲔ" ვანკუვერიდან ანაჰაიმში გაშვებულმა პეტერ ზეზელმა ჩრდილოეთიდან მზიურ კალიფორნიაში გადაბარგება არ ისურვა და ახალ კლუბში თამაშზე უარი განაცხადა. ვეტერან ფორვარდს (15-წლიან კარიერაში 219 გოლი და 389 პასი) ფრიად საპატიო მიზეზიც ჰქონია — 3 წლის ძმიშვილი ჰყოლია ძალიან ავად და მის გვერდით ყოფნა გადაეწყვიტა. „ჩემი ანაჰაიმში წასვლა მაინც უშედეგო იქნებოდა, რადგან ფიქრით პატარასთან ვიქნებოდი" — განაცხადა ზეზელმა ვანკუვერის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ზეზელის ვაჟკაცური ნაბიჯი ვანკუვერში სათანადოდ დააფასეს და კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ბრაიან ბურკმა ფორვარდის კონტრაქტით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილით — 117000 დოლარით ავადმყოფი ბავშვის დახმარების ფონდი დააარსა.

**სამველ ლარიბიანი**

# ტანია, რა ტანია!

*გერმანელ ფიგურულად მოსრიალე ქალებს ამ ბოლო დროს გულმა თუ გულმკერდმა რაღაც „ფლეიბოისაკენ“ გაუწიათ. აგერ სულ რაღაც ორი-სამი თვის წინ თავისი ხვავი და ბარაქა მსოფლიოთ ვაჟობის გასახარადა და სახეიროდ თუმც შებერებულმა, მაგრამ იმავ დროს მომგებიანად შედედლებულმა კატარინა ვიტმ გამოჰფინა. აი, ჟურნალის ბოლო ნომრიდან კი უკვე ონავარმა ტანია შევჩენკომ, ერთი უკრაინელი კაცისა და მავანი დიუსელდორფელი ქალის 21-წლისწინანდელმა ნაყოფმაც გამოანათა. ტანიამ „ფლეიბოის“ რედაქციას 99 ათასი მარკა გამოსტყუა და, აწი თუ ევრე გააგრძელა, ლუკმა-პურის შოვნა, ვინძლო, ყინულზე მოუბრუნებლადაც მოახერხოს. მით უფრო რომ იქ მხოლოდ გერმანიის ჩემპიონობას გამორჩენია...*




**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

არმინია 2:0 ობერჰაუზენი
ბერლინი 0:2 კიკერსი
უნტერჰახინგი 2:1 ზტ. პაული

# მაკლარენი დააფასეს

REUTERS უოკინგიდან




პრინცი ჩარლზი, სხვა შეძლებული და მოცლილი პრინცებისა არ იყოს, ძალიან აქტიური ცხოვრებითა ცხოვრობს... აი, ამ დღეებში იგი უოკინგში მდებარე „მაკლარენის“ ქარხანასაც ეწვია და თან გუნდის მრბოლები, ფორმულა-I-ის შარშანდელი სეზონის ჩემპიონი, ფინელი მიკა ჰაკინენი და სქოთი დევიდ კულჰარდიც იახლა. ბიჭების განსაკუთრებული ყურადღება „ბრიჯსტოუნის“ ამ ვეება საბურავებს მიუპყრია...

REUTERS დუბაიდან



## ველოსიპედის გამოიგონეს

ერთ დუბაელ ბობოლას თურმე ველოსპორტი ნაყვარება. ნაყვარება და კეთილი ხალხისათვის მსოფლიოს უდიდესი ველოსიპედის გაკეთებაც უთხოვია. რამდენადაც ამ თხოვნას ერთი-ორი მსუყე ჭაბურღილიც ახლდა, საქმე შესაშური სიმალითა და, რაც მთავარია, შესაშური მასშტაბებითაც შესრულდა...

# მირბის, მიაფრენს...

REUTERS ასკოტიდან



*ინგლისის ყოფილ ჩემპიონს რიჩი დანვუდს თურმე გამარჯვებათა პიტერ სკედამორისეული სარეკორდო მაჩვენებლის, 1678-ის შეწვდომა განუზრახავს. განუზრახავს და სადაც კი შესაფერის ჭაკს დაიჭერს, ისე გაშმაგებით აჯირითებს, მტრისას და ავისას... აგერ ესკოტის გუშინდელ დოღზეც დანვუდმა თავისი მომდევნო მეგობარიც გასარჯა, სულ ასე მაღალ-მაღლები გადაახტუნა, მაგრამ რეკორდთან მიახლოება რაა, ამ ერთი ქეციანი რბოლის მოგებაც ვერ შეძლო. ყველაზე მარჯედ იქ „ძალიან ტკბილზე“ ამხედრებულ ტიმ მერფის უასპარეზია.*

REUTERS ამსტერდამიდან



# ამ ჭიქით...

ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს (ფოტოზე მარჯვნივ) ჰოლანდიელთათვის მსოფლიოს შარშანდელ საფეხბურთო ჩეპიონატზე მათ მიერ მოგებული სამეოთხეადგილო მედლები ჰქონდა ჩასატანი. ბლატერმაც აიღო და ეს ამბავი ჰოლანდია-არგენტინის გუშინწინანდელ ამხანაგურ შეხვედრას მიუსადაგა. ფოტოზე მსოფლიო ფეხბურთის მამილო ჰოლანდიელთა საფეხბურთო კავშირის თავკაც ჯო სპრენგერს ძმობის, მეგობრობისა და კეთილი მოგონებების სადღეგრძელოს სთავაზობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29